ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

სამშაბათი, 16 სექტემბერი, 2014 №219 (6530) ფასი: 30 თეთრი

## ბიძინა ივანიშვილი: „პრეზიდენტის რეზიდენციაზე ზედმეტად 2-3 მილიონი დოლარი იხარჯება“

გვ.2



# ირაკლი ღარიბაშვილი: „მოსასმენი აპარატურა ისევ ნაციონალების ხელშია“



„მოწყობილობები, რომლებითაც შეიძლება მოსმენები ხორციელდებოდეს, წინა ხელისუფლების დროსაა შექმნილი, ამ დროისთვის კი ვითარების კონტროლი ვერ ხერხდება“.

გვ.3






## სოსო რობაქიძე: „დაკითხეთ ოქრუაშვილი!“

გვ.4

ამ საქმეს 10 წლის განმავლობაში ყველაფერი შევწირე. ახლა თუ ვიღაც წესიერად არ გამოიძიებს, ჰგონიათ, რომ გავჩერდები? 2007 წელი მოგონილი იქნება. თანაც მხოლოდ მე არ ვარ. ჩვენ, „გადაარჩინე სიცოცხლეს“ 400 ათასი კაცის ხელმოწერა გვაქვს დადებული, „ოცნება“ რომ მოსულიყო. ეს ასე არ დამთავრდება.

ISSN 1987-9385

## მურმან დუმბაძე: „პარლამენტში ახალი ოპოზიციური ფრაქცია იქმნება“

გვ.3





## არასამთავრობოები მანანა კობახიძეს ძალადობის წახალისებაში ადანაშაულებენ

გვ.2

ლურჯი წითელი ყვითელი შავი

# ბიძინა ივანიშვილი: „პრეზიდენტის რეზიდენციაზე ზედმეტად 2-3 მილიონი დოლარი იხარჯება“

ნაციონალური მოძრაობა პრეზიდენტ გიორგი მარგველაშვილს ეთამაშება, რომ, როგორმე ოპოზიციაში სოლიდური წევრი გადაიყვანოს და გუნდში განხეთქილება გამოიწვიოს“,

— აღნიშნულის შესახებ ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა, არასამთავრობო ორგანიზაცია „მოქალაქეს“ დამფუძნებელმა, ბიძინა ივანიშვილმა, გაზეთ „კვირის პალიტრასთვის“ მიცემულ ინტერვიუში განაცხადა.

ყოფილი პრემიერის თქმით, სასახლეზე 2-3 მილიონი დოლარით ზედმეტი იხარჯება.

„ცალკე საკითხია სასახლის თემა. მე სპეციალურად არ ვაღვივებ ამას, ველოდები, რას იზამს საზოგადოება, მასმედია. აქ ეკონომიკური ხასიათის კითხვებია. 16 ათასი კვადრატული მეტრის ფართობისაა სასახლე, მარგველაშვილს კი რეალურად 3 ათასი სჭირდება. გადაამრავლეთ, იმ უბანში ერთი კვადრატული მეტრის გირაობა რა ღირს და ნახავთ, რომ 2-3 მილიონი დოლარი ზედმეტი იხარჯება. მე არ მინდა ამის გაღვივება, თუმცა ეს ყველაფერი მიწყნარებულია იმის



გამო, რომ „ნაციონალურ მოძრაობას“ ასე აწყობს“, — განაცხადა ყოფილმა პრემიერმა.

ივანიშვილმა პრეზიდენტის და სამთავრობო გუნდის ურთიერთობაზეც ისაუბრა და განაცხადა, რომ დაბნეულია მთელი გუნდი, რადგან გუნდის წევრი იყო მარგველაშვილი, გუნდმა იზრუნა მის გაპრეზიდენტებაზე, დღეს კი მარგველაშვილს არავისთან ურთიერთობის სურვილი არ აქვს.

ყოფილი პრემიერის თქმითვე, რამდენიმე ექსპერტი მარგველაშვილს „მიეტმასნა“ და პრეზიდენტის ინსტიტუტის გამაგრებას ცდილობს.

„ორი-სამი ადამიანი, თავს ექსპერტს რომ უწოდებს და რეალურად ელემენტარული ანალიზის უნარი არ აქვთ, მიეტმასნენ მარგველაშვილს. ისინი ადრე მთავრობაში იყვნენ და იქ თავიანთი ადგილი ვერ იპოვეს. თითქოს პრეზიდენტის ინსტიტუტის გამაგრებას ცდილობენ, რეალურად კი ერთი სამსახურს ეძებს, მეორეს თავისი ადგილი ვერ უპოვია, მესამეს კიდევ რაღაც უნდა... ისინი დათვურ სამსახურს უწევენ მარგველაშვილს, ამბიციებს უღვივებენ და ამის გამო სასაცილო მდგომარეობაში ვარდება ქვეყანა და თვითონაც“,-განაცხადა ივანიშვილმა და აღნიშნა, რომ ეს პირველ რიგში მარგველაშვილის იმიჯს აზიანებს.

**ნიუსპრესი**

# დავით საგანელიძე: „თუ დუმბაძე უმრავლესობაზე ასე ზრუნავს, რატომ არ გააკეთა განცხადება, რომ ვიცე-სპიკერობიდანაც გადადგება“



საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერის, დავით საგანელიძის განცხადებით, მურმან დუმბაძე როგორც ფრაქცია „ქართული ოცნებიდან,“ ასევე უმრავლესობიდანაც იქნება გარიცხული, მიუხედავად იმისა, თვითონ მოინდომებს ამას თუ არა.

აღნიშნულით, საგანელიძე, მურმან დუმბაძეს გამოეხმაურა, რომელმაც განაცხადა, რომ ფრაქციის და უმრავლესობის რიგები დატოვა და მოუწოდა უმრავლესობას, ნუ გაირჯებიან რაიმე დოკუმენტაციისა და ოქმების გაფორმებაში.

„ტყუილად წუხს ბატონი მურმანი, რომ დოკუმენტებზე შევწუხდებით. ეს ძალიან მარტივი თემაა. რა თქმა უნდა, ის როგორც ფრაქციიდან ასევე უმრავლესობიდან იქნება გასული, თვითონ მოინდომებს თუ არა. მან გააკეთა განცხადება, რომ ოპოზიციის ფლაგმანი იქნება. შესაბამისად, ოპოზიციის ფლაგმანს უმრავლესობაში ადგილი არ აქვს“, — განაცხადა საგანელიძემ.

მან ასევე აღნიშნა, რომ დუმბაძე ტყუილად ნერვიულობს, რადგან საქართველოს კონსტიტუციას არ დასჭირდება შეცვლა იმისთვის, რომ მურმან დუმბაძე ვიცე-სპიკერი იყოს ან არ იყოს.

„თუ ვთქვათ ასე ზრუნავს უმრავლესობაზე და დოკუმენტებზე, რატომ არ გააკეთა განცხადება, რომ ვიცე-სპიკერობიდანაც გადადგება“,-განაცხადა საგანელიძემ.

ბათუმის მაჟორიტარმა დეპუტატმა მურმან დუმბაძემ, საპარლამენტო უმრავლესობა და საპარლამენტო ფრაქცია „ქართული ოცნება“ დღეს დატოვა.

გუშინწინ კი ის პარტია „ქართული ოცნებიდან“ გარიცხეს. ამის შესახებ გადაწყვეტილება „ქართული ოცნება — დემოკრატიული საქართველოს“ პოლიტსაბჭოს სხდომაზე მიიღეს. როგორც პრემიერ-მინისტრმა, ირაკლი ღარიბაშვილმა განმარტა, ორი წლის მანძილზე დუმბაძე უხეშად ერეოდა, როგორც უმაღლესი საბჭოს საქმიანობაში, ასევე აჭარის მთავრობის საქმიანობაში.

**ნიუსპრესი**

# არასამთავრობოები მანანა კობახიძეს ძალადობის წახალისებაში ადანაშაულებენ

საქართველოში მოქმედი 13 არასამთავრობო ორგანიზაცია, პარლამენტის ვიცე-სპიკერის, მანანა კობახიძის მიერ „ფეისბუქის“ საკუთარ გვერდზე გაკეთებულ იმ განცხადებას ეხმიანება, რომლის თანახმადაც: „როცა სრულიად უცნობი ადამიანები უკანასკნელი სიტყვებით ილანძღებიან, ყოვლად უზნეო და ამორალურ პოსტებს დებენ ეს ვითომ კაცები, სინამდვილეში კი არაკაცები, ბილწსიტყვაობენ და თანაც ქალის მიმართ, აი მერე მეუღლემ ან ძმამ ან შვილმა მართლა შუბლი რომ გაუხვრიტოს, ვინმემ აღარ გვითხრას კრიმინოგენული ვითარება დამძიმდაო. შეურაცხყოფის და ლანძღვის თმენის ვალდებულება ნამდვილად არ აქვთ ადამიანებს და პოლიტიკოსიც ადამიანია!“



არასამთავრობოები აღნიშნულ განცხადებას, პოლიტიკური და კულტურული მიუღებლობის საფუძველზე,ძალადობის წახალისებად აფასებენ და მიიჩნევენ, რომ ეს გენდერულ სტერეოტიპებს ამყარებს.

„პირველ რიგში უნდა ითქვას, რომ პოლიტიკოსს და საჯარო პირს, სხვა მოქალაქეებისგან განსხვავებით, აქვს საჯარო კრიტიკის, მათ შორის, უსაფუძვლო თავდასხმის მიმართ თმენის ვალდებულება და ეს გამოხატვის თავისუფლებით დაცული სამართლებრივი პრინციპია. აღსანიშნავია, რომ სიტყვის თავისუფლება მოიცავს არა მხოლოდ იმგვარ ინფორმაციას ან იდეას, რომელსაც კეთილგანწყობით ხვდებიან ან ნეიტრალურია, არამედ ისეთ ინფორმაციასაც, რომელიც შეურაცხმყოფელია, შოკისმომგვრელი და ამაღელვებელი.

ამასთან, მანანა კობახიძის განცხადება აჩენს შესაძლებლობას ის წავიკითხოთ, როგორც მუქარა პოლიტიკური ოპონენტებისა და განსხვავებული კულტურული ფასეულობების მქონე ადამიანების მიმართ, ვისაც შეურაცხმყოფელი კომენტარი გაუკეთებია პირადად მისი ან მისი თანამოაზრეების შესახებ.

სიტყვიერი შეურაცხყოფისათვის „შუბლის გახვრეტით“ შურისძიების გამართლება განსხვავებული შეხედულებების მქონე ადამიანების მიმართ ძალადობისა და კრიმინალის წახალისების მცდელობას წარმოადგენს. განცხადება ამყარებს არსებულ სექსისტურ სტერეოტიპს, რომ აგრესიული და ძალადობრივი ქცევა, ღირსებისა და „კაცურობის“ გამოვლინება და კულტურულად დასაშვები ქცევაა. მსგავსი შეფასებები განსაკუთრებით საშიშია ისეთ პატრიარქალურ საზოგადოებაში, სადაც ხშირია ე.წ. „ღირსების დანაშაულები“.

გარდა ამისა, მანანა კობახიძის განცხადება ქალს წარმოაჩენს, როგორც არასრულფასოვან არსებას, რომელსაც თავად არ შეუძლია საკუთარი ღირსების დაცვა და დამოკიდებულია მისი ოჯახის წევრი კაცების ქცევაზე. ეს მიდგომა განსაკუთრებით შემაშფოთებელია გენდერული თანასწორობის საბჭოს ხელმძღვანელის მხრიდან და საფრთხეს უქმნის სახელმწიფოს მიერ გაცხადებული გენდერული პოლიტიკის განხორციელებას, რომელიც უპირველეს ყოვლისა ჩვენს საზოგადოებაში დამკვიდრებული სექსისტური, პატრიარქალური და ძალადობრივი ღირებულებების და ქცევის წესების ცვლილებაზე უნდა იყოს მიმართული.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მოვუწოდებთ საქართველოს პარლამენტს და გენდერული თანსწორობის საბჭოს, ვიცე-სპიკერის განცხადებას გაემიჯნონ“ — ნათქვამია არასამთავრობოების წერილში.

**ნიუსპრესი**

# დავით უსუფაშვილი ნაცმოძრაობას თბილისის პარლამენტში შესვლისკენ მოუწოდებს



პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილი, ,,ნაციონალური მოძრაობის“ წევრებს თბილისის პარლამენტში შესვლისა და მუშაობისკენ მოუწოდებს. ამის შესახებ პარლამენტის სპიკერმა გუშინ, თბილისის პარლამენტის განახლებულ შენობაში დიპკორპუსის წარმომადგენლებთან შეხვედრის შემდეგ განაცხადა.

,,თუ სანაპიროზე მდებარე იუსტიციის სახლში შეიძლებოდა კომიტეტისა და ბიუროს სხდომების ჩატარება, ცხადია ეს ასევე შესაძლებელია 400 მეტრის მოშორებით, რუსთაველზე მდებარე შენობაშიც. ამიტომ მე მათ კიდევ ერთხელ მოვუწოდებ, რომ მობრძანდნენ და იმუშაონ. მათთვის ყველაფერი ის, რაც ეკუთვნით, დარეზერვებულია“,– აცხადებს პარლამენტის თავმჯდომარე.

უსუფაშვილის განცხადებითვე, პარლამენტი ქუთაისში რჩება, თუმცა ღონისძიებების ნაწილი თბილისში ჩატარდება.

,,პარლამენტი რჩება ქუთაისში და ხვალ იქ მივემგზავრები, მაგრამ ზოგიერთი ღონისძიება ჩატარდება თბილისში“,– განაცხადა უსუფაშვილმა.

**ნიუსპრესი**

# მთავარი პროკურატურის თანამშრომლებმა რთველში მიიღეს მონაწილეობა

საქართველოს მთავარი პროკურორის მოადგილე გიორგი გოგაძე, პროკურატურის სხვა წარმომადგენლებთან და 25 მოზარდთან ერთად, კახეთში რთველს დაესწრო და სოფელ იყალთოს მოსახლეობას ყურძნის მოსავალის აღებაში დაეხმარა.

პროკურატურის პრესსამსახურის ცნობით, კახეთში ჩასულმა სტუმრებმა იყალთოს აკადემია დაათვალიერეს, სადაც გიორგი გოგაძემ რთველში მონაწილე ბავშვები 2014 წლის რთველში შეტანილი წვლილისთვის სპეციალური სიგელებით დააჯილდოვა.

დღის ბოლოს პროკურორებმა მოზარდების კითხვებს უპასუხეს და მათთვის საინტერესო თემებზე ესაუბრნენ.

პროკურატურის ინიციატივით, მოსწავლე-ახალგაზრდობის ჩართულობით სხვადასხვა ღონისძიებები მომავალშიც იგეგმება.

**ნიუსპრესი**

# მაია ფანჯიკიძე ვატიკანელ კოლეგას შეხვდა

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი მაია ფანჯიკიძე ქვეყანაში ოფიციალურ ვიზიტად მყოფ ვატიკანის საგარეო საქმეთა უწყების ხელმძღვანელ, არქიეპისკოპოსს დომინიკ მამბერტს შეხვდა.



როგორც დახურული შეხვედრის შემდეგ გამართულ ერთობლივ პრესკონფერენციაზე მინისტრმა განაცხადა, საქართველო ვატიკანთან ურთიერთპატივისცემაზე დაფუძნებული მეგობრული ურთიერთობების შემდგომ გაღრმავებას დიდ მნიშვნელობას ანიჭებს.

მისი თქმით, საქართველოში წმინდა საყდრის წარმომადგენელთა პირველი ვიზიტი მე-12 საუკუნით თარიღდება. მათ მიერ საქართველოზე გაკეთებულ ჩანაწერებს ჩვენი ქვეყნის ისტორიის შესწავლისა და ისტორიოგრაფიის გამდიდრებისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს.

„მადლიერებას იმსახურებს ის ჰუმანიტარული საქმიანობა, რომელსაც ვატიკანი საქართველოში „კარიტასის“ ორგანიზაციის მეშვეობით ეწევა. საუბარია სიღარიბის ზღვარს მიღმა მცხოვრები მოსახლეობის, უსახლკარო ბავშვებისა და გაჭირვებაში მყოფი სხვა მოქალაქეებისათვის გაწეულ დახმარებაზე — მიუხედავად მათი ეროვნული და რელიგიური კუთვნილებისა“, — აღნიშნა მაია ფანჯიკიძემ.



მისი თქმით, მხარეებმა შეხვედრისას საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებული მდგომარეობა, სტაბილურობასა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული საკითხები განიხილეს.

მაია ფანჯიკიძემ სტუმარს საქართველოს საგარეო პოლიტიკის ძირითადი პრიორიტეტები გააცნო; ქვეყანაში მიმდინარე პროცესებსა და რეფორმებზე ისაუბრა, რომლებიც დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების დაცვის განმტკიცებას ემსახურება.

„კერძოდ, არქიეპისკოპოსს საქართველოს მთავრობის მიერ ანტიდისკრიმინაციული კანონის მიღებასა და 2014-2020 წლების ადამიანის უფლებათა სტრატეგიის დამტკიცებაზე, ასევე პრემიერ-მინისტრთან რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს შექმნაზე ინფორმაცია მივაწოდე“, — აღნიშნა მაია ფანჯიკიძემ.

შეგახსენებთ, რომ ვატიკანის საგარეო უწყების ხელმძღვანელის ოფიციალური ვიზიტი 13 სექტემბერს დაიწყო და 16 სექტემბრის ჩათვლით გაგრძელდება. დაგეგმილია მისი შეხვედრა პრეზიდენტ გიორგი მარგველაშვილსა და პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილთან.

გარდა ამისა, იგი საოკუპაციო ხაზის გასწვრივ მდებარე სოფელ ხურვალეთს ეწვევა და იქ არსებულ რთულ ვითარებას პირადად გაეცნობა.

**მედიანიუსი**

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# მურმან დუმბაძე: „პარლამენტში ახალი ოპოზიციური ფრაქცია იქმნება“

შორენა მარსაგიშვილი

რატომ არ გრძნობს „ქართული ოცნებიდან“ გარიცხული მურმან დუმბაძე თავს გარიცხულად, რა ამბების დატრიალებას აპირებს პარლამენტში, რაზე მოუვიდა უთანხმოება ბიძინა ივანიშვილთან, ამ თემებზე ბათუმის მაჟორიტარი დეპუტატი **მურმან დუმბაძე** „ახალ თაობას“ ესაუბრება.

– 14 სექტემბერს გამართულმა „ქართული ოცნების“ პოლიტსაბჭოს სხდომამ პარტიიდან თქვენი გარიცხვის შესახებ გადაწყვეტილება მიიღო. თქვენ კი ამბობთ, რომ თავს გარიცხულად არ გრძნობთ და თავად დატოვეთ პარტია.

– კიდევ ერთხელ გავიმეორებ, მე თავს გარიცხულად არ ვთვლი. პარტია რომ მე დავტოვე, ამას ჩემი განცხადებებიც ადასტურებს. წინა კვირაში აჭარის უმაღლესი საბჭოს ფრაქცია „ქართულმა ოცნებამ“ ადგილობრივ მთავრობას უნდობლობა გამოუცხადა. იმ დღეებში მე არაერთ მედიასაშუალებას მივეცი ინტერვიუ, სადაც ვამბობდი, რომ თუ პოლიტსაბჭო აჭარის მთავრობისთვის უნდობლობის გამოცხადებას მხარს არ დაუჭერდა, მე პარტიას დავტოვებდი. ეს იყო ჩემი ულტიმატუმი. პოლიტსაბჭოს სხდომაზე უნდობლობის გამოცხადების საკითხს მხარი არ დაუჭირეს. პრემიერმა ირაკლი ღარიბაშვილმა მითხრა, თქვენ თუ ისევ აგრძელებთ ამ თემაზე საუბარს, მაშინ სააკაშვილის თამაშს თამაშობთო. რაც ჩემთვის აღმოჩნდა წყალგამყოფი. ვუთხარი, რომ ჩვენ ერთად ვერ ვიქნებოდით. ამის შემდეგ მითხრეს, რომ თავისუფალი ვიყავი პარტიიდან. ეს არის და ეს.

***– ელოდით, რომ პარტიიდან გაგრიცხავდნენ?***

– ბუნებრივია, არ ველოდი. არ ველოდი იმიტომ, რომ უკანონო არაფერი ჩამიდენია. იმათ რომც არ მიეღოთ ასეთი გადაწყვეტილება, მე მაინც დავტოვებდი პარტიას. საქართველოს მთავრობა კანონების მიღმა მოქმედებს. მთელი ცხოვრება კანონის შიგნით გავატარე და უკანონობის ჩამდენებთან ვერ გავჩერდებოდი. საჯარო პირი, სახელმწიფო მოხელე აუცილებლად უნდა უგდებდეს ყურს კანონს. კანონი თუ არ ვარგა, მაშინ ის უნდა შეიცვალოს. არსებობს კანონი? მაშინ ის უნდა დავიცვათ.

***– თქვენ საუბრობთ კანონიერების დაცვაზე. თქვენი ოპონენტები კი უკანონო ქმედებებში გდებენ ბრალს.***

– რა ჩავიდინე უკანონო? უკანონობაა, აჭარის მთავრობისთვის გამოცხადებულ უნდობლობას რომ მხარს ვუჭერ? ამ მთავრობისთვის უნდობლობის გამოსაცხადებლად უამრავი სამართლებრივი არგუმენტი არსებობს. უნდობლობის გამოცხადების უფლება დეპუტატებს კანონით აქვთ მინიჭებული. ვიღაცას შესაძლოა სურს, რომ მთავრობას ვაპატიოთ და ვაცალოთ, მაგრამ კანონში ასეთი რამ არ წერია. კანონში წერია, რომ არსებობს დარღვევები, მაშინ უმაღლესმა საბჭომ მთავრობას უნდობლობა უნდა გამოუცხადოს. ეს ნორმა არასდროს არ ამოქმედებულა. ამ მკვდარი ნორმის გაცოცხლებისთვის აჭარის უმაღლესი საბჭოს ფრაქცია „ქართული ოცნების“ წევრებს დიდი მადლობა მინდა ვუთხრა. ცენტრალურ ხელისუფლებასაც მადლობა უნდა ეთქვა მათთვის და მხარიც დაეჭირა. ეს პროცესი უნდა გაგრძელებულიყო. რაც იმას სულაც არ ნიშნავს, რომ მთავრობას გადააყენებდნენ. ამისთვის ხმების ორი-მესამედია საჭირო. ხმების ეს რაოდენობა შესაძლოა ვერ მოგროვილიყო, მაგრამ უნდა გაგრძელებულიყო და რაკი ცენტრალურმა ხელისუფლებამ მხარი არ დაუჭირა ამას, მე დავშორდი მათ. აწი ოპოზიციური ფლანგიდან გავაგრძელებ საქმიანობას.

***– „ქართულ ოცნებაში“ ამბობენ, რომ თქვენ გსურდათ აჭარის მთავრობის გაკონტროლება, ერეოდით მის საქმიანობაში და ამიტომ უჭერდით მისთვის უნდობლობის გამოცხადებას მხარს.***

– ეს არის ყურით მოთრეული ბრალდება. ამ ბრალდებას ვერ მივიღებ. ვინც ბრალს მდებს, დაასახელოს, ვის გაკონტროლებას ვცდილობდი. ჩარევით კი ვერეოდი. ჩარევა ჩემი სტიქიაა და ამას ვერავინ ამიკრძალავს. ყველა საქმეში ჩავერევი, მე ვარ დეპუტატი და ჩემი საკუთარი აზრი გამაჩნია. სხვა საქმეა, მოიწონებენ თუ არა ჩემს მოსაზრებას, მაგრამ მე ჩემს სათქმელს ყოველთვის ვიტყვი. აქამდეც ვერეოდი და მომავალშიც ჩავერევი. გადაწყვეტილებას ვერ მივიღებ. ბათუმის მერად რომ დასახელდა ერმაკოვი, ერთი ამბავი ავტეხე, მაგრამ გადაწყვეტილება ვერ შევაცვლევინე.

***– ერმაკოვს რას უწუნებდით?***

– რას ვუწუნებდი? ის იყო ახალაიას მარჯვენა ხელი.

***– რომელი ახალაიასი, ბატონო მურმან?***

– ციხეში რომ ზის, იმ ახალაიას მარჯვენა ხელი იყო. ის ლევან ვარშალომიძის ოჯახის წევრიც გახლავთ. იყო გაგანია ნაციონალი და 2012 წლის 1 ოქტომბრის მოწინააღმდეგე. ეს კაცი დღეს არის ქალაქ ბათუმის მერი. მე ჩემი სათქმელი ვთქვი, მაგრამ მას სხვებმა დაუჭირეს მხარი და გახდა მერი.

***– პარტიიდან დეპუტატების გარიცხვა ხშირად არ ხდება. ექსპერტები ეჭვობენ, რომ თქვენი გარიცხვით სხვა მეოცნებეებსაც მიანიშნეს, რომ ჭკვიანად იყვნენ.***

– ეს მოსაზრება სიმართლესთან ახლოს დგას. დეპუტატების საკმაო ნაწილი უკმაყოფილოა იმით, რაც ქვეყანაში ხდება.

***– უკმაყოფილო დეპუტატების ვინაობას არ დაასახელებთ?***

– მოვა დრო და ისინი თავის პოზიციას ღიად დააფიქსირებენ. გეტყვით იმას, რომ უკმაყოფილებას დეპუტატების საკმაოდ დიდი ნაწილი გამოთქვამს.

***– სად გამოთქვამენ ამ უკმაყოფილებას? საჯაროდ არანაირი განცხადებები არ გაკეთებულა.***



– ეს განცხადებები კეთდება პარლამენტის კულუარებში, კერძო საუბრებში და ა.შ. ეს ადამიანები ფიქრობენ, რომ „ქართულ ოცნებაში“ მათი ადგილი არ არის. ამიტომ არ გაგიკვირდეთ, თუ პარლამენტში ფრაქცია „ქართული ოცნებიდან“ წამოსულებმა ახალი გუნდი შექმნან.

***– გარიცხვის შემდეგ თქვენ განაცხადეთ, რომ პარლამენტს შეარყევთ. რას გულისხმობდით?***

– სახელმწიფოს საწინააღმდეგო საქმიანობას არ ვაპირებ. უბრალოდ ვთქვი, რომ პარლამენტში რყევები დაიწყება და ხალხი საპარლამენტო უმრავლესობის დატოვებას დაიწყებს. ამას ხელისუფლება შეგნებულად უნდა შეხვდეს. საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერმა დავით საგანელიძემ ვიცესპიკერობიდან ჩემი გამოწვევის საკითხი დააყენა. ეს არის პოლიტიკური პროცესი. სამწუხაროა, რომ მოქმედმა ხელისუფლებამაც შავი საქმეების კეთება დაიწყო. ასე იქცეოდა თავის დროზე ნაციონალური მოძრაობაც. ძალიან მაინტერესებს, რა მიზეზით გადამაყენებენ თანამდებობიდან, ქვეყანა ავურიე, სახელმწიფოს სუვერენიტეტს შევუქმენი საფრთხე თუ მთავრობა დავჩაგრე? პირდაპირ თქვან, რომ განსხვავებული აზრის გამო ხდება ჩემი დევნა. დღეს რაც ჩემ მიმართ ხდება, ბიძინა ივანიშვილთან მომხდარ უთანხმოებას უკავშირდება.

***– რაზე მოგივიდათ უთანხმოება?***

– ჩვენი კონფლიქტი აზიზიეს მეჩეთის თემას უკავშირდება, წელიწადნახევრის წინ, როდესაც ჯერ კიდევ ბიძინა ივანიშვილი პრემიერ-მინისტრი იყო. მე მას ვუთხარი, რომ აზიზიეს სახელობის მეჩეთი ბათუმში ვერ და არ აშენდება და წერტილი დასმულია-მეთქი. ნახევარი წლის განმავლობაში ყოფილი პრემიერი არ მელაპარაკებოდა, რადგან ჩვენ აზიზიეს მეჩეთზე ვერ შევთანხმდით. პარტიიდან ჩემი გარიცხვის ერთ-ერთი მიზეზი ესეც იყო. ცენტრალურ ხელისუფლებას უნდა, რომ რეგიონებში თუ პარლამენტში მორჩილი ადამიანები ჰყავდეთ. მე არ მიყვარს მორჩილება და არც ახლა ვაპირებ მორჩილებას. 14 სექტემბერს გამართული პოლიტსაბჭოს სხდომა იყო მორჩილების ნიმუში.

***– რას გულისხმობთ?***

– სხდომას პოლიტსაბჭოს 12 წევრიდან 9 ესწრებოდა. ჩემ საკითხთან დაკავშირებით არც კენჭისყრა ჩატარებულა. შესაბამისად, არც მომხრე ყოფილა და არც წინააღმდეგი.

***– ეს როგორ?***

– ერთმა თქვა, გარიცხული ხარო და გამრიცხეს.

***– ის ერთი ალბათ პრემიერი იყო.***

– ირაკლი ღარიბაშვილი გახლდათ. აქ პროცედურაც დარღვეული იყო. გარიცხვასთან დაკავშირებით კენჭისყრა უნდა ჩატარებულიყო.

***– პარტიიდან გარიცხვის შემდეგ თუ დაგირეკეს კოლეგებმა, მხედველობაში „ქართული ოცნების“ დეპუტაცია მყავს.***

– ძალიან ბევრმა დამირეკა. რამდენიმე მათგანი სახლშიც მესტუმრა. დიდი მადლობა მათ მხარდაჭერისთვის. ძალიან ბევრმა ადამიანმა დამირეკა და მხარდაჭერა გამომიცხადა. ჩვენ გარშემო რატომღაც ტაბუ დაადეს ზოგიერთი პიროვნების კრიტიკას. თვლიდნენ, რომ არ შეიძლება პრემიერ-მინისტრის გაკრიტიკება. საიდან მოიტანეს, რომ ვინმეს კრიტიკა არ შეიძლება? მოქმედი პრემიერიც უნდა გააკრიტიკოთ, ყოფილი პრემიერიც და რიგითი მურმან დუმბაძეც. საქართველოში ადამიანებს საკუთარი აზრის გამოთქმის უფლება აქვს. მე ვერავინ ვერ გამაჩერებს. ჩემი სტიქია ბრძოლა, მოქმედება და აზროვნებაა.

***– 2012 წლის არჩევნების წინ ყველას გვახსოვს თქვენი ცნობილი წყევლა. ახლა ამის ადრესატი ხომ არ შეიცვლება და ვინც „ქართულ ოცნებას“ შემოხაზავს...***

– არაფერი გამორიცხული არ არის. ისე კი, „ქართული ოცნების“ დაწყევლა რაღად მინდა, ისედაც ნაციონალები ხდებიან და ფაქტიურად დაწყევლილები არიან.

***– ოპოზიციონერი დეპუტატის რანგში პარლამენტში მწვავე გამოსვლებს აპირებთ?***

– რა თქმა უნდა, მწვავე იქნება. არჩევნების წინ მოსახლეობას დავპირდით, რომ გონიოში მცხოვრებ 300 ოჯახს იმ მიწებს დავუბრუნებდით, რომელიც მათ სააკაშვილმა წაართვა. ეს მიწები არ დაბრუნებულა. სად არის იმ ადამიანების დაწინაურება, რომლებმაც შექმნეს ეს გამარჯვება. სამაგიეროდ, დააწინაურეს დამრბევები. აბა შეხედეთ, ყოფილ ნაციონალებს როგორ აფასებენ. თანამებრძოლებს გადმობარგებულები ურჩევნიათ.

***– რატომ?***

– გადმოსული უფრო ლოიალური ხდება შენ მიმართ. უნდათ, ქვეყანა ასეთი ადამიანების ხელით მართონ.

***– ვინმესთან თუ აპირებთ პარლამენტში თანამშრომლობას?***

– მე არავისთან არ მივალ და არ ვეტყვი – აბა ისე, აბა ასე. მე ღრმად მწამს, რომ საქართველოს პარლამენტში ოპოზიციური ფრაქცია აუცილებლად შეიქმნება.

***– როდისთვის შეიქმნება ახალი ფრაქცია?***

– თარიღს ვერ გეტყვით, მაგრამ ეს გარდაუვალია. ისევე, როგორც აჭარის უმაღლეს საბჭოში „ქართული ოცნების“ ფრაქციის დაშლა.

***– ეს ნაციონალების წისქვილზე ხომ არ დაასხამს წყალს?***

– ნაციონალების წისქვილზე გაჩერებული წარმოება და არაეფექტური მთავრობა დაასხამს წყალს. შეუსრულებელი დაპირებები და ხელისუფლებაში მლიქვნელების მოყვანა დაასხამს ნაციონალების წისქვილზე წყალს.. ხელისუფლება გაბედულმა ადამიანებმა უნდა მართონ.

# ირაკლი ღარიბაშვილი: „მოსასმენი აპარატურა ისევ ნაციონალების ხელშია“

შორენა მარსაგიშვილი

სატელეფონო საუბრების მოსმენა კვლავ აქტუალურია. არადა, მეოცნებე ხელისუფლება გვპირდებოდა, მოსმენების დრო წარსულს ჩაბარდაო. რამდენიმე თვის წინ მოსმენებზე ღაწვები ნაციონალებმაც დაიხოკეს. დეპუტატები გოგა ხაჩიძე და ზურაბ ჯაფარიძე ამტკიცებენ, რომ სატელეფონო საუბრების მოსმენა ისევ ხდება. ამაში, ცხადია, ისინი მოქმედ ხელისუფლებას აბრალებენ.

გიორგი მარგველაშვილის გარშემო ატეხილმა ალიაქოთმა ეს თემა ოდნავ უკან გადაწია. შესაძლოა, ეს კარგა ხანს აღარ გახსენებოდათ, მაგრამ ნაპრემიერალმა ბიძინა ივანიშვილმა ატეხა განგაში.




ყოფილი პრემიერ-მინისტრის, ბიძინა ივანიშვილის განცხადებით, მისი ჟურნალისტობის შესახებ ინფორმაცია ტელეფონების მოსმენის საშუალებით გავრცელდა. ამ თემაზე ივანიშვილმა გაზეთ „კვირის პალიტრასთვის“ მიცემულ ინტერვიუში განაცხადა.

– რაც შეეხება ჩემს სავარაუდო ჟურნალისტობას, სხვათა შორის, ეს თემა ერთ-ერთი საბუთი იყო იმისა, რომ ტელეფონებზე კვლავ გვისმენენ, მათ შორის – მეც. სავარაუდო ჟურნალისტობაზე აბსოლუტურად განსჯის სახით ვესაუბრებოდი ვიღაცას და მეორე დღეს ჟორჟოლიანმა ეს ტელევიზიით გადმოსცა, – განაცხადა ივანიშვილმა.

ჟურნალისტის კითხვაზე, თუ ვინ შეიძლება უსმენდეს მას, ყოფილმა პრემიერმა განაცხადა, რომ ალბათ ისევ ნაციონალური მოძრაობა.

– თუ გახსოვთ, „ვერის უბნის მელოდიებში“ არის ასეთი ეპიზოდი: ქურქი სად არისო, და კარგად იცი, სადაც უნდა ეძებოო... 9 წლის განმავლობაში ეს ხალხი (ნაციონალები) ძირითადად ამას აკეთებდა და ამაზე ჰქონდა აგებული ყველაფერი. თუ გვისმენენ, ალბათ, ისევ ესენი გვისმენენ. თუმცაღა, ისევ მათი მხრიდან ისმის კრიტიკა, რომ მოსმენებს დღევანდელი მთავრობა ახორციელებს. არადა, არც ერთი მაგალითი არ დაუსახელებიათ. ამას მე დიდი ყურადღებით ვადევნებ თვალყურს და ჩემთვის კატასტროფა იქნებოდა, თუ მსგავსს დღევანდელი მთავრობა გაიმეორებდა, – განაცხადა ივანიშვილმა.

ივანიშვილის განცხადებას მოგვიანებით მისი პოლიტიკური მემკვიდრე, მოქმედი პრემიერი ირაკლი ღარიბაშვილი გამოეხმაურა.

მთავრობის მეთაურის განცხადებით, დიდი ვარაუდი არსებობს იმისა, რომ მოსასმენი საშუალებები, რომელიც წინა მთავრობამ საქართველოში შემოიტანა, ნაციონალურ მოძრაობას ისევ ხელთ აქვს.

ღარიბაშვილის თქმით, მოწყობილობები, რომლითაც შეიძლება მოსმენები ხორციელდებოდეს, წინა ხელისუფლების დროსაა შეძენილი, ამ დროისთვის კი ვითარების კონტროლი ვერ ხერხდება.

– ბიძინა ივანიშვილს ინტერვიუში ძალიან საინტერესო საუბარი აქვს და მიმდინარე საკითხებზე ძალიან სერიოზულ აქცენტებს აკეთებს. ჩვენმა მთავრობამ საზოგადოებას განუმარტა, რომ მოსმენები, სამწუხაროდ, წლების განმავლობაში ხდებოდა. სამწუხაროდ, არსებობდა საშუალებები, რომელიც წინა მთავრობის დროს იქნა შეძენილი. ჩვენ გვაქვს ინფორმაცია და დიდი ვარაუდი არსებობს იმისა, რომ ეს საშუალებები მათ ჯერ კიდევ ხელთ აქვთ, – განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

ამ აჟიოტაჟს ნაციონალებიც გამოეხმაურნენ და ბრალდებას სისულელე უწოდეს. ბრალდების აბსურდულობაზე შსს-ს ყოფილი მაღალჩინოსანი შოთა უტიაშვილიც საუბრობს.

– ის რომ პორტატული აპარატურა არ არსებობს, ეს თავადაც კარგად იციან „ალბათ გახსოვთ, რომ იყო სკანდალი გაზაფხულზე, როდესაც დაფიქსირდა მაღალი თანამდებობის პირების და ოპოზიციის წევრების უკანონოდ მოსმენის ფაქტები. მაშინ ხელისუფლებამ გააკეთა განცხადება, რომ იყო რაღაც ფარული აპარატურა, რომელიც ჰქონდა ოპოზიციას და მათ განაცხადეს, რომ ამ საქმეს მალე გახსნიდნენ – უახლოეს დღეებში. მათ მართლა უნდოდათ, როგორც ჩანს, საქმის ასე წარმოდგენა, ვიღაცები დაკითხეს, ვიღაცებისგან ჩვენებები აიღეს და აღმოაჩინეს, რომ ეს აპარატურა, რომელიც ინტერნეტში იპოვეს, სინამდვილეში გამოსული იყო 2012 წლის დეკემბერში და ამიტომ ამ საქმეზე ხელი ჩაიქნიეს და აღარ უხსენებიათ იმის მერე. ის, რომ პორტატული აპარატურა არ არსებობს, ეს რომ იციან, ეს ცხადია. თქვენ გაგიგიათ, რომ რომელიმე ქვეყანაში – ერთში მაინც, რომ მთავრობას ეთქვას, რომ ოპოზიცია მისმენსო, ასეთ რაღაცას ვერ ნახავთ, არ არსებობს იმიტომ, რომ ასეთი პრეცედენტი, მე, რამდენადაც ვიცი, არ ყოფილა. ეს პორტატული აპარატურა ყველასთვის რომ ხელმისაწვდომი იყოს, მაშინ ყველა ყველას მოუსმენდა, ასეთი რაღაცები არ ხდება და იმიტომ არ ხდება, რომ არის ჯერ ტექნოლოგიების განვითარების თანამედროვე ეტაპზე ან ფიზიკურად შეუძლებელია, ამიტომ ჯობია, რომ სისულელეების ლაპარაკს თავი დაანებონ და საქმით დაკავდნენ, ბევრად უკეთესი იქნებოდა, – განაცხადა „პირველ რადიოსთან“ საუბარში შოთა უტიაშვილმა.

**სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი**

სერტიფიცირებული და სტაჟიანი მასაჟისტი გთავაზობთ სამკურნალო და გამაჯანსაღებელ მასაჟს. ოსტეოქონდროზის, ძვალსახსროვანი დაავადებების, ნევრიტების, პოსტტრავმულისარეაბილიტაციო, მყესის დაჭიმულობის, კუნთის გათიშვის და ინსულტის შემდგომი პერიოდის მასაჟს. ჩვილ ბავშვთა და მოზარდთა მასაჟს: ბრტყელი ტერფი, დისპლაზია, ხერხემლის დეფორმაციები, პარეზი, კისერმრუდობა, რაქიტული და სიმაღლეში ზრდის სპეციალურ მასაჟს ვარჯიშებთან ერთად. აგრეთვე კოსმეტიკურ, გასახდომ და ცელულიტის დამშლელ მასაჟს თაფლით და ვაკუუმით. საუკეთესო შედეგებით.

☎ 555-02-32-08. ქალბატონი ფიქრია

# სოსო რობაქიძე: „დაკითხეთ ოქრუაშვილი!“

გულიკო ბალაძე

განა რა ისეთი ძნელია რამდენიმე პროფესიონალი, პატიოსანი, გაუსვრელი, სიმართლის დადგენით მოტივირებული პიროვნების შერჩევა, რომ სააკაშვილის პირობებში ქუჩაში დახვრეტილი ბიჭების საქმეები პირუთვნელად გამოიძიოს და ის სირცხვილი ჩამოგვრეცხოს, რაც ამგვარი საქმეების გამოუძიებლობითაა გამოწვეული.

ნაციონალები ყველა დონის ხელისუფლებიდან წავიდნენ, მაგრამ ქუჩებში ჯერ კიდევ მათ მიერ დახოცილი (დედისერთა) ბიჭების დედებისა და მამების ქვითინი და გოდება ისმის. ჯერ კიდევ ნაციონალების მიერ ჩადენილი დანაშაულობების გამოძიება არ დასრულებულა.

სააკაშვილის ხელისუფლების დროს, ე.წ. სამართალდამცავი ორგანოები რობაქიძის, ვაზაგაშვილის გამცემლიძისა და სხვა ბიჭების მკვლელობის საქმეების გაფუჭებით იყვნენ დაკავებული.

ამის შესახებ მთავარი პროკურორის მოადგილემ ირაკლი შოთაძემ მოკლული ბუტა რობაქიძის მამას, სოსო რობაქიძეს განუცხადა.

სოსო რობაქიძე მისი შვილის ბუტა რობაქიძის მკვლელობის საქმის გამოძიებას კიდევ ერთხელ მოითხოვს და ამისთვის პროკურატურას ვადას იანვრამდე აძლევს. ის დღეს მთავარ პროკურატურაშია დაბარებული. ბუტა რობაქიძის საქმე კი ქალაქის პროკურატურაშია.

ამის თაობაზე „პრაიმ-ტაიმის“ პრესკლუბში გამართულ ბრიფინგზე სოსო რობაქიძემ განაცხადა.

როგორც ირკვევა, არჩილ კბილაშვილის წასვლის შემდეგ, ბუტა რობაქიძის საქმე ქალაქის პროკურატურაში გადაიგზავნა გამოსაძიებლად. თუმცა, დღემდე არაფერი გამოძიებულა.

სოსო რობაქიძისათვის საქმის ქალაქის პროკურატურისთვის გადაცემა ოთხი თვის შემდეგ გახდა ცნობილი.

— „რუსთავი-2-თან“ იმდენი პრეტენზია მაქვს, რამდენიც თავზე თმა არ მაქვს. ამ ტელევიზიით ჩემი შვილის სიკვდილი მაყურებინეს ჩემი თვალით. ბუტას საქმე ქალაქის პროკურატურას გადაეცა. ახლა პროკურორი ჩიქოვანი, რომელსაც საქმე მიჰყავდა, ჩამოაცილეს საქმეს. მთავარი პროკურორის მოადგილემ, ბატონმა ირაკლი შოთაძემ დამირეკა, დღეს მთავარ პროკურატურაში ვარ დაბარებული. არჩილ კბილაშვილის შემდეგ ფარცხალაძემ საქმე ქალაქის პროკურატურაში გადააგზავნა. დაახლოებით 4 თვის განმავლობაში არ ვიცოდი, თუ საქმე გადაცემული იყო ქალაქის პროკურატურისთვის. ხომ უნდა მცოდნოდა, — განაცხადა სოსო რობაქიძემ.

როგორც სოსო რობაქიძემ განაცხადა, ამ საქმეში, პრაქტიკულად, არაფერი გამოუძიებიათ. მხოლოდ ახლანდელზე არ ვამბობ. საქმე ქალაქის პროკურატურაში გადაიტანეს, მაგრამ ჯერ ერთი მოწმეც არ დაუკითხავთ. ბოლო სასამართლო პროცესიდან ერთი წელი გავიდა, მაგრამ მომდევნო სასამართლო სხდომა ჩანიშნულიც არ არის. პროკურორმა არც ის იცოდა, როდის გაიმართება სასამართლო პროცესი. დღეს მაქვს შეხვედრა მთავარი პროკურორის მოადგილე ირაკლი შოთაძესთან. ამ საქმეს აუცილებლად გადაიტანენ მთავარ პროკურატურაში. მე ამას მოვითხოვ. ეს არის მთავარი პროკურატურის გამოსაძიებელი საქმე, — ასეთია სოსო რობაქიძის მოთხოვნა.

სოსო რობაქიძე მიიჩნევს, რომ მისი შვილის მკვლელობასთან დაკავშირებით გამოსაძიებელია როგორც ჩინოვნიკების, ასევე პოლიციელების ბრალეულობა.

— ეს საქმე ორი ნაწილისაგან შედგება. გამოსაძიებელია, ერთი — ჩინოვნიკებისა და მეორე — პოლიციელების საქმეები. ჩინოვნიკების საქმის გამოძიება ჯერ არ დაწყებულა. ჩინოვნიკების ბრალეულობა ქალაქის პროკურატურის გამოსაძიებელი საქმე არ არის, მთავარმა პროკურატურამ უნდა გამოიძიოს. ალბათ, გადაიტანენ. მე ეს მოთხოვნა აუცილებლად მექნება. ეს საქმე ორადაა გაყოფილი და შეიძლება ერთი საქმე, რომელიც ეხება პოლიციელებს, დარჩეს ქალაქის პროკურატურაში, მაგრამ მეორე საქმე, რომელიც ჩინოვნიკებს ეხება, აუცილებლად მთავარმა პროკურატურამ უნდა გამოიძიოს. ეს ჩემი მოთხოვნაა, — აცხადებს სოსო რობაქიძე.



სოსო რობაქიძე აღნიშნავს, რომ პროკურატურაში პროფესიონალები არ ჰყავთ. პროკურატურა და პოლიცია სავსეა დამნაშავეებით და წმენდაა ჩასატარებელი.

**ნაციონალებმა ჭკუიდან გადამიყვანეს. რამდენიმე ადამიანს თავი გვაქვს გადადებული. თუ შეიქმნა ნაციონალების ხელისუფლებაში დაბრუნების საშიშროება და დავინახავთ, რომ ათეულიდან რომელიმე ლიდერი ხელისუფლებაში მოდის, შვილის საფლავს ვფიცავარ, მე თვითონ დავხოცავ მათ, სანამ მოვლენ, მთავრობაში დასხდებიან და დაცვით დაიწყებენ სიარულს.**

— პროკურატურაში ჭირს პროფესიონალიზმი. ნამდვილად ჭირს. მე რომ ვხვდები ადამიანებს და ვესაუბრები, ჩანს, რომ პროფესიონალიზმის თვალსაზრისით უჭირთ. 10 წლის განმავლობაში იმხელა გამოცდილება მივიღე, ვგრძნობ, რაღაც-რაღაცებში მათზე მეტიც ვიცი. იურიდიული განათლება არ მაქვს მიღებული, მაგრამ რაღაც-რაღაცებში იღებს ადამიანი გამოცდილებას, — ამბობს იგი.



ბუტა რობაქიძე

სოსო რობაქიძე მიიჩნევს, რომ მისი შვილის საქმის გამომძიებლები არ უნდა ჩამოეცილებინათ გამოძიებისთვის. ახლა ეს არის დროის მოგება და მოიგეს კიდეც. მას შემდეგ ორი წელი გავიდა. საერთოდ, არც ერთი საქმე ბოლომდე მიყვანილი არ არის. ბუტას საქმე თავიდან დაიწყო, რომელიც ოთხეულში იყო. მერე დაიწყო ზურაბ ჟვანიას საქმე. ატყდა ამაზე ერთი ამბავი. ასე ატეხავენ ერთ ამბავს და მერე ისე გაითიშებიან, თითქოს არაფერი, — ასე აფასებს გამოძიების მუშაობას შვილმოკლული მამა.

სოსო რობაქიძე ოქრუაშვილის დაკითხვას მოითხოვს. მისი აზრით, ოქრუაშვილის დაკითხვა აუცილებელია, რომ გამოძიება სწორ გზას დაადგეს.

— ვისზეც ვეუბნები, რომ დასაკითხია, არ კითხავენ. აი, მაგალითად, ოქრუაშვილი, იყო შს მინისტრი. ოქრუაშვილისა და ადეიშვილის ბრძანებით ჩაიდო იქ იარაღები. ბუტას მეგობრები, რომლებიც იმ დღესვე გაათავისუფლეს, მათივე ბრძანებით შეუშვეს ციხეში. ახლა ოქრუაშვილი თავიდან ბოლომდე სუფთაა. გეკითხებით, მთავარი ვინც იყო — შს მინისტრი ირაკლი ოქრუაშვილი, ყველანაირი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლებული და გათეთრებულია? გეკითხებით, როგორ დაადგებიან ისინი სწორ გზას თუ ოქრუაშვილს არ დაკითხავენ? ვერანაირად ვერ დაადგებიან, — ასკვნის სოსო რობაქიძე.

სოსო რობაქიძის განცხადებით:

— ოქრუაშვილი ბევრ ვინმეს დაადებდა ხელს და ბევრ ვილაცაზე დაიწყებდა ლაპარაკს, მაგრამ მას ხელს არ ჰკიდებენ. ადეიშვილი გაქცეულია. სააკაშვილს აგერ აჭარული ხაჭაპური მოენატრება, ჩამოვა სარფთან, ხაჭაპურს შეჭამს, წავა. მაინტერესებს, ვინ უნდა აგოს პასუხი? ჩემი მეგობარია იური ვაზაგაშვილი და ერთ დღეში ვართ. იურის შვილის მკვლელობაში ვინც არის გარეული, ყველა დაწინაურებულია — ზოგი პოლიციის უფროსად, ზოგი სად და ზოგი სად. დღეს ყველა თანამდებობის პირები არიან. პროკურატურა და პოლიცია თავიდან ბოლომდე გასაწმენდია (80% გასაწმენდია). თუ დღეს ვინმე ხელს უშლის პროკურატურასა და პოლიციას, უშლის ის ხალხი, ვინც ძველი გადმონაშთია, ნაციონალების დროს მუშაობდა. ისინი აფუჭებენ პატრულში საქმეს. არ გამოიძიებენ ჩემი შვილის, ვაზაგაშვილის, ჟვანიასა და სხვა ასეთ საქმეებს (რომელიც ძალიან ბევრია), დადგება საკითხი პროტესტის გამოხატვისა, ქუჩა იქნება, ტელევიზია თუ — ევროპული სასამართლოები.

— გამოძიება არ უნდა გაიწელოს. იმის გამბედაობა უნდა ეყოთ, რომ ამ ხალხს პასუხი მოსთხოვონ. დონაძე, მიქაძე და ის ადამიანები, რომლებიც ძალიან ბევრ საქმეში არიან ჩართული, არ შეიძლება დადიოდნენ გირაოთი. არ შეიძლება ამ ადამიანებს ერთმანეთთან კომუნიკაციები ჰქონდეთ, რადგან ეს, პირველ რიგში, თვითონ გამოძიებას უშლის ხელს. მათ ეს ვერ გავაგებინე. სად წაიღეს ის ავტომატი, რომელიც მიქაძეს ხელში უჭირავს და აცხადებს, რომ ბანდიტმა რობაქიძემ გაისროლა, მაგრამ ააცილა პოლიციელს და საპასუხო სროლის შედეგად მოკლეს? ჩემი შვილის მკვლელობიდან 11 თვის შემდეგ, თვითონ ნაციონალების დროს მოუხსნეს ავტომატის ქონა ბუტას. ის ავტომატი სად წაიღეს? თქვან, მიქაძემ სად წაიღო ის ავტომატი? ამბობენ, რომ ეძებენ. რას ეძებენ? მე გეუბნებით, ირაკლი ფირცხალავამ უნდა თქვას. პოლიციიდან წამოვიდა ტყვიები და ავტომატები (პირდაპირ ხელს ვადებ და მიჩივლოს, სადაც უნდა) „რუსთავი-2-ზე“ გაბუნიას ჰყავდა მიყვანილი, ახლა რაღაც არასამთავრობო გახსნეს. რომ დაიჭირონ, სათქმელი ჰქონდეთ, თითქოს არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელია. ვანო მერაბიშვილს კი არ ახსენებენ, როგორც ყოფილ შს მინისტრს, ახსენებენ, როგორც პარტიის ლიდერს, პრემიერ-მინისტრს. აცხადებენ, პოლიტიკურზე დაიჭირესო. იმას კი არ ამბობენ, 9 წელი სად იმუშავა. „რუსთავი-2-ც“ ამას უწყობს ხელს. ამბობენ პოლიტდევნებიაო. ჩემი შვილის საფლავს ვფიცავარ, თუ სააკაშვილი და ადეიშვილი დამნაშავეები არ აღმოჩნდებიან, თავდებად დავუდგები, რომ არ დააპატიმრონ და ერთი საათითაც კი ვერ დააკავებენ. ჩამოვიდნენ და თავისი ქვეყნის კანონებს პატივი სცენ. პატივი სცენ იმ კანონებს, რომელთა 80% მათი დაკანონებულია. პოლიტპატიმრებს ეძახიან. პოლიტპატიმარი ყოფილა ადეიშვილი და სოსო თოფურიძე, რომლებიც გაქცეულები არიან. რამდენ კაცსაც დააპატიმრებენ, იმდენს პოლიტპატიმრებად რაცხავენ. ეგენი პოლიტპატიმრები არ არიან, ყველანი ციხეში უნდა ისხდნენ, — მიაჩნია სოსო რობაქიძეს.

სოსო რობაქიძე აღნიშნავს, რომ ბოკერია და ძმანი მისნი ახლა ამერიკაში წავიდნენ, უნდათ თავი „გაიპრავონ“.

— ნაციონალებს ამერიკაში ლობისტებისთვის ფულები აქვთ გადახდილი და ვისაც იჭერენ, თურმე ყველა პოლიტპატიმარია. საწყალი იტალიის პრემიერ-მინისტრი და საფრანგეთის პრეზიდენტიც პოლიტპატიმარი ყოფილა. ამერიკელებმა თვითონ სამი პრეზიდენტი მოკლეს და მთელ ქვეყანას დღე და ღამ სასამართლოებში დაათრევენ. ვის რად უნდა ეგეთი ამერიკა. ამერიკამ თავის შინაურ საქმეს მიხედოს. თუ ჩვენი საქმე კარგად არ გადაწყდა, ჩავალთ აშშ-ში და როგორი პოლიტპატიმრები არიან, ვაჩვენებ. იმდენი მასალა, იმდენი ფილმი მაქვს დაგროვილი ნაციონალებზე, მერე გამოვიდეს „რუსთავი-2“ და ამართლოს გინდ მიშა და გინდ — ადეიშვილი.

***— იარაღი ფირცხალავამ სად წაიღო?***

— პოლიციაშია. მაშინ იყო ფირცხალავა და დარწმუნებული ვარ, ის იარაღები ვაკის პოლიციაში სხვადასხვა პოლიციის სამმართველოებიდან მიიტანეს. შემდეგ კი ისევ პატრულს დაუბრუნეს. თქვენ გახსოვთ, ფირცხალავა გამოვიდა და თქვა, ამ ბიჭებს იარაღები ჰქონდათო. დაუსვით კითხვა, თუ ჰქონდათ იარაღები და ჩამორთმეულია, გვაჩვენოს. ბავშვებს ხომ ჰქონოდათ იარაღი, ნომერი მაინც მოიტანოს იმ იარაღებისა და დადოს. ბუტას ავტომატის ნომერი მოიტანოს, სხვა ბიჭების ატომატის ნომრები მოიტანოს. ხომ ამბობს, ავტომატები ჰქონდათო.

სოსო რობაქიძე ამბობს, რომ მთავარი პროკურორის მოადგილე ირაკლი შოთაძე ახლა შემეხმიანა. ადრე სავიზიტო ბარათიც მისცა. დაახლოებით 10-12-ჯერ სცადა დაკავშირება, მაგრამ მათ შორის კომუნიკაცია არ აღდგა.

— მთავარი პროკურორის მოადგილეს პირდაპირ ვუთხარი, რომ ასეთი საქმეების გადაწყვეტას მხოლოდ მთავარი პროკურორი და მთავარი პროკურორის მოადგილე კი არა, პოლიტიკური ნება სჭირდება. საზღვარგარეთიდან არასამთავრობოები მოდიან. ამ არასამთავრობოებს მე 2004 წლიდან ვადევნებ თვალყურს. არ მინახავს, ვინმე იბრძოდეს. რაც „გადაარჩინე სიცოცხლეს“ აქვს გაკეთებული, 90 არასამთავრობოს და პარტიას არ აქვს გაკეთებული. ის სტატისტიკა, რასაც თქვენ კითხულობთ, რამდენი პატიმარი იყო, რამდენია მოკლული, რამდენია გამქრალი, რამდენი — ნაწამები, სულ „გადაარჩინე სიცოცხლის“ გაკეთებული სტატისტიკაა, მაგრამ რატომღაც ეს ორგანიზაცია არ უნდათ. ეტყობა, გრანტებს ვინც იღებს, ისინი მოსწონთ მხოლოდ. ჩვენ ფინანსებზე, საერთოდ, უარი ვთქვით. ამ საქმეს მართლა აეხდება ფარდა. თუ აქ არ გადაწყდა ის, რაც გადასაწყვეტია, თუ არ გამოიძიებენ ბუტა რობაქიძის, ვაზაგაშვილისა და სხვათა საქმეებს, ამას ჩვენ მივხედავთ. მე თავი გადადებული მაქვს.

***— გამოძიება ჭიანურდება?***

— რა თქმა უნდა. ამ საქმეს 10 წლის განმავლობაში ყველაფერი შევწირე. ახლა თუ ვიღაც წესიერად არ გამოიძიებს, ჰგონიათ, რომ გავჩერდები? 2007 წელი მოგონილი იქნება. თანაც მხოლოდ მე არ ვარ. ჩვენ, „გადაარჩინე სიცოცხლეს“ 400 ათასი კაცის ხელმოწერა გვაქვს დადებული, „ოცნება“ რომ მოსულიყო. ეს ასე არ დამთავრდება. თუ არ გამოიძიებენ, მაშინ ნებისმიერი მკვლელი იტყვის, თუ მათ არ იჭერთ, მე რატომ მიჭერთო. ეს საქმე უნდა იყოს მთავარი პროკურორისა და მთავარი პროკურორის მოადგილის მონიტორინგის ქვეშ. ყოველდღე თუ არა, ორ დღეში ერთხელ გამოძიების შედეგებს უნდა კითხულობდნენ.

***— შოთაძეს ერთიანი ვადა ხომ არ უთქვამს?***

— ერთიანი ვადა არ უხსენებია, თვის ბოლოს დაიწყება სასამართლოებიო. თან მითხრა, ეს საქმე ძველი გამოძიებების დროს გაფუჭებულია. საქმე კბილაშვილამდე გააფუჭეს. მე ვუთხარი, მაშინ გამოძიება გააჩერეთ, ან თქვენ გამოიძიეთ კარგად-მეთქი. საქმე ვინც გააფუჭა, ვინც იყო პასუხისმგებელი პროკურატურაში გამოძიებაზე, იმ ადამიანებმა და მათმა უფროსებმა პასუხი უნდა აგონ. ეს არის „ოცნების“ გასაკეთებელი. ამას ნაციონალები ვერ გააკეთებენ. ჩვენ თუ არ მოვალთ, აგერ ნაციონალები მოვლენ და ხმა უნდა მისცეთო. ის ნაციონალებიც გაიწევიან ერთ-ორ წელიწადში. „ქართულმა ოცნებამ“ კარი რომ გაუღოს და დაპატიჟოს, მოდით, ახლა პარლამენტშიც თქვენ იყავით და მთავრობაშიცო, მაინც ვერ მოვლენ. თუ ნაციონალები მოვლენ ხელისუფლებაში, საქართველოში მეორედ მოსვლა დაიწყება. ნაციონალებმა ჭკუიდან გადამიყვანეს. რამდენიმე ადამიანს თავი გვაქვს გადადებული. თუ შეიქმნა ნაციონალების ხელისუფლებაში დაბრუნების საშიშროება და დავინახავთ, რომ ათეულიდან რომელიმე ლიდერი ხელისუფლებაში მოდის, შვილის საფლავს ვფიცავარ, მე თვითონ დავხოცავ მათ, სანამ მოვლენ, მთავრობაში დასხდებიან და დაცვით დაიწყებენ სიარულს.

**ამ საქმეს 10 წლის განმავლობაში ყველაფერი შევწირე. ახლა თუ ვიღაც წესიერად არ გამოიძიებს, ჰგონიათ, რომ გავჩერდები? 2007 წელი მოგონილი იქნება. თანაც მხოლოდ მე არ ვარ. ჩვენ, „გადაარჩინე სიცოცხლეს“ 400 ათასი კაცის ხელმოწერა გვაქვს დადებული, „ოცნება“ რომ მოსულიყო. ეს ასე არ დამთავრდება.**

# რა წერილები მიიღეს პოლიტპატიმრებმა

## „რეპრესირებულებისთვის ემეტებათ 150 ლარი, თავისთვის — ფუფუნება“.

მარიკა მჭედლიშვილი

სააკაშვილის რეჟიმის დროს რეპრესირებულმა პირებმა, რომლებიც „ქართული ოცნების“ ხელისუფლებამ ოფიციალურად აღიარა პოლიტპატიმრებად, საქართველოს იუსტიციის სამინისტროდან ერთნაირი წერილები მიიღეს. ამაზე პირველად „ახალი თაობისათვის“ ორი კვირის წინ მიცემულ ინტერვიუში განაცხადა „ყინწვისის“ გახმაურებული საქმის პოლიტპატიმარმა ჯემალ გუნდიშვილმა. წერილის ადრესატები სხვა პოლიტპატიმრებიც გახდნენ. იუსტიციის სამინისტროს შეხმიანებამ თითქმის ყველა მათგანში აღშფოთება და ღიმილი გამოიწვია.

შესავალში ადრესატებს ისეთ ქება-დიდებას უთვლიან, კაცი იფიქრებს, იუსტიციის სამინისტრო, სულ ცოტა, მართლმსაჯულების ხარვეზების დამდგენ კომისიას ქმნის და უდანაშაულოდ რეპრესირებულებს ბოლომდე გამართლებას, ასევე სამსახურებში დაბრუნებას ჰპირდებაო. ამ კომისიის შექმნაზე სახელმწიფომ იუსტიციის მინისტრის პირით უარი ჯერ კიდევ ზამთარში თქვა. თეა წულუკიანმა მაშინ განაცხადა, სახელმწიფოს საამისოდ (და პოლიტპატიმრებისათვის კომპენსაციების გადასახდელად) თანხები არ გააჩნიაო. ამან უდიდესი პროტესტი გამოიწვია. პოლიტპატიმრები ირწმუნებოდნენ, რომ ისინი გაჭირვებული სახელმწიფოსაგან კომპენსაციებს არ მოითხოვენ. ყოველ შემთხვევაში, პირველი წლების განმავლობაში.

— თქვენ დიდი დამსახურება მიგიძღვით ქვეყნის წინაშე. თქვენ ყოველთვის იყავით სიმართლის მხარეს. იცავდით საკუთარ და ქვეყნის ინტერესებს, ებრძოდით უსამართლობას და გახდით პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლი. მოხვდით ციხეში და მიუხედავად ამისა, არ შეგიწყვეტიათ საკუთარი პოზიციების დაცვა, — მიმართავს პოლიტპატიმრებს იუსტიციის სამინისტროს დანაშაულის პრევენციის ცენტრი.

— სახელმწიფოს არ სურს თქვენი დაკარგვა. სწორედ ამიტომ, იუსტიციის სამინისტროს ინიციატივით შეიქმნა ყოფილ პოლიტპატიმართა რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციის პროგრამა, რომელსაც იუსტიციის სამინისტროს სსიპ დანაშაულის პრევენციის ცენტრი ახორციელებს. პროგრამის მიზანია სასჯელაღსრულების დაწესებულებიდან გათავისუფლებული პირების რეაბილიტაციის ხელშეწყობა, მათი დაბრუნება საზოგადოების სრულუფლებიან წევრებად, — ნათქვამია წერილში.

ყოფილ პატიმართან, რომელიც თანახმაა, ჩაერთოს შემოთავაზებულ პროგრამაში, „ინდივიდუალურად მუშაობს სოციალური მუშაკი, რომელიც აკეთებს ბენეფიციარის ბიოფსიქოსოციალურ შეფასებას და ადგენს ინდივიდუალური მომსახურების გეგმას. ინდივიდუალური მომსახურების გეგმიდან გამომდინარე, ბენეფიციარის საჭიროებების გათვალისწინებით, სოციალური მუშაკი ახდენს მის ჩართვას სხვადასხვა სარეაბილიტაციო პროგრამაში.“

იუსტიციის სამინისტროს დანაშაულის პრევენციის ცენტრი თავმომწონედ იუწყება, რომ „რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციის პროგრამის ფარგლებში პარტნიორი ორგანიზაციების დახმარებით ბენეფიციარებს მოუგვარდათ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები. კერძოდ, მათი საჭიროებებიდან გამომდინარე ხდება ჯანმრთელობის მდგომარეობის სრული გამოკვლევა. საჭიროების შემთხვევაში გადაეცემათ უფასო მედიკამენტები. რამდენიმე მათგანს გაუკეთდა ოპერაცია.“

დანაშაულის პრევენციის ცენტრი პოლიტპატიმრებს პროფესიულ გადამზადებასაც სთავაზობს:

— პროგრამის ერთ-ერთი მიზანია პროფესიული გადამზადება და დასაქმების ხელშეწყობა. ამ მიმართულებით ბენეფიციარებს ვთავაზობთ სხვადასხვა დასახელების პროფესიული გადამზადების კურსებს.

ცენტრი პოლიტიკური ნიშნით რეპრესირებულებს აცნობებს, რომ „პროგრამაში აქტიურად ჩართული პატიმრები დასაქმებულები არიან მშენებლობებზე, საჯარო რეესტრის სკანირების სამსახურში, თბილისის იუსტიციის სახლში, სახელოსნოებში“.

წერილის თანახმად, იუსტიციის სამინისტრო საგრანტო პროგრამასაც ახორციელებს. მისი ერთ-ერთი მიმართულება დასაქმების ხელშეწყობაა. „ერთ-ერთი პროექტი ითვალისწინებს ბენეფიციარების სტაჟირებას, რომლის ფარგლებში 19 ყოფილი პატიმარი ცამეტ სხვადასხვა ორგანიზაციაში გადის 3-თვიან ანაზღაურებად სტაჟირებას. თვეში იღებენ 150 ლარს. სტაჟირების გავლის შემდეგ ნაწილი დასაქმდება სტაჟირების ადგილებში.“


ჯემალ გუნდიშვილი

— ამათ რეპრესირებულებისათვის ემეტებათ 150 ლარი, ხოლო თავისთვის — ფუფუნება, — აცხადებს წერილით შეურაცხყოფილი პოლიტპატიმარი ჯემალ გუნდიშვილი.

მისი თქმით, ციხიდან გამოსვლის შემდეგ მან და მისმა თანამოაზრეებმა ჩამოაყალიბეს „პოლიტპატიმართა რეაბილიტაციისა და მათი ოჯახების თანადგომის ფონდი“.

— ფონდის სახელით მივმართე ყველა უწყებას, მათ შორის, იუსტიციის სამინისტროს. ვთავაზობდი, ცალკე პროგრამა შეემუშავებინათ პოლიტპატიმრებისათვის... მაშინ ჩვეულებრივ რიგში ჩადგომა შემომთავაზეს. ახლა სტაჟირებას მთავაზობენ. 6 შვილი მყავს სარჩენი და 150 ლარი უნდა ავიღო! — მბობს ჯემალ გუნდიშვილი.

მას ისიც აწუხებს, რომ ბოლომდე გამართლებული არ არის.

— ცნობა მაქვს აღებული, რომ ნასამართლევი არა ვარ. ამასთან, გამართლებული არა ვარ. შს მინისტრის ბრძანებაში ეწერა — მიეცით ცნობა, რომ არ არის ნასამართლევი და შესაბამისი შესწორება შეიტანეთ საერთო ბაზაშიო. თუ საერთო ბაზაში შესწორება შეტანილია, მაშინ ეს წერილი არ უნდა მომსვლოდა, — ამბობს „ყინწვისის“ პოლიტპატიმარი.

პოლიტპატიმრები განსაკუთრებულად გაამხიარულა დანაშაულის პრევენციის ცენტრის მიმართვის იმ ნაწილმა, სადაც საუბარია ყოფილი პატიმრების ოჯახებზე, მათი შვილების პარკში გასეირნებაზე და სხვა.

— პროცესში დიდი ყურადღება ეთმობა ყოფილი პატიმრების ოჯახის, სოციალური გარემოს გაძლიერებას. ამ მიზნით ხორციელდება ღონისძიებები როგორც ყოფილი პატიმრებისათვის, ასევე ოჯახის წევრებისათვის. მაგალითად, უცხო ენებისა და კომპიუტერის შემსწავლელი კურსები, ფილმის ჩვენება, თეატრში სპექტაკლზე დასწრება, მთაწმინდის პარკში ბავშვებისათვის გასართობ-შემეცნებითი ღონისძიებები, სპორტული აქტივობები, საფეხბურთო და რაგბის მატჩებზე დასწრება და ა. შ., — ნათქვამია ოფიციალურ წერილში.

წერილი ბევრ კითხვას აჩენს. პირველ რიგში, საკითხავია, თუ ადამიანი პოლიტპატიმარი, ანუ უდანაშაულოა, რატომ სთავაზობს მას რაღაც პროგრამებს დანაშაულის პრევენციის ცენტრი? რატომ მიაჩნია ცენტრს, რომ პოლიტპატიმრები საზოგადოების სრულუფლებიანი წევრები არ არიან და ისინი საზოგადოებას უნდა დაუბრუნდნენ? რატომ არ აცალკევებენ პოლიტიკურ რეპრესირებულებს სხვა ყოფილი პატიმრებისაგან? რატომ არ აბრუნებენ სამსახურებში? რატომ არ სთავაზობენ დასაქმებას პროფესიის მიხედვით? რატომ არ ხდება მათი საქმეების გადახედვა?

პოლიტპატიმრებს, რომლებიც გაზაფხულზე თბილისში, პარლამენტის შენობასთან აწყობდნენ უწყვეტ საპროტესტო აქციებს, სულ სხვა მოთხოვნები ჰქონდათ. მათ მიაჩნდათ, რომ საქართველოს პარლამენტის დადგენილება პოლიტპატიმრებისა და პოლიტდევნილების აღიარების შესახებ უნდა ჩაითვალოს ახალ გარემოებად, რის საფუძველზეც დაიწყება მათი საქმეების გადასინჯვა და რეაბილიტაციის პროცესის დაწყება.

აქციის მონაწილეები მოითხოვდნენ ასევე მათ დაყადაღებულ ქონებაზე სააღსრულებო წესის შეჩერებას.

პოლიტპატიმრები ახლაც თვლიან, რომ ის გამომძიებლები, პროკურორები და მოსამართლეები, რომლებიც მონაწილეობდნენ მათი საქმეების შეთითხნაში, აღარ უნდა ასრულებდნენ თავიანთ მოვალეობას.

პოლიტრეპრესირებულები ასევე მოითხოვდნენ, რომ პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტთან განახლებულიყო პოლიტპატიმრებისა და პოლიტდევნილების სტატუსის დამდგენი კომისიის მუშაობა.

— იმედს ვიტოვებთ, რომ აღნიშნული მიმართვის საფუძველზე საქართველოს ხელისუფლება დაიწყებს სამართლიანობის აღდგენის ისტორიულ პროცესს, რაც კიდევ უფრო განამტკიცებს საქართველოს სახელმწიფოებრიობას. — იმედოვნებდნენ სააკაშვილის რეჟიმის რეპრესირებულები.

ზოგიერთ მათგანს იმედი ახლაც არ გადაუწყვეტია. ზოგს უკვე მოთმინების ფიალა აევსო და საქართველოდან გადახვეწას აპირებს. ისე, პოლიტდევნილებისა და პოლიტპატიმრების უმეტესობა თუ საქართველოდან წავა, ერთიან ნაციონალურ მოძრაობას სადღესასწაულოდ ექნება საქმე. ნაციონალებს ისედაც დაუჟინიათ, არც ერთი პოლიტპატიმარი არ გვყოლია და „ოცნებამ“ ამ ხალხს ტყუილუბრალოდ უწოდა პოლიტპატიმრები, ციხიდანაც ტყუილუბრალოდ გამოუშვაო.

სამწუხაროა, რომ ხელისუფლება პოლიტპატიმრებს მხოლოდ სტაჟირებას სთავაზობს, მათო ოჯახების წევრებს კი — უფასო სანახაობებს და კომპიუტერის შემსწავლელ კურსებს.

## ვაკეში მომხდარი ყაჩაღობის ფაქტზე ოთხი პირი დააკავეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს ვაკე-საბურთალოს სამმართველოსა და თბილისის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ყვარლის რაიონში, ლენტეხსა და თბილისში ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, თბილისში, აბაშიძის ქუჩაზე მომხდარი ყაჩაღური თავდასხმის ფაქტზე, ოთხი პირი დააკავეს.

შსს-ს პრესსამსახურის ინფორმაციით, დაკავებულია 1974 წელს დაბადებული მინდია გ., 1975 წელს დაბადებული, წარსულში ქურდობის და ნარკოდანაშაულისთვის ნასამართლევი ბაქარ მ., 1967 წელს დაბადებული, წარსულში ქურდობის და ნარკოდანაშაულისთვის მრავალჯერ ნასამართლევი მამუკა გ. და 1970 წელს დაბადებული ვიტალი ჩ.

გამოძიებამ დაადგინა, რომ 3 აგვისტოს ვიტალი ჩ., რომელიც დაზარალებული ოჯახის ნათესავია და მათთან მძღოლად მუშაობდა, თავის მეგობარ მინდია გ.-ს დაუკავშირდა და შესთავაზა, ჩარქსელიანების ოჯახზე ყაჩაღური თავდასხმა განეხორციელებინათ. მან მინდია გ.-ს აცნობა, რომ დაზარალებულები სახლში დიდი ოდენობით ფულსა და ძვირფასეულობას ინახავდნენ. ასევე, გაურიგდა, რომ მართლსაწინააღმდეგოდ დაუფლებული თანხის ნაწილი მისთვის მიეცათ.

„მინდია გ.-მ დაგეგმა და თანამზრახველებთან ერთად ყაჩაღური თავდასხმა განახორციელა. ისინი 25 აგვისტოს, აბაშიძის ქუჩაზე, ჩარქსელიანების ოჯახს თავს ყაჩაღურად დაესხნენ. დიასახლისსა და სტუმრად მყოფ ქალბატონს ხელ-ფეხი შეუკრეს, სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის საშიში ძალადობით სახლიდან გაიტაცეს დიდი ოდენობით ოქროსა და ვერცხლის ნაკეთობები, 100 000 ლარი, 30 000 ევრო, 30 000 აშშ დოლარი და შემთხვევის ადგილიდან მიიმალნენ“, - ნათქვამია უწყების მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

სამართალდამცველებმა ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ოთხივე ბრალდებული დააკავეს.

შსს-ს ინფორმაციით, დაკავებულების პირადი და საცხოვრებელი ბინების ჩხრეკისას ნაყაჩაღარი ძვირფასეულობა და თანხის ნაწილი ნივთმტკიცებად ამოიღეს. ბრალდებულების პირადი ჩხრეკისას ასევე, ამოღებულია ბუპრენორფინის შემცველი დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალება.

გამოძიება დიდი ოდენობით ნივთის დაუფლების მიზნით, ბინაში უკანონო შეღწევით ჯგუფურად ჩადენილი ყაჩაღობის და დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის ფაქტებზე, საქართველოს სსკ-ს 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, მე-3 ნაწილის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით და 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით მიმდინარეობს.

ნიუსპრესი

## გიორგი მღებრიშვილმა არასრულწლოვან მსჯავრდებულებს სასწავლო წლის დაწყება მიულოცა

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრი გიორგი მღებრიშვილი, გუშინ არასრულწლოვანთა №11 სარეაბილიტაციო დაწესებულებას ესტუმრა და მსჯავრდებულებს სასწავლო წლის დაწყება მიულოცა.

სასჯელაღსრულების სამინისტროს ინფორმაციით, მინისტრმა არასრულწლოვნებს სიმბოლური საჩუქრები გადასცა.

თითოეულმა მსჯავრდებულმა შემეცნებითი ლიტერატურა, ბლოკნოტი და წარწერიანი კალამი ინდივიდუალურად მიიღო, რომელზეც გამოსახული იყო მსჯავრდებულის ვინაობა და ვიქტორ ჰიუგოს ფრაზა -„ვინც აღებს სკოლის კარს, კეტავს ციხისას“.

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრთან ერთად, არასრულწლოვან მსჯავრდებულებს სასწავლო წლის დადგომა განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე ლია გიგაურმაც მიულოცა.

სტუმრები მოზარდებს განათლების მნიშვნელობაზე ესაუბრნენ და სასჯელაღსრულების დაწესებულების მალე დატოვება უსურვეს.

„ვულოცავ ყველა მოსწავლეს სასწავლო წლის დაწყებას. ეს არის დღე, რომელსაც ყოველთვის დიდი სიხარულით ელოდებიან ბავშვები, განსაკუთრებით ვულოცავ აქ, არასრულწლოვანთა დაწესებულებაში მყოფ მოსწავლეებს. მართალია, მათი სასწავლო წელი განსხვავებულია სხვებისგან, მაგრამ ჩვენ ყველანაირად ვეცდებით, რომ ეს განსხვავება სწავლის ხარისხზე არ აისახოს. ჩვენ გვინდა მათ მიიღონ ისეთი განათლება, რომელიც აქედან გასვლის შემდეგ ცხოვრების თავიდან დაწყებაში დაეხმარებათ. ძალიან მინდა და ვისურვებდი, რომ ჩვენი ყველა არასრულწლოვანი მსჯავრდებულისთვის ციხის კარი სამუდამოდ დაიხუროს“, — განაცხადა გიორგი მღებრიშვილმა.

სასწავლო წლის დაწყების მილოცვასთან ერთად, სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრმა არასრულწლოვანთა დაწესებულებაში მიმდინარე სარემონტო სამუშაოებიც დაათვალიერა.

ნიუსპრესი

## სურსათის ეროვნულმა სააგენტომ საეჭვო შეფერილობის ღვინის რეალიზაციის ფაქტი გამოავლინა

სურსათის ეროვნული სააგენტოს აჭარის რეგიონული სამმართველოს სპეციალისტებმა, ბათუმში, ფარნავაზ მეფის ქუჩაზე მდებარე მარკეტში, საეჭვო შეფერილობის ღვინის რეალიზაციის ფაქტი გამოავლინეს.

სპეციალისტები სამლიტრიან ბოთლში ჩამოსხმული „ქინძმარაულით“ მას შემდეგ დაინტერესდნენ, როდესაც მათ მოქალაქემ საეჭვო შეფერილობის ღვინის აღმოჩენის შესახებ შეატყობინა.

სახელმწიფო კონტროლის ჩატარებისას აღმოჩნდა, რომ ეტიკეტირების წესი იყო დარღვეული. კერძოდ, არ იყო მითითებული ჩამოსხმის თარიღი, ხოლო ღვინოს არადამახასიათებელი მწვანე შეფერილობა ჰქონდა.

სურსათის ეროვნული სააგენტოს ინფორმაციით, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, შემთხვევა, რომელიც შეიძლება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 197-ე (ფალსიფიკაცია), ასევე 198-ე მუხლებით (ადამიანის სიცოცხლისთვის ან ჯანმრთელობისთვის საშიში პროდუქციის დამზადება, შემოტანა ან რეალიზაცია) გათვალისწინებულ დანაშაულის ნიშნებს შეიცავდეს, შემდგომი რეაგირებისთვის ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის

ნიუსპრესი

## გია ბარამიძე დაკითხვას ითხოვს

საპარლამენტო უმცირესობის წევრი გია ბარამიძე, ზურაბ ჟვანიას საქმეზე, სასამართლოს წინაშე, მოწმის სახით დაკითხვას ითხოვს. აღნიშნულთან დაკავშირებით, დეპუტატის განცხადებაშია ნათქვამი.

„ზურაბ ჟვანიას გარდაცვალების საქმეზე, რომლის თაობაზეც, წლებია ამდენი ჭორი, ბინძური ინსინუაცია და დაუსაბუთებელი ბრალდება ისმის, ჩემი არაერთგზის საჯარო მიმართვის მიუხედავად, პროკურატურამ დღემდე არაფერი მკითხა. ამიტომ, მე მივმართე ადვოკატ ბექა ბასილაიას, რომელიც ზურას საქმეზე კობა ხარშილაძის უფლებებს იცავს, რათა მომეცეს შესაძლებლობა სასამართლოს წინაშე მოწმის სახით ჩვენება მივცე.

იმედი მაქვს, სასამართლოში მოსამართლე და ამ საქმის ნაფიცი მსაჯულების მიერ განხილვის შემთხვევაში ისინიც, მოისმენენ რაც მე ვიცი ამ საქმეზე და ზურას გარდაცვალების საქმის პოლიტიკური მიზნებით, ზურას მეგობრებისა და ერთგული თანამებრძოლების წინააღმდეგ უსირცხვილოთა და ცილისმწამებლურად გამოყენება დასრულდება“, — აცხადებს ბარამიძე.

ნიუსპრესი

გახდომა-გასუქება 5-20 კგ-ით თვეში!

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისგან, სისხლძარღვები — ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიკური. დადგებით სასურველ წონაზე და შეინარჩუნებთ მას სტაბილურად.

სიმაღლეში ზრდის უახლესი, სწრაფი და ეფექტური პროგრამები 1-დან 25 წლამდე

კურსით 3-5 სმ-ის მომატებით. ვიტამინების, ძვლის მკვებავი მინერალების, ამინომჟავების კომპლექსით, პლუს ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა ინდივიდუალურია. კურსის გამეორება შეგიძლიათ სასურველ შედეგამდე.

ქ-ნი ქეთევანი

მის. მეტრო „დიდუბე“, წერეთლის ქ. 142, I სართული, კაბინეტი №6
☎ 577-29-37-41, 247-58-83

# რატომ მიუვარდა კახა ბენდუქიძე განათლების მინისტრს?!

შორენა გონგლაძე

## ინტერვიუ პოლიტოლოგ გულბაათ რცხილაძესთან

*– დიდი მოლოდინის მიუხედავად, ექსპერტთა ნაწილი ფიქრობს, რომ „ქართული ოცნება“ ვერ ართმევს თავს დაკისრებულ მოვალეობებს..*

– მოლოდინი მართლაც იმაზე ბევრად მეტი იყო, ვიდრე ახალი ხელისუფლების მოღვაწეობის დღევანდელი რეალური შედეგებია. ეს უფრო ბიძინა ივანიშვილის „ჯადოსნურ“ შესაძლებლობებს უკავშირდებოდა, ვიდრე „ქართული ოცნების“ კომპეტენტურობასა და სამოქმედო გეგმას. ამგვარი დაუსაბუთებელი მოლოდინი, როდესაც ყველაფერი ერთ კაცზე უნდა იყოს დამოკიდებული, უფრო ჩვენი საზოგადოების ბრალია, ვიდრე ხელისუფლების. თუმცა, მეორეს მხრივ, დღევანდელი ხელისუფლება უშვებს ისეთ შეცდომებს, რომელთა თავიდან არიდება ძალზე იოლი იყო, რაც ცუდად აისახება მის ავტორიტეტზე.

*– თქვენი აზრით, შსს ვერ ახერხებს დანაშაულის პრევენციას?*

– კრიმინოგენური ვითარება არც წინა ხელისუფლების დროს იყო მთლად მარტივი. საქართველო, როგორც სოციალურად ჩამორჩენილი ქვეყანა, რომლის მოსახლეობის შემაშინებლად დიდი პროცენტი ნარკოტიკებზე დამოკიდებული ინდივიდებისაგან შედგება, ვერ იქნება დალაგებული კრიმინოგენური თვალსაზრისით. მე არ ვფლობ კონკრეტულ სტატისტიკას, რამდენად მოიმატა მძიმე დანაშაულობათა რიცხვმა წინა პერიოდთან შედარებით, მაგრამ ის კი ნამდვილად ფაქტია, რომ მხოლოდ ვიზუალური მხარე რომ ავიღოთ, დედაქალაქში მართლაც შეინიშნება მოკრიმინალო ელემენტების ერთგვარი გათამამება, რამდენიმე შემთხვევა მართლაც ისეთი იყო, რაც მე ვიცი, წინა ხელისუფლების პირობებში მხოლოდ თავზეხელაღებული დამნაშავეები თუ გაბედავდნენ. შსს-ს სჭირდება პოლიტიკური სანქცია, რომ იყოს უფრო გაბედული და მკაცრი, რათა ეფექტს მიაღწიოს დანაშაულის პრევენციაში. მაგრამ ნაცვლად ამისა, პარლამენტს ყურადღება გადააქვს წვრილმანებზე. ახლახან რაღაც კანონი მიუღიათ, რომელიც ქუჩაში ლუდის და სპირტიანი სასმელების დალევას კრძალავს. ეს ერთი მხრივ, მისასალმებელია, მაგრამ მეორე მხრივ, როდესაც ეზოში წყნარად მოსაუბრე, ნორმალური ოჯახებიდან, წესიერ რამდენიმე მოზარდს ორი ავტომანქანით ოპერატიული მუშაკების ჯგუფი მიუვარდება, რათა ამ ყმაწვილებიდან ერთ-ერთი ლუდის ბოთლზე პირის შეხების გამო დააჯარიმოს, უკვე კომიკურია და მეტიც, კონტრპროდუქტიული. ეს იმავე „სერიიდან“ არის, რაც აფთიაქებში რეცეპტომანიის დამკვიდრებას შეეხება.



მთავრობა ცარიელ ადგილზე იწვევს ხალხის უკმაყოფილებას მაშინ, როდესაც სოციალური ვითარება მძიმე რჩება. შეიძლება, რაღაც მართლა კეთდება ყბადაღებულ ევროსტანდარტებთან მისაახლოებლად, მაგრამ პოლიტიკურად ეს არის იდიოტიზმი და გამომდინარე აქედან, საკმაოდ საშიში თამაში.

*– ბატონმა ჭიკაიძემ ამ პროცესებში მთავარ დამნაშავედ სააკაშვილი დაასახელა, ეს რამდენად სარწმუნოდ მიგაჩნიათ, ხომ არ ფიქრობთ, რომ მინისტრი სხვაზე გადაბრალებით თავის დაღწევას ცდილობს?*

– პირიქით, მინისტრი აბსოლუტურად მართალია, მაგრამ მისი ეს სიტყვები ცოტა დაგვიანებულიცაა. მისი ინტერვიუს წაკითხვის შემდეგ ჩემი თქვენდამი მოცემული ინტერვიუ გამახსენდა, რომელიც „ახალმა თაობამ“ ჯერ კიდევ 2013 წლის თებერვალში გამოაქვეყნა. კერძოდ, მე ვთქვი: „ქვეყანაში უნდა შეიქმნას რევოლუციური გარემო, ნაცბანდა უნდა აილაგმოს მთლიანად, უნდა გამოვლინდეს მათ მფლობელობაში არსებული სტრატეგიული ობიექტები, ყოველივე ეს მათ უნდა ჩამოერთვათ. ვინც კრიმინალია – ციხეში უნდა მიბრძანდეს, ვინც „უბრალოდ“ ნაცების „ინტელექტუალური მხარდამჭერია“, უნდა გაირიყოს და იზოლაციაში მოექცეს. ვიცი, ფრიად მიუღებელ რამეს ვამბობ ადამიანის უფლებების დამცველთათვის, მაგრამ მე პოლიტოლოგი და პირველ რიგში, რეალისტი ადამიანი ვარ. ჯერ შევქმნათ მყარი რეალობა და მერე დავიცვათ „ნაცების“ უფლებები. თუ ასე არ მოხდა, მაშინ „ნაცებს“ მცირე, მაგრამ გარკვეული შანსები უჩნდებათ, გადარჩნენ პოლიტიკურად და გარკვეულ პროცესებზე გავლენა შეინარჩუნონ, თუმცა მათ ტრიუმფალურ დაბრუნებას ხელისუფლებაში მაინც არ ველი, ხალხში ძალზე დიდია მათდამი სიძულვილი. მაგრამ დაუშვებელია, რომ მათ რაიმე პოლიტიკური გავლენა შეინარჩუნონ ქვეყანაში, ფინანსურ ბერკეტებთან ერთად, რადგან ეს მუდმივი დესტაბილიზაციის წყარო იქნება. ამიტომ, ვიმეორებ: „ნაციონალური მოძრაობა“, როგორც დანაშაულებრივი ორგანიზაცია, უნდა აილაგმოს – ამა თუ იმ ფორმით.

*– რასთან გვაქვს საქმე, ხელისუფლებას „ნაციონალების“ რიდი აქვს?*

– ნაწილობრივ ეს ასეა, საქმე გვაქვს ზედმეტ „დემოკრატობანასთან“. ერთ მაგალითს გეტყვით, რომელიც, რამდენადაც ვიცი, პრესით არ გახმაურებულა. ამა წლის ივნისში კახა ბენდუქიძის საკუთრებაში გადასული „თავისუფალი უნივერსიტეტის“ აზიისა და აფრიკის ინსტიტუტში ასეთი რამ მოხდა (სხვათა შორის, ამ ინსტიტუტის დამფუძნებლები არიან საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო და აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი): მე-3 კურსის სტუდენტები თითქმის ერთი წლის მანძილზე ითხოვდნენ კონკრეტული ქალბატონი ლექტორისაგან ლექციების ჩატარებას, მაგრამ ამ ქალბატონმა მათ არ აღირსა ლექციები, იგი უბრალოდ არ მოდიოდა უნივერსიტეტში, სარგებლობდა რა კახა ბენდუქიძის მხარდაჭერით. ეს გაუგონარი ამბავი ხდებოდა საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტზე და საქმე ეხებოდა წამყვან სპეციალობას – საერთაშორისო ურთიერთობების თეორიას. სტუდენტთა ჯგუფმა ლექტორს წერილობით უჩივლა, მაგრამ უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ, ნაცვლად მათდამი მხარდაჭერის აღმოჩენისა, დაიწყო სტუდენტების დაშანტაჟება. კერძოდ, სტუდენტების იმ ნაწილს, რომლებსაც პრაქტიკა უნდა გაევლო ჩინეთსა და აზიის სხვა ქვეყნებში, შესაბამისი პროგრამებიდან ამოშლით დაემუქრნენ – ისე მივწერთ საელჩოებს, რომ აღარ წაგიყვანენო. თუმცა საჩივარი განათლების სამინისტრომდე მივიდა და მინისტრმა გადაწყვიტა, სანქციები გაეტარებინა „თავისუფალი უნივერსიტეტის“ მიმართ. ასე არ უნდაო და, ბატონი კახა ბენდუქიძე, პირადად მიეჭრა მინისტრს: მანქანა მძღოლს პირდაპირ სამინისტროს შესასვლელთან გააჩერებინა, დაბნეულ დაცვას გვერდი აუარა ისე, რომ პირადობის მოწმობა არ დატოვა და სამინისტროს საშვი არ აუღია, შევარდა მინისტრის მისაღებში და ასევე უკითხავად – მინისტრის კაბინეტში. ბენდუქიძის ღრიალისაგან სმენის დასაცავად სამინისტროს თანამშრომლები ყურებს თითების საშუალებით იხშობდნენ. ამ თავხედობამ გაჭრა და ყოველგვარი სანქციები „თავისუფალი უნივერსიტეტის“ მიმართ შეწყდა. პირიქით, სამინისტროს ერთ-ერთი თანამშრომელი შეეწირა ამ საქმეს და გათავისუფლებულ იქნა. აი, ასეთი ტიპური მაგალითი, რომ დღევანდელ ხელისუფლებას ჯერ კიდევ ბოლომდე ვერ დაუძლევია რაღაც შიშები და კომპლექსები.

*– რაც შეეხება საგარეო საკითხებს, რამდენად კომპეტენტური გამოდგა ხელისუფლება საგარეო საკითხებში, ამ მხრივ თუ მაინც გვაქვს დამშვიდების საშუალება?*

– ვერ ვიტყვი, რომ იდეალური ვითარებაა ამ მხრივ, მაგრამ არც ისე ცუდად უძღვება საგარეო პოლიტიკას პრემიერ-მინისტრი, რომ რაიმე კატასტროფულს ვხედავდე. ცუდი ისაა, რომ ზოგიერთი მინისტრის უმწიფარი განცხადებები ხშირად წინააღმდეგობაში მოდის პრემიერის აწონილ-დაწონილ, ზომიერ განცხადებებთან.

## ყანდაღარის საავიციო ბაზაზე ქართველი სამხედროები დააჯილდოვეს

ავღანეთში, ყანდაღარის საავიაციო ბაზაზე ქართველი სამხედროების დაჯილდოების ცერემონია გაიმართა.

თავდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, აისაფ-ის სამხრეთის რეგიონული სარდლობის ხელმძღვანელმა, აისაფ-ის მედლები სამთო-სადაზვერვო ბატალიონის სამხედრო მოსამსახურეებს, პირადად გადასცა.

გენერალ-მაიორმა მაიკლ ბილსმა ქართველ ჯარისკაცებს სიტყვით მიმართა და უსაფრთხოების უზრუნველყოფაში შეტანილი წვლილისა და წარმატებული სამხედრო მისიისთვის მადლობა გადაუხადა.

დაჯილდოების ცერემონიას ყანდაღარის საავიაციო ბაზაზე აშშ-ის მაღალი რანგის სამხედრო მოსამსახურეები, სამხრეთის რეგიონული სარდლობის და საქართველოს შეიარაღებული ძალების სამთო-სადაზვერვო ბატალიონის ხელმძღვანელი პირები დაესწრნენ.

სამთო-სადაზვერვო ბატალიონი პირველი ქართული ქვედანაყოფია, რომელიც აისაფ-ის საერთაშორისო მისიის ფარგლებში, ყანდაღარის პროვინციაში, „საჰაერო ძალების“ ბაზაზე ასრულებს მისიას.

თავდაცვის უწყების ინფორმაციით, ბატალიონის მთავარ ამოცანას კოალიციურ ძალებთან ერთად ბაზის დაცვა, პროვინციის სამოქმედო არეალში მოსახლეობის უსაფრთხოების მიზნით, პატრულირება და ოპერაციის რაიონში მშვიდობის დამყარება წარმოადგენს.

სამთო-სადაზვერვო ბატალიონის 150 სამხედრო მოსამსახურე მალე საქართველოში დაბრუნდება.

**ნიუსპრესი**

## მაღალმთიან მუნიციპალიტეტებში დღეიდან მოსახლეობის აღწერა დაიწყო

საქართველოს სტატისტიკის ეროვნულმა სამსახურმა, დღეიდან, მაღალმთიან მუნიციპალიტეტებში მოსახლეობის აღწერა დაიწყო.

ამ ეტაპზე მოსახლეობის საყოველთაო აღწერა მესტიის, ყაზბეგის, დუშეთის (შატილის, ხევსურეთის, უკანა ფშავის, მაღაროს კარის, გუდამაყრის და ქვეშეთის თემების) და ახმეტის (ომალოს თემი) მუნიციპალიტეტებში ჩატარდება.

როგორც სტატისტიკის ეროვნულ სამსახურში აცხადებენ, პროცესში 195 ადამიანი დასაქმდება.

ყაზბეგის მუნიციპალიტეტში აღწერის პროცესს, საქსტატის აღმასრულებელი დირექტორი მერი დაუშვილი და ყაზბეგის მუნიციპალიტეტის მაჟორიტარი დეპუტატი მირიან წიკლაური დაესწრნენ.

მაღალმთიან მუნიციპალიტეტებში მოსახლეობის საყოველთაო აღწერა 15 სექტემბრიდან 29 სექტემბრის ჩათვლით ტარდება.

**ნიუსპრესი**

## ირაკლი ღარიბაშვილი „ჩვენ ვქმნით ყველა პირობას, რომ ჩვენს ახალგაზრდობას მიეცეს ხარისხიანი განათლება“

პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი ახალი სასწავლო წლის დაწყებასთან დაკავშირებით მილოცვას ავრცელებს

„მინდა ჩვენს მასწავლებლებს, მოსწავლეებსა და სტუდენტებს, მათ მშობლებს მივულოცო ახალი სასწავლო წლის დაწყება.

დღევანდელი დღე განსაკუთრებულად მინდა მივულოცო პირველკლასელებსა და პირველკურსელებს – დღეს ისინი ახალ ცხოვრებაში შეაბიჯებენ. წარმატებები მინდა ვუსურვო თითოეულ მათგანს ამ გზაზე.

ყოველი ახალი სასწავლო წელი არის ახალი ცოდნის, ახალი გამოცდილების შეძენის დასაწყისი. განათლებული მომავალი თაობა ჩვენი ქვეყნის სიძლიერისა და წინსვლის გარანტიაა. ამიტომაც არის, რომ ჩვენი მთავრობა განსაკუთრებულად ზრუნავს განათლებაზე. ჩვენ ვქმნით ყველა პირობას, რომ ჩვენს ახალგაზრდობას მიეცეს საკუთარი შესაძლებლობების, ნიჭისა და უნარის გამოვლენის საშუალება და მათ მიიღონ ხარისხიანი განათლება.

კიდევ ერთხელ ვულოცავ ყველას დღევანდელ დღეს და ვუსურვებ, ახალი სასწავლო წელი ყოფილიყოს ყველასთვის საინტერესო და წარმატებებით გამორჩეული“, – ნათქვამია პრემიერის მილოცვაში.

**მედიანიუსი**

## გიგი უგულავასა და დავით კეზერაშვილის სასამართლო პროცესი 18 სექტემბრისთვის გადაიდო

. რიყის ტერიტორიის, ტელეიმედის გასხვისების და თბილსერვისჯგუფის საქმეებზეზე გიგი უგულავას და დავით კეზერაშვილის სასამართლო პროცესი 18 სექტემბერს თბილისის საქალაქო სასამართლოში 13.00 საათზე გაგრძელდება.



დღევანდელ სასამართლო პროცესზე ბრალდების მხარის სამი მოწმე დაიკითხა, რომლებმაც დაადასტურეს, რომ „თბილსერვისჯგუფში“ მუშაობდნენ და ხელფასს იღებდნენ, თუმცა სამსახურში არ დადიოდნენ.

18 სექტემბერს ჩანიშნულ პროცესზე კვლავ ბრალდების მხარის მოწმეები დაკითხებიან.

თბილისის ყოფილ მერს და თავდაცვის ყოფილ მინიტრს დავით კეზერაშვილს გამოძიება უკანონო შემოსავლის ლეგალიზებასა და მითვისებას ედავება.

**მედიანიუსი**

## ხაშმში ყაჩაღები შშმ პირს თავს დაესხნენ და 15 ლარი წაიღეს

საგარეჯოს რაიონის სოფელ ხაშმში, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მიხეილ მაკანტალაშვილს გვიან ღამით თავს დაესხნენ, პირზე ბალიში დააფარეს და მუქარის შედეგად 15 ლარი წაიღეს. 48 წლის მამაკაცი მარტო ცხოვრობს, ის სოციალურად დაუცველია.

როგორც გამგებლის წარმომადგენელმა ხაშმში ზურაბ ყირმელაშვილმა კახეთის საინფორმაციო ცენტრს განუცხადა, შემთხვევა ორი დღის წინ, გვიან ღამით მოხდა.

„დაახლოებით ღამის 2 საათზე შევიდნენ, პირზე ბალიში დააფარეს და თანხა მოსთხოვეს. მან ვერ დაინახა რამდენი იყვნენ, ან ნიღბით იყვნენ თუ ნიღბის გარეშე“, – აღნიშნა ზურაბ ყირმელაშვილმა. შსს-ში აცხადებენ, რომ აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით ინფორმაციას ჯერ ვერ გაასაჯაროებენ, რადგან „გამოძიებას ხელი შეეშლება“.

მიხეილ მაკანტალაშვილი 16 წელია ეტლს არის მიჯაჭვული.

**კახეთის საინფორმაციო ცენტრი**

## მევენახეებმა რქაწითელის ჩაბარების მოთხოვნით გზა გადაკეტეს

ყვარლის რაიონის 4 სოფლის მაცხოვრებლებმა სოფელ ჭიკაანში, რქაწითელის ჩაბარების მოთხოვნით გზა გადაკეტა. აქციის მონაწილეების განცხადებით, კახეთში არცერთი ღვინის ქარხანა ყურძენს არ იბარებს, რის გამოც მევენახეებს დასაკრეფი ყურძენი უფუჭდებათ. მევენახეები პრობლემის მოგვარებას ხელისუფლებას სთხოვენ.

„რთველი უკვე რახანია დაიწყო. რომელ ქარხანაშიც მივდივართ არსად ყურძენს არ იბარებენ. ის ყურძენი, რომელიც კარგი იყო, წვიმებზე სულ ლპება. ხვალიდან უფრო დააჭერს მზე და არცერთი აღარ იქნება დასაწური. მოგვხედონ და ყურძენი ჩაიბარონ, მოყვანილი და ნაშოვნნაწვალები“, – განაცხადა აქციის მონაწილე გელა ონოფრიშვილმა.

აქციაზე ღვინის ეროვნული სააგენტოს დირექტორი ლევან დავითაშვილიც მივიდა. დავითაშვილის თქმით, ხვალიდან, რქაწითელის მიღებას სახელმწიფო ქარხნები დაიწყებენ.

„გრაფიკი ყველა რაიონს, ყველა სოფელს თითოეული ქარხნის გახსნის მიხედვით მიეწოდა და შესაბამისად, მოსახლეობამდე ეს ინფორმაცია დავიდა. ლაბორატორია მუშაობს და სინჯებს იღებს, რომ ხვალიდან ზუსტად ამ სოფელში და რეგიონში ქარხნები იწყებენ ინტენსიურ მიღებას. ჩაუბარებელი ყურძენი არსად არცერთი კილოგრამი არ რჩება“, – ლევან დავითაშვილმა.

**კახეთის საინფორმაციო ცენტრი**

## კახეთის საოლქო პროკურორი ესტატე მარგებაძე თანამდებობიდან გაათავისუფლეს

კახეთის საოლქო პროკურორი ესტატე მარგებაძე თანამდებობიდან გაათავისუფლეს. როგორც კახეთის საინფორმაციო ცენტრს საქართველოს პროკურატურაში განუცხადეს, მარგებაძე სამსახურიდან პირადი განცხადების საფუძველზე წავიდა.

ესტატე მარგებაძე კახეთის საოლქო პროკურორად 2012 წლიდან მუშაობდა. 1997 წლიდან 2007 წლამდე მარგებაძე მუშაობდა პროკურატურის სისტემაში სხვადასხვა თანამდებობებზე მუშაობდა. 2007 წლიდან 2008 წლამდე იყო შპს „ISP foundation“ უსაფრთხოების დეპარტამენტის უფროსი. საპარლამენტო არჩევნებამდე იყო ირაკლი ალასანიას პარტია „თავისუფალი დემოკრატების“ წევრი. კახეთის საოლქო პროკურორად ვაჟა ფანოზიშვილი დაინიშნა. იგი თბილისის პროკურატურის საგამოძიებო ნაწილის უფროსის მოადგილე იყო.

**კახეთის საინფორმაციო ცენტრი**

# სომხეთის მთავრობა მედიის თავისუფლების წინააღმდეგ

„ჩვენ ღია საზოგადოება ვართ და ჩვენი მედიაც თავისუფალია,“ – სომხეთის პრეზიდენტის ამ განცხადების მიუხედავად, ავტორიტეტული საერთაშორისო ორგანიზაციები სომხეთს არათავისუფალი მედიის მქონე ქვეყნების რიგს მიაკუთვნებენ. „ნეტგაზეთი“ სომხეთის სიტყვის თავისუფლების დაცვის კომიტეტის თავმჯდომარეს, აშოტ მელიქიანს ესაუბრა, რომელიც მიიჩნევს, რომ 2014 წლის პირველი ნახევარი გამოირჩეოდა სომხეთის ხელისუფლების სხვადასხვა სტრუქტურის მხრიდან თავდასხმებით მედიისა და სიტყვის თავისუფლების წინააღმდეგ.

***– ბოლო 12 წელია, საერთაშორისო ორგანიზაციები სომხეთის მედიას არათავისუფლად მიიჩნევენ. კერძოდ, ისეთი ავტორიტეტული ორგანიზაციების ანგარიშებში, როგორიცაა „ფრიდომ ჰაუსი“ და „რეპორტიორები საზღვრებს გარეშე“, საუბარია თვითცენზურის ზრდასა და ალტერნატიული მოსაზრებებისადმი შეუწყნარებლობის ცალკეულ გამოვლინებებზე. თქვენ როგორ შეაფასებდით სომხეთში მედიის თავისუფლების კუთხით არსებულ ვითარებას?***

– რა თქმა უნდა, სიტყვის და მედიის თავისუფლების სფეროში არსებული სიტუაციით სომხეთის შედარება აზერბაიჯანთან, ბელორუსთან ან ცენტრალური აზიის ქვეყნებთან არ შეიძლება, მაგრამ ვფიქრობ, რომ ამ სფეროში ჩვენ ამ ქვეყნებიდან არ უნდა ავიღოთ მაგალითი. სომხეთში ჟურნალისტებს ნამდვილად არ სვამენ ციხეში და ღიად არ დევნიან; პრინციპში გაზეთები ყველაფერზე წერენ, რაც საჭიროდ მიაჩნიათ... მაგრამ უკანასკნელ დროს ხელისუფლება ცდილობს შეავიწროოს საკანონმდებლო ველი მედიის თავისუფლების სფეროში.

***– რას გულისხმობთ?***

– მიმდინარე წლის მარტში პარლამენტმა მოამზადა კანონპროექტი – სამოქალაქო კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ, რაც ითვალისწინებს მედიის პასუხისმგებლობას ისეთი პუბლიკაციებისა და კომენტარების გავრცელებისთვის, რომელიც ეფუძნება ანონიმ ან ფსევდონიმით დაფარულ მომხმარებლებს სოციალურ ქსელებში. რეალურად ამ დოკუმენტის ავტორებმა გადაწყვიტეს ინტერნეტის რეგულირება სიტყვის თავისუფლების შეზღუდვისა და მედიაზე ზეწოლის გზით. ამან სერიოზული პროტესტი გამოიწვია ჟურნალისტურ საზოგადოებაში. შეშფოთება გამოხატეს უფლებადამცველმა ორგანიზაციებმა და საერთაშორისო სტრუქტურებმა. მაშინ სომხეთის 9 ჟურნალისტური გაერთიანება გამოვიდა საკმაოდ მკაცრი განცხადებით, რომლითაც მოითხოვეს კანონპროექტის უკან გათხოვა და ახალი კონცეპტუალური მიდგომის შემუშავება თანამედროვე კომუნიკაციების სფეროში, რომელიც დაეფუძნება ევროპულ სტანდარტებს. ეს პრობლემა განხილული იქნა საპარლამენტო მოსმენების დროს, მაგრამ, სამწუხაროდ, ამან ვერ მოიტანა საკითხის პრინციპული გადაწყვეტა.

მნიშვნელოვანი სიახლე კანონმდებლობაში, რომელიც მედიას ეხება, არის 19 მაისს პარლამენტის მიერ მიღებული საკანონმდებლო ცვლილებები სამოქალაქო კოდექსში, რომლითაც განისაზღვრა მორალური ზიანის და ასანაზღაურებელი კომპენსაციის დამდგენი ინსტიტუტი. ადრე, სანამ ამ საკითხს არაფერი არეგულირებდა, სასამართლო საქმეებში, რომლებიც ეხებოდა მედიაში შეურაცხყოფასა და ცილისწამებას, სერიოზული პრობლემები იქმნებოდა.

თუმცა მედიისთვის ძალიან საგანგაშო სიგნალად იქცა გენერალური პროკურატურის ვებ-გვერდზე მაისში გამოქვეყნებული ინფორმაცია, რომლითაც მედიას შეახსენეს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ წინასწარ ძიებაში არსებული მონაცემების არასანქცირებული გამოქვეყნების გამო. ასეთ შემთხვევებში, როგორც დოკუმენტში იყო აღნიშნული, განხორციელებული იქნება „საგამოძიებო და სასამართლო მოქმედებები“ ინფორმაციის წყაროს გამჟღავნებისთვის. ბევრმა მედიასაშუალებამ და ჟურნალისტურმა ორგანიზაციამ განაცხადა, რომ პროკურატურის მიდგომები ამ პრობლემისადმი შეიცავს საფრთხეს სიტყვის თავისუფლების წინააღმდეგ და მედიის საქმიანობის დაუსაბუთებლად შეზღუდვისთვის.

***– რატომ შეიძლება იყოს ეს მედიისთვის საფრთხის შემცველი?***

– უკვე ივნისში დაფიქსირდა პირველი სასამართლოს პრეცედენტი, რომელმაც დაავალდებულა ყოველდღიურ გაზეთი „გრაპარაკი“ და ინტერნეტგამოცემა Iლურ.ამ გაემჟღავნებინათ ინფორმაციის წყარო, რომელიც გამოიყენეს კრიმინალურ თემაზე მომზადებულ ერთ-ერთ პუბლიკაციაში. კერძოდ, გაზეთმა „გრაპარაკმა“ და ვებ-გვერდმა Iლურ.ამ-მა ერთმანეთისგან დამოუკიდებლად გამოაქვეყნეს ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ ქალაქ გიუმრის პოლიციის განყოფილების უფროსმა, პოლკოვნიკმა ვარდან ნადარიანმა ღამით გააჩერა ცნობილი სპორტსმენის, არტურ ალექსანიანის მანქანა, იმის გამო, რომ, მისი შეხედულებით, ძალიან ნათელი შუქი ჰქონდა მანქანის ფარებს, სცემა სპორტსმენს და ემუქრებოდა მას და მის ძმას პისტოლეტით.



როგორც ხედავთ, აქ არ არის საუბარი ისეთი დანაშაულზე, რომელიც უკავშირდება ფართო საზოგადოების უსაფრთხოებას ან ეროვნულ ინტერესებს, რომ სასამართლოს მოეთხოვა წყაროს გამჟღავნება მედიისგან. ამასთან, სასამართლოს მიერ იგნორირებული იყო „მასობრივი ინფორმაციის შესახებ კანონის“ მთელი რიგი მოთხოვნები.

სასამართლოს ეს გადაწყვეტილება ეჭვგარეშეა, რომ პრესის თავისუფლების წინააღმდეგაა მიმართული და თუკი ეს გამოცემები თავიანთ წყაროს გაამჟღავნებენ, მაშინ უახლოეს მომავალში მასობრივი ინფორმაციის საშუალებები მხოლოდ მშრალ ოფიციალურ შეტყობინებებს თუ დაეყრდნობიან.

ეს ძალიან სახიფათო პრეცედენტია და მე ვფიქრობ, რომ ეს გადაწყვეტილება აუცილებლად უნდა გასაჩივრდეს და საქმე ბოლომდე უნდა მივიდეს.

***– ორივე გამოცემას ახლა გასაჩივრებული აქვს სასამართლოს ეს გადაწყვეტილება ზემდგომ ინსტანციაში.***

– დიახ და ეს აუცილებელია. ჟურნალისტურმა საზოგადოებამ თავისი ყურადღების კონცენტრირება უნდა მოახდინოს ამ საკითხზე და გამოიჩინოს ხელისუფლების ასეთი ნაბიჯებისადმი სრული მიუღებლობა. ეს ყველაფერთან ერთად კარგი შესაძლებლობაა ჟურნალისტური საზოგადოების შესაკავშირებლად და იმის გასაცნობიერებლად, რომ ასეთი ფაქტის წინაშე ნებისმიერი გამოცემა ან ჟურნალისტი შეიძლება აღმოჩნდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ნებისმიერმა სახელმწიფო მოხელემ, ადგილობრივი ადმინისტრაციის მეთაურმა ან პოლიციელმა შეიძლება მოითხოვოს წყაროს გამჟღავნება მედიისგან მხოლოდ იმის გამო, რომ გაიგონ მათი „არაკეთილმოსურნე“ პირების ვინაობა.

***– კიდევ რა ტიპის სარჩელები შევიდა წელს სასამართლოში, რომლებიც მედიას უკავშირდება?***

– ჩვენი მონაცემებით, 2014 წლის პირველ 6 თვეში სხვადასხვა სასამართლოების მიერ მიღებული იქნა წარმოებაში 12 ახალი სარჩელი მედიის საქმიანობასთან დაკავშირებით. მათგან 8 ეხება შეურაცხყოფასა და ცილისწამებას, 3 – საავტორო უფლებების დაცვას, 1 – ინფორმაციის წყაროს გამჟღავნებას.

ამას გარდა, ჩვენი ორგანიზაცია აფიქსირებს, ასევე, ჟურნალისტების უფლებების დარღვევის შემთხვევებს. 2013 წლის პირველ ნახევარში ჩვენ 46 ასეთი შემთხვევა დავაფიქსირეთ, მიმდინარე წლის იმავე პერიოდში კი – 44.

***– ძირითადად, რა ტიპის უფლებების დარღვევას უკავშირდება ეს შემთხვევები?***

– მიმდინარე წლის 6 თვეში სიტყვის თავისუფლების დაცვის კომიტეტმა დააფიქსირა ჟურნალისტებზე ფიზიკური ძალადობის 5 შემთხვევა, მედიაზე და მის თანამშრომლებზე ზეწოლის 29 ფაქტი, ინფორმაციის მიღების და გავრცელების უფლების დარღვევის 10 შემთხვევა.

***– რამდენად რთულია საჯარო ინფორმაციის მოპოვება სომხეთში მედიის წარმომადგენლებისთვის?***

– ჩვენ ვამონიტორინგებთ სახელმწიფო ორგანოების ვებ-გვერდებს და აქ ჩვენი ინტერესის საგანია, პირველ რიგში, მათი ინფორმაციის ღიაობის დონე. 2013 წელთან შედარებით, ეს დონე წელს შემცირებულია. სახელმწიფო დაწესებულებების ვებ-გვერდებზე ხშირად არ არის ან სრულად არ არის წარმოდგენილი ინფორმაცია საბიუჯეტო სახსრების თაობაზე, ცალკეული შემოწმებების შედეგებზე, ასევე, ვაკანსიებზე ან სასამართლო განხილვებზე.

მთლიანობაში ჩვენ შევისწავლეთ სახელმწიფო დაწესებულელების და ადგილობრივი თვითმმართველობების ორგანოების 44 ვებ-გვერდი. მიღებული მონაცემების ანალიზის შედეგად შევადგინეთ რეიტინგი ინფორმაციის გამჭვირვალობის მიხედვით. პირველ ხუთეულში შევიდა სომხეთის ტერიტორიული მართვის სამინისტროს, სახელმწიფო საიმიგრაციო სამსახურის, ეკონომიკის სამინისტროს, სამოქალაქო სამსახურის საბჭოს და იუსტიციის სამინისტროს ვებ-გვერდები. ათეულის ბოლოშია განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საიტი.

აუტსაიდერებს შორისაა სახელმწიფო ქონების მართვის სამმართველოს, ენერგეტიკის და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს, კომუნიკაციების ეროვნული კომისიისა და გარემოს დაცვის სამინისტროს ვებ-გვერდები. რეიტინგში ბოლო, 34-ე ადგილზეა ბირთვული უსაფრთხოების რეგულირების სახელმწიფო კომიტეტის ვებ-გვერდი.

პრეზიდენტმა სერჟ სარგსიანმა აგვისტოში განაცხადა: „სომხეთმა აირჩია სიტყვის თავისუფლება და საზღვარზე ვითარების გამწვავების პირობებშიც კი ამ არჩევანს ეჭვის ქვეშ არ ვაყენებთ. რამდენიც არ უნდა დაგვადანაშაულონ პრესის მართვაში, მედიის წარმომადგენლების უმრავლესობამ იცის, რომ თავისუფალია“. სხვათაშორის, სომხეთს შარშან ძალიან ცოტა დააკლდა, რომ ნაწილობრივ თავისუფალი პრესის მქონე ქვეყნების რიგში მოხვედრილიყო, მაგრამ ამას მოჰყვა სომხეთის პრეზიდენტის განცხადება საბაჟო კავშირში შესვლის თაობაზე. არის თუ არა მოსალოდნელი მედიის თავისუფლების კუთხით მდგომარეობის გაუარესება სომხეთში?

ხელისუფლება ყოველთვის შეეცდება, როგორმე შეზღუდოს სიტყვის და მედიის თავისუფლება, ჟურნალისტების წვდომა ინფორმაციაზე, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ მედია ამას უნდა შეურიგდეს. ჟურნალისტები ვალდებულნი არიან იბრძოლონ ინფორმაციისთვის, ანუ თავიანთი მკითხველებისთვის. ხელისუფლებას კი, ვფიქრობ, უნდა ესმოდეს რომ ახალი ტექნოლოგიების ეპოქაში, როდესაც ვითარდება კომუნიკაციების თანამედროვე საშუალებები და ინტერნეტი, მედიაზე ზეწოლა მოსალოდნელ შედეგებს ველარ მოიტანს.

პრესა თავისი განსაზღვრებიდან გამომდინარე, არ შეიძლება იყოს არა თავისუფალი და ჩვენ ვიბრძოლებთ მხოლოდ ერთი შედეგისთვის – სრული თავისუფლებისთვის.

**ნეტგაზეთი**

# მსჯავრდებული მიკაილ კადიევი უფლებადაცვით ორგანიზაციებს მიმართავს



სასჯელაღსრულების №8 დაწესებულებაში მოთავსებული მსჯავრდებული, 32 წლის მიკაილ კადიევი საქართველოში მოქმედ უფლებადაცვით ორგანიზაციებს მიმართავს. კადიევი არასამთავრობოებს სთხოვს, დაეხმარონ რომ საქართველოს ხელისუფლებამ რუსეთში მისი ექსტრადირება არ განახორციელოს. მიმართვას უცვლელად გთავაზობთ:

„მოგმართავთ დაღესტნელი ეროვნების მოქალაქე მიკაილ კადიევი, რომელიც ჩემი უფლებადაცვითი საქმიანობის გამო რუსეთის ხელისუფლების მხრიდან განვიცდი პოლიტიკურ დევნას. ამ მიზეზით მე დავტოვე რუსეთი და 2010 წლიდან ვცხოვრობდი საქართველოში. სამწუხაროდ, საქართველოს ძალოვანი სტრუქტურების იმ წარმომადგენლებმა, რომლებსაც რუსეთის ხელისუფლებასთან აქვთ საიდუმლო კავშირები, გადაწყვიტეს ჩემი დაკავება და ფარულად გადაცემა რუსეთისათვის. ამ გეგმის განსახორციელებლად სამოქალაქო ფორმაში ჩაცმულმა ანტიტერორისტული ცენტრის წარმომადგენლებმა 2012 წლის დეკემბერში ქალაქ ბათუმში დამაკავეს და ფაქტიურად გამიტაცეს კიდევ ერთ დაღესტნელთან მაგომედ მაგომედოვთან ერთად, თუმცა, თბილისისკენ მომავალ გზაზე მე მოვახერხე გაქცევა. მოგვიანებით კი მაგომედოვი უკვალოდ გაქრა და შემდგომში იგი რუსეთის ერთ-ერთ ციხეში აღმოაჩინა „წითელმა ჯვარმა“.

ამის შემდეგ ჩემმა გამტაცებლებმა გადაწყვიტეს ჩემი ოფიციალურად დაკავება და 2013 წლის 13 ივნისს შუაღამისას შემოიჭრნენ ჩემს ნაქირავებ ბინაში (ქ. თბილისი, ბოჭორმის ქ. №50/18), ჩხრეკისას ჩამიდეს „მაკაროვის“ სისტემის პისტოლეტი, 8 ცალი ვაზნა და ცელოფანში შეკრული რაღაც ფხვნილი, რომელიც თურმე 2253,83 გრამ ჰექსოგენის შემცველ ფეთქებად ნივთიერებას შეიცავდა. ამის გამო დამაკავეს მე და ჩემთან ორი დღის წინ სტუმრად ჩამოსული ჩემი ბიძაშვილი რიზვან ომაროვი. დაკავებიდან რამდენიმე საათში შსს-მ გაავრცელა ოფიციალური ინფორმაცია, რომ თითქოს ჩვენ „განზრახული გვქონდა საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში აფეთქების გზით ტერორისტული აქტების მოწყობა“ და თურმე ჩვენ „კარგად გაწვრთნილი მეომრები ვიყავით“.

მართალია, რამდენიმე დღეში თვითონ შსს-მ ოფიციალურად უარყო ეს აბსურდული სიტყვები და ბრალი წაგვიყენეს საქართველოს სისხლის სამართლისა კოდექსის 236-ე მუხლის I ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულისათვის, ანუ ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის უკანონო შეძენა-შენახვაში, რაც 6 თვიდან 3 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. მიუხედავად იმისა, რომ საქმის მასალებიდან და სასამართლოს მსვლელობისას სრულიად აშკარად წარმოჩინდა, რომ სწორედ ჩხრეკის ჩამტარებელმა პოლიციელებმა ჩადეს ჩემს საცხოვრებელ ბინაში ზემოთ ნახსენები კანონსაწინააღმდეგო ნივთები, თბილისის საქალაქო სასამართლომ მე და ჩემს ბიძაშვილს 2-2 წლით თავისუფლების აღკვეთა მოგვისაჯა, რომელიც შემდგომში ძალაში დატოვა სააპელაციო სასამართლომ. ამჟამად განაჩენი გასაჩივრებული გვაქვს საქართველოს უზენაეს სასამართლოში.

მე ჩემს სამშობლოში, დაღესტანში, ვეწეოდი უფლებადაცვით საქმიანობას, ვიყავი სამოქალაქო აქტივისტი, რის გამოც რუსეთის ხელისუფლებამ ჩემს მიმართ შეთითხნა ბრალდება, რომ თითქოს მე ვმონაწილეობდი 2009 წლის სექტემბერში მოსკოვში მომხდარ მკვლელობაში. უამრავი მოწმე და სხვა მტკიცებულებები უტყუარად ადასტურებენ, რომ ამ დროს დაღესტანში, სამსახურში და შემდეგ მშობლიურ სოფელში ვიმყოფებოდი. ამის მიუხედავად, რუსეთის ხელისუფლება ითხოვს ჩემს ექსტრადირებას. ყველასათვის ცნობილია, თუ რა საშინელი ბედი ელოდება მკვლელობაში სრულიად უსაფუძვლოდ ბრალდებულ ჩრდილოეთ კავკასიის ნებისმიერ მოქალაქეს (მით უფრო, სამოქალაქო აქტივისტს) რუსეთში ექსტრადირების შემთხვევაში.

საქართველოს ხელისუფლების მოქმედების მრავალი ნიშანი მიუთითებს იმაზე, რომ ის აპირებს ჩემს ექსტრადირებას რუსეთში. კერძოდ:

1. ბათუმიდან ჩემი გატაცების გამო მე და ჩემმა ადვოკატმა გელა ნიკოლაიშვილმა რამდენჯერმე მივმართეთ საქართველოს მთავარ პროკურატურას და გენერალურ ინსპექციას გამოძიების დაწყების მოთხოვნით, წარვუდგინეთ ამ გატაცების ფაქტის დამადასტურებელი უტყუარი მტკიცებულებები, მაგრამ პასუხად მხოლოდ დუმილი მივიღეთ.

2. მე 2013 წლის ივლისში თხოვნით მივმართე საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს ჩემთვის ლტოლვილის სტატუსის მონიჭების შესახებ, წარვადგინე ჩემი სამოქალაქო აქტივისტობის და რუსეთის ხელისუფლების მხრიდან დევნის დამადასტურებელი უამრავი წერილობითი დოკუმენტი, თუმცა ჩემს თხოვნაზე სამინისტროს მხრიდან 2014 წლის 16 იანვარს ოფიციალური უარი მივიღე. უარის ერთ-ერთ მოტივად სამინისტროს წარმომადგენლები ასახელებენ იმას, რომ რუსეთის გენერალური პროკურორის მოადგილე საქართველოს შესაბამისი უწყებისადმი მოწერილ წერილში პირობას დებს, რომ მე ექსტრადიციის შემთხვევაში არ დავექვემდებარები წამებას და არაადამიანურ, ღირსების შემლახველ მოპყრობას.

3. ჩემი ადვოკატის მიერ საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს ეს უარი გასაჩივრებულ იქნა თბილისის საქალაქო სასამართლოში, თუმცა, სასამართლომ უარი განაცხადა სარჩელის დაკმაყოფილებზე.

4. ამჟამად თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება გასაჩივრებული გვაქვს თბილისის სააპელაციო სასამართლოში, სადაც მისი განხილვა დაიწყება 2014 წლის 8 ოქტომბერს, თუმცა, გამომდინარე საქართველოს ხელისუფლების პოლიტიკური ნებიდან (რაც გამოვლინდა ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს და თბილისის საქალაქო სასამართლოს პოზიციებით) ნაკლებად მოსალოდნელია, რომ სააპელაციო სასამართლომ შეცვალოს ეს გადაწყვეტილება. შეგახსენებთ, რომ საქართველოს კანონი ხელისუფლებას უკრძალავს ლტოლვილის სტატუსის მქონე პირის ექსტრადირებას სხვა ქვეყანაში.

ეს ყოველივე მიუთითებს იმაზე, რომ საქართველოს ხელისუფლებას განზრახული აქვს ჩემი ექსტრადირება რუსეთში, რაც ჩემთვის გარდაუვალი წამებისა და სავარაუდო მკვლელობის ტოლფასი იქნება.

მოგმართავთ საქართველოს უფლებადაცვით ორგანიზაციებს და გთხოვთ, გამოიყენოთ თქვენს ხელთ არსებული ყველა საშუალება და გავლენა, რათა დამეხმაროთ სამართლიანობის მიღწევაში, რათა ჩემი უკანონო 2 წლიანი სასჯელი საქართველოში არ გადაიზარდოს საქართველოს ხელისუფლების მხრიდან რუსეთში ჩემს ექსტრადიციაში, რაც არა მხოლოდ ჩემი პიროვნების უპირობო გაწირვა, არამედ ერთ-ერთ სამარცხვინო ლაქა იქნება საქართველოს თანამედროვე ისტორიაში“.

**კახეთის საინფორმაციო ცენტრი**

**ძვალ-სახსართა პრობლემების:**

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციევ სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საუკეთესოა და მყარი.

☎ 599-91-37-65, 234-02-38

ქალბატონი ქეთათო

# დონბასი: „მდგომარეობა რთულდება"

– ნატოს ზოგიერთმა ქვეყნებმა ჩვენთვის იარაღის გადმოცემა დაიწყეს, რაც პუტინის შეჩერებაში დაგვეხმარება, – განაცხადა უკრაინის თავდაცვის მინისტრმა გელეტეიმ.

თავად უკრაინის ტერიტორიაზე კი ბრძოლები გრძელდება.

### დარტყმა დონეცკის აეროპორტზე

– მინსკის შეთანხმებანი არ მუშაობენ. დონეცკისა და ლუგანსკის რესპუბლიკები ფართომასშტაბიან შეტევას იწყებენ, – სეპარატისტების ლიდერებმა ეს განცხადება 13 სექტემბერს გაავრცელეს.

უკრაინელი ექსპერტები აკეთებდნენ დასკვნებს, რომ დონბასში ფართომასშტაბიანი ბრძოლები განახლდებოდა, ასახელებდნენ კონკრეტულ თარიღსაც, 13-15 სექტემბერი. მართლაც, ე. .წ დონეცკის რესპუბლიკის ძალებმა აეროპორტის დაკავება კიდევ ერთხელ სცადეს.

– აეროპორტში გამაგრებულმა უკრაინელმა მედესანტეებმა ცეცხლი გახსნეს, – ტერორისტებმაც უკან დაიხიეს, – იტყობინება ტელეკომპანია მე-5 არხი.

ზუსტად ორი საათის შემდეგ აეროპორტზე იერიში განახლდა. ახლა სეპარატისტებს გვერდს რუსი ჯარისკაცებიც უმშვენებდნენ. მათ რუსული ფორმა ეცვათ, ტანკებზე კი რუსეთის დროშები იყო აღმართული.

– უკრებს უკანასკნელ გაფრთხილებას ვაძლევ: თუკი ნახევარი საათის განმავლობაში აეროპორტს არ დატოვებენ, გავანადგურებთ, – განაცხადა ე.წ. „დონეცკის რესპუბლიკის" ლიდერმა ზახარჩენკომ.

უკრაინელებმა, ბუნებრივია, ამ ულტიმატუმს ყურადღება არ მიაქციეს. მაშინ რუსებმა აეროპორტის იერიში დაიწყეს. უკრაინელებმა, საპასუხო, ცეცხლი გახსნეს. მტერმა უდიდესი ზარალი ნახა.

– დონეცკის აეროპორტი ფაქტიურად ციხესიმაგრეს წარმოადგენს. საბჭოთა პერიოდში ის ისე ააშენეს, რომ ომის დროს აქ ჯარი გამაგრებულიყო. რასაკვირველია მაშინ ყველაზე საზარელ კოშმარშიაც კი ვერავინ წარმოიდგენდა, რომ უკრაინა დამოუკიდებელი გახდებოდა, დონეცკის აეროპორტშიაც უკრაინელი მეომრები გამაგრდებოდნენ, – განაცხადა გელეტეიმ.

რუსებმა უდიდესი დანაკარგი განიცადეს. უკრაინული წყაროების ცნობით იერიშის შედეგად 12 რუსი ჯარისკაცია მოკლული, დამწვარია 7 რუსულ ტანკი (აეროპორტის შტურმში 12 ტანკი მონაწილეობდა). უკრაინელთა მხრივ დაიღუპა სამი მეომარი, არიან დაჭრილებიც. სეპარატისტული საიტი „რუსსკაია ვესნა" მომხდარ ფაქტს, ბუნებრივია, უკრაინელების პროვოკაციას უწოდებს. მისი ცნობით მოკლულია 8 რუსი ჯარისკაცი, დამწვარია 6 ტანკი. ასეა თუ ისე, უდავოა ერთი: მტერმა დიდი ზარალი განიცადა. აეროპორტს კვლავ უკრაინელები აკონტროლებენ.

### ბრძოლა პანტელეიმონოვკასთან

იმავე დღეს მტერმა კვლავ სცადა დებალცევოს ალყაში მოქცევა. მომხდარი შეტაკებების შედეგად რუსებმა უკან დაიხიეს.



– რუსი ჯარისკაცები თავიანთ ვინაობას არ მალავენ. მათ ტანკებზე რუსული დროშებია აღმართული, – იტყობინება მე-5 არხი.

მწვავე ბრძოლა გაიმართა პანტელეიმონოვკასთან. დონბასელმა სეპარატისტებმა და რუსმა ჯარისკაცებმა ვასილიევკისაკენ გარღვევა სცადეს. უკრაინელებმა მათ გზა გადაუღობეს. გაიმართა ბრძოლა.

– მტრის ჯარისკაცთა ოდენობა 200-ს აღწევდა. მათ ჰქონდათ 10 ტანკი, „გრადის" ტიპის დანადგარები, ნაღმმტყორცნები, – იტყობინება უკრაინის უშიშროების საბჭოს წარმომადგენელი ლისენკო.

ორმხრივი სროლების შედეგად მოკლულია 8 რუსი ჯარისკაცი, უკრაინელთა დანაკარგი 5 მებრძოლს შეადგენს.

– ჩვენებმა დაკავებული პოზიციები შეინარჩუნეს, – განაცხადა ლისენკომ.

### შეტაკებები არ წყდება

უკრაინის უშიშროების საბჭოს მონაცემებით 14-15 სექტემბერს შეტაკებები მიმდინარეობდა დებალცევოსთან, მარინკასთან, ჟდანოვკასთან. სეპარატისტებმა პაპასნოეს იერიშიც სცადეს. უკრაინელი სამხედროები იძულებულნი გახდნენ, ცეცხლი გაეხსნათ. მტერმა საკმაო ზარალი ნახა და უკან დაიხია. 15 სექტემბერს სეპარატისტებმა და რუსმა ჯარისკაცებმა იერიში უკვე პესკიზე მიიტანეს. გაიმართა გააფთრებული ბრძოლა. მსხვერპლი ორივე მხრიდან საკმაოდაა.

– ყველა შემთხვევაში სეპარატისტების მხარეს რუსი ჯარისკაცებიც იბრძოდნენ. ისინი რუსული დროშით მოქმედებენ და რუსული ფორმა აცვათ, – იტყობინება მე-5 არხი.

შედარებით მშვიდობა იყო მარიუპოლთან. უკრაინელი სამხედროები ქალაქის მისადგომებთან თავიანთ პოზიციებს ინარჩუნებენ. თავად მარიუპოლში სიმშვიდეა, ცხოვრება ჩვეულებრივ რიტმში მიედინება, მუშაობს ტრანსპორტი. სამაგიეროდ შეტაკები მოხადა ტელმანოვკის მახლობლად. ორივე მხარესაა მსხვერპლი.

– თითქოს მხარეები ცეცხლის შეწყვეტაზე შეთანხმდნენ, მაგრამ შეტაკებები არ წყდება, – იტყობინება მე-5 არხი.

მინსკის შეთანხმებების შედეგია ის, რომ შეტაკებების სიხშირემ იკლო. ზოგან შედარებითი სიმშვიდეა.. დონეცკთან კი მდგომარეობა მძიმეა. ყველა ერთსულოვანია იმაში, რომ ე.წ. „მშვიდობიანი შესვენება" დიდხანს არ გაგრძელდება.

– რუსეთი ძალებს იკრებს, რათა შეტევაზე გადმოვიდეს, – თვლის უკრაინის პარლამენტის დეპუტატი ოლეგ ტიაგნიბოკი.

ცეცხლის შეწყვეტის რეჟიმი ჯერჯერობით მოქმედებს, თუმცა შეტაკებები არ წყდება. იღვრება სისხლი, იღუპებიან ადამიანები.

### რატომ იკავებდა თავს დასავლეთი უკრაინის შეიარაღებისაგან?

ამრიგად უკრაინაში ვითარება დღითიდღე იძაბება. უკვე ცხადია, რომ პუტინი დონბასს მხოლოდ პლაცდარმად განიხილავს და ფართომასშტაბიანი შეტევისათვის ემზადება. მიუხედავად ამისა დასავლეთში უკანასკნელ მომენტამდე გრძელდება დისკუსია, აუცილებელია კი უკრაინისათვის იარაღის მიწოდება?

– პუტინის შეჩერება მხოლოდ კარგად გაწვრთნილ და შეიარაღებულ უკრაინულ არმიას შეუძლია! დადგა დრო, რათა უკრაინას იარაღი მივაწოდოთ, – აცხადებს სენატორი მაკეინი.

ამ მოსაზრებას ოპონენტები საკმაოდ ჰყავს, რაც უამრავმა ფაქტორმა განაპირობა. ევროპისათვის რუსეთთან არსებული ეკონომიკური კავშირები ხელსაყრელია. მათი გაწყვეტა ევროპას არ სურდა. რუსეთთან კონფრონტაციაც არავის უნდოდა.

– უკრაინა უკანასკნელი 300 წლის განმავლობაში რუსეთის პროვინციას წარმოადგენდა. მისი ევროინტეგრაცია კრემლის მწვავე რეაქციას გამოიწვევს. რუსეთის აგრესიულობაც გაიზრდება. ისმის კითხვა, რაში გვჭირდება ეს? – ამ კითხვას გერმანელი ექსპერტი ფოგელი სვამს.

არანაკლებ მნიშვნელოვანია ისიც, რომ უკრაინის ეკონომიკა მძიმე მდგომარეობაშია. აუცილებელია ფართომასშტაბიანი რეფორმების გატარება. ვინ დააფინანსებს ამ რეფორმებს? ვინ ჩადებს ფულს იმაში, რომ უკრაინა თანამედროვე დასავლურ სახელმწიფოდ გადაიქცეს?

– საბერძნეთიც გვყოფნის, უკრაინა გვინდა კიდევ? – აცხადებს ფოგელი.

დასავლეთს არანაკლებ აშფოთებს ისიც, რომ თავად უკრაინის პოლიტიკური სპექტრი ძალზე თავისებურია. ყველა გავლენიანი პარტიის უკან კონკრეტული ბიზნეს-ჯგუფები დგანან. პარტიებიც გადაწყვეტილებას არა საკუთარი იდეოლოგიის, არამედ კასტურ-კლანური ინტერესებიდან გამომდინარე იღებენ. ზოგიერთი ორგანიზაცია, რომელიც დღეს პრო-დასავლური ლოზუნგებით გამოდის, ხვალ შესაძლოა რუსეთის სამსახურში აღმოჩნდეს. რუსული მეხუთე კოლონა კი ყველა სფეროშია, დაწყებული ბიზნესიდან და დამთავრებული ძალოვანი სტრუქტურებით. რამდენად მოხერხდება ასეთ პირობებში ძლიერი პროდასავლური საყრდენის შექმნა?

– კი ბატონო, დავეხმაროთ უკრაინას, მაგრამ ეს რას მოგვცემს? სადაა გარანტია, რომ ჩვენი იარაღი რუსების ხელში არ მოხვდება? არანაკლებ მნიშვნელოვანია მეორე საკითხიც: ღირს კი დავეხმაროთ უკრაინას, რომელიც დღეს ევროპის ყველაზე კორუმპირებული სახელმწიფოა? – კითხულობს ფოგელი.

ამავე დროს უკრაინელმა ხალხმა უკვე მთელს მსოფლიოს აჩვენა, რომ სამშობლოს დაცვა შეუძლია. პუტინის „ჰიბრიდული ომის" ტაქტიკამ მარცხი განიცადა. ე.წ. „ნოვორისია" ვერ შეიქმნა. უკრაინელები დონბასის 70 პროცენტს კვლავაც აკონტროლებენ. ევროპაში ესმით, რომ პუტინი უკან არ დაიხევს. თავის მხრივ პოზიციებს არც უკრაინელები დათმობენ. შესაბამისად არსებობს ფართომასშტაბიანი ომის გაჩაღების საფრთხე, რაც ევროპას ძალიან ძვირი დაუჯდება.

– სამწუხაროდ, უკრაინელები ბელორუსებივით პასიურები არ არიან. ამიტომ თუკი გვსურს ფათომასშტაბიანი ომი ავიცილოთ, ჩვენთვის ეკონომიურად წამგებიან გარკეულ ღონისძიებებზე უნდა წავიდეთ, – განაცხადა გერმანიის კანცლერმა მერკელმა.

დასავლეთმაც ერთგვარი „ოქროს შუალედი" გამოძებნა. უკრაინას გაეწევა პოლიტიკური და ფინანსური დახმარება, რათა ქვეყანა არ ჩაიძიროს. პარალელურად გაძლიერდება რუსეთზე ზეწოლა (ეკონომიური სანქციები და ა.შ.). ხოლო რუსული აგრესიის შეჩერებაში კი მთავარი აქცენტი დიპლომატიაზე გაკეთდება. გადაწყვეტილება თითქოს ოპტიმალურია, მაგრამ უკანასკნელმა მოვლენებმა აიძულა დასავლეთი მასში ერთგვარი კორექტივები შეეტანა.

### დასავლეთი ნელ-ნელა აქტიურდება

15 სექტემბერს სეპარატისტებმა და რუსმა ჯარისკაცებმა დონეცკის აეროპორტის დაკავება კვლავ სცადეს. ბრძოლები განახლდა. მწვავე შეტაკებები არ წყდებოდა სჩასტიესთანაც. ტერორისტების მცდელობას დაებრუნებინათ ქალაქი, წარმატება არ მოჰყოლია. ასევე ბრძოლები მიმდინარეობდა მარინკასთან, პესკებთან. „რუსსკაი ავესნამ" უკვე გაავრცელა ინფორმაცია მარინკის აღების შესახებ, რაც მორიგი სიცრუე აღმოჩნდა. ფაქტია მხოლოდ ის, რომ შეთანხმება ცეცხლის შეწყვეტის შესახებ არ სრულდება. რუსები პროვოკაციას – პროვოკაციაზე ახორციელებენ. შეტაკებებიც მთელი დონბასის ტერიტორიაზე არ წყდება. დონეცკის მახლობლად კი მათ სასტიკი და ინტენსიური ხასიათი აქვთ.

– დონეცკის ოლქში არავითარი მშვიდობიანი შეთანხმება არ მოქმედებს, – აცხადებს ბატალიონ დნეპრის ერთ-ერთი მეთაური შილოვი.

ამრიგად დონბასში ვითარება რთულდება. ამან დასავლეთის პოზიციის შეცვლაც გამოიწვია. გელეტეის განცხადება ნატოს არც ერთმა ქვეყანამ არ უარყო. ამას გარდა 15 სექტემბერს დასავლეთ უკრაინაში უკრაინა – ასშ-ს ერთობლივი სამხედრო წვრთნებიც დაიწყო.

– ეს სიგნალია პუტინისათვის, – იტყობინება რადიო „თავისუფლება".

დასავლეთი ნელნელა აქტიურდება, თუმცა ეს პროცესის მხოლოდ დასაწყისია. მშვიდობის აღდგენისათვის მარტოოდენ ევროკავშირის ძალისხმევა არ კმარა. აუცილებელია პროცესში აშშ-ს ჩართვაც. დღესდღეობით კი დონბასში ბრძოლები გრძელდება, იღვრება სისხლი, ინგრევა შენობები, იღუპებიან ადამიანები.

**ნიკა თევზაძე**

## განცხადებები

● ცხადდება მიღება მასაჟისა და კოსმეტოლოგიის კურსებზე, დამთავრების შემდეგ გაიცემა სერთიფიკატი. ხელმძღვანელი ექიმი გულიკო ჩიკვილაძე. ტელ: 2-96-67-03; 595-35-64-13.

● მხოლოდ მცენარეულ, ბუნებრივ მასლებზე დამზადებული თოდუების საგვარეულო წამლებით ვკურნავ კანის უამრავ დაავადებას: გამონაყარს (ჩირქოვანსაც), ნაოჭებს, ლაქებს, სებორეას, ეგზემას, სოკოს, მათ შორის ფრჩხილის სოკოს, დახეთქილ ქუსლებს, მაზოლებს, მეჭეჭებს, ქერტლს, ჰაიმორიტი იკურნება 10 დღეში, ვაჩერებ თმის ცვენას. ვკურნავ მასტიტს. თოდუების საგვარეულო წამლით გაგეწმინდებათ ორგანიზმი, ალაგდება ყველა ანთებითი პროცესი. შეგიძლიათ მომმართოთ გინეკოლოგიური პრობლემების მქონე ქალბატონებმაც. მის.: ოთარ ჭილაძის ქ.№166, №10 კორპუსის წინ და №1 კორ პუსის უკან. 230 62 52; 599 16 10 82. ლამარა თოდუა.

● ძვალ-სახსართა პრობლემების მოგვარება, ტკივილების მოხსნა, ხრტილის აღდგენა, ოსტეოქონდროზი, კოქსართროზი, ოსტეოპოროზი, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახრებზე ძვლის მკვებავებით. ტელ: 577-29-37-41; 247-58-83.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78 ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38 ქეთი.

● მასაჟი სამკურნალო და გამაჯანსაღებელი: ძვალსახსართა დაავადებების, ოსტეოქონდროზის, ნევრიტების, პოსტტრავმულ-სარეაბილიტაციო და ა.შ. ასევე ბავშვთა და მოზარდთა მასაჟი ბრტყელტერფიანობის, დისპლაზიის, სქოლიოზის, ხერხემლის დეფორმაციების, პარეზის და ა.შ. (თანდაყოლილი ანომალიებიც) სამკურნალოდ. ტელ: 598-516-533 ქ-ნი ფიქრია.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571720311– ქ-ნი მარიამი.

## თავდასხმა ტელეარხ „დოჟდ"-ის წამყვანზე



მოსკოვში უცნობი პირები ოპოზიციურ ტელეარხ „დოჟდ"-ის წამყვანს ქსენია ბატანოვას თავს დაესხნენ. თავდასხმა საღამოს მოხდა, როცა ბატანოვა შინ ბრუნდებოდა.

– მას თავს სამი მამაკაცი დაესხა, – იტყობინება „ინტერი".

ბატანოვას სახეში მუშტი ჩაარტყეს, წააქციეს და სცემეს. შემდეგ მოხსნეს საყურეები, წაართვეს მობილური ტელეფონი. თავდამსხმელები გაუჩინარდნენ. ნაცემი ჟურნალისტი ტვინის შერყევით საავადმყოფოში მოხვდა.

– „დოჟდი" მკვეთრ ანტიპუტინურ მიმართულებით გამოირჩეოდა და უკრაინაში განვითარებულ მოვლენებს ობიექტურად აფასებდა, – იტყობინება „ინტერი."

ბატანოვას ცემის გამო სისხლის სამართლის საქმეა აღძრული. მიმდინარეობს გამოძიება.

**ნიკა თევზაძე**

## რომის პაპი: „მესამე მსოფლიო ომი ფაქტიურად დაიწყო"



– მესამე მსოფლიო ომი ფაქტიურად დაიწყო. კაცობრიობას მოვუწოდებ იყოს ფრთხილად, გამოვიდეს აპათიიდან, წინააღმდეგ შემთხვევაში გვიანი იქნება, – რომის პაპმა ეს ბი-ბი-სი-ს კორესპონდენტს განუცხადა.

პაპი უკრაინაში განვითარებულ მოვლენებზე დაწვრილებით შეჩერდა. მან ხაზი გაუსვა იმას, რომ რუსეთი აშკარა აგრესიაზე გადავიდა.

– პუტინის პოლიტიკა ჰიტლერის პოლიტიკას ძალზე წააგავს, – თქვა პაპმა. – სამწუხაროდ დასავლეთის ზოგი ლიდერის საქციელი ჩემბერლენისა და დალადიეს პოლიტიკა-ს ძალზე მოგვაგონებს. მათი დოყლაპიობა კაცობრიობას მეორე მსოფლიო ომის გაჩაღებად დაუჯდა, – განაცხადა პაპმა.

საუბრის დასასრულს კათოლიკური ეკლესიის მეთაურმა ხაზი გაუსვა იმას, რომ ომი სიგიჟეა, ამიტომ სანამ დროა, დასავლეთმა პუტინი უნდა შეაჩეროს.

– თუკი დოყლაპიობა გაგრძელდა, კაცობრიობას ეს ძალზე ძვირი დაუჯდება, – თქვა პაპმა.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

## თურქეთი საზღვრებს ამაგრებს

ერაყში განვითარებული პროცესები თურქეთის კანონზომიერ შეშფოთებას იწვევს. ისლამისტები აშკარად აცხადებენ, რომ სურთ თავიანთი გავლენა თურქეთზეც გაავრცელონ. არანაკლებ შემაშფოთებელია ისიც, რომ ისლამისტებთან ბრძოლაში დასავლეთი იძულებული გახდა ერაყელი ქურთები შეეიარაღებინა.

– ქურთისტანის ტერიტორიის გარკეული ნაწილი დღეს თურქეთის შემადგენლობაშია. შესაბამისად შეიარაღებული ქურთები თურქებისათვის არანაკლებ საშიშია, ვიდრე ისლამისტი-ტერორისტები, – თვლის ბი-ბი-სი.

თურქეთმაც თავის საზღვრების გამაგრება დაიწყო. თუკი თავდაპირველად ოფიციალური ანკარა სირიაში მიმდინარე პროცესებს სხვაგვარად უყურებდა (ისლამისტი ბოევიკები სირიაში თურქეთის გავლით ხვდებოდნენ), ახლა ვითარება შეიცვალა. საზღვარზე კონტროლი გამკაცრდა. თურქეთი ტერორისტებთან საომრად ემზადება.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

## ფსორიაზისგან განვიკურნე

14 წლის წინ დავავადდი ფსორიაზით. საშინლად ვიტანჯებოდი. რაც შეიძლებოდა, ყოველგვარი მკურნალობა ჩავიტარე, მაგრამ უშედეგოდ. ბოლოს მივაგენი ფურცელაძის მალამოს, რამაც განსაცვიფრებელი შედეგი გამოიღო. დღეს ვარ სრულიად ჯანმრთელი.

მადლობას ვუხდი ქ-ნ ჯულიეტა ფურცელაძეს ჩემი გადარჩენისთვის.

ეს სასწაულებრივი მალამო სასწაულად კურნავს აგრეთვე სოკოს, სებორეას, ბუასილს.

ტელ: 599-57-68-57; 2-23-87-18.

# ძალოსნებმა საქართველოს ჩემპიონატი დაასრულეს

დუშეთში ძალოსანთა შორის საქართველოს ჩემპიონატი გაიმართა. საქართველოს პირველობა 8 წონით კატეგორიაში ჩატარდა, ჩემპიონობისთვის კი 60 სპორტსმენი იბრძოდა.

ჩემპიონატის დასკვნით დღეს, 13 სექტემბერს დუშეთის კულტურის სახლს საქართველოს პრეზიდენტი – გიორგი მარგველაშვილი ესტუმრა და მძიმე წონაში გამარჯვებული სპორტსმენები დააჯილდოვა.

ეროვნული ჩემპიონატის შედეგების მიხედვით ეროვნული ნაკრები (მთავარი მწვრთნელი გიორგი ასანიძე) დაკომპლექტდება, რომელიც 6-16 ნოემბერს ალმაატაში (ყაზახეთი) მსოფლიოს ჩემპიონატზე გამოვა. მსოფლიოს პირველობაზე დაიწყება რიო დე ჟანეიროს ოლიმპიური თამაშების ლიცენზიებისთვის ბრძოლაც.

ძალოსნები ოლიმპიადის ლიცენზიებს წლეულს და გაისად გასამართი მსოფლიოს პირველობებზე ნაჩვენები შედეგების მიხედვით გაითამაშებენ. ოლიმპიადის საგზურები გუნდური შედეგების მიხედვით გადანაწილდება.

**საქართველოს ჩემპიონატი ძალოსნობაში.**

**56 კგ:** 1.ზაზა ფუტკარაძე (აჭარა) – 200 კგ (ატაცი 90კგ, აკვრა 110კგ); 2.ზვიად ფუტკარაძე (აჭარა) – 190 (85,105); 3.ხვიჩა ჯინჭარაძე (აჭარა) – 163 (71,92);

**62 კგ:** 1.რამინ შამილაშვილი (აჭარა) – 266 (121,145); 2.გოდერძი ბერდელიძე (საჩხერე) – 234 (104,125); 3.ბექა ბერუაშვილი (თბილისი) 199 (89,110);

**69 კგ:** 1.თორნიკე თოდაძე (საჩხერე) – 283 (130,153); 2.ვაჟა ქავთარაძე (აჭარა) – 263 (116,147); 3.გოგა ჩხეიძე (ზუგდიდი) – 262 (117,145);

77 კგ: 1.გიორგი ლომთაძე (ქუთაისი) – 330 (152,178); 2.ირაკლი გაბრჭიძე (საჩხერე) – 312 (145,167); 3.რევაზ დავითაძე (თბილისი) – 273 (128,145);

**85 კგ:** 1.დავით ხარატიშვილი (აფხაზეთი) – 321 (141,180); 2.ზურაბ თავაძე (ქუთაისი) – 292 (135,157); 3.ირაკლი ჯალაღონია (ზუგდიდი) – 259 (114,145);

**94 კგ:** 1.ნიკა ნანაძე (თბილისი) – 337 (152,185); 2.ნიკა წიკლაური (თბილისი) – 336 (155,183); 3.ლონგინოზ ბრეგვაძე (საჩხერე) – 328 (148,180);

**105 კგ:** 1.გიორგი მაჭავარიანი (აჭარა) – 363 (170,193); 2.გიორგი ჩხეიძე (ზუგდიდი) – 343 (155,188); 3.დავით ხეცურიანი (ქუთაისი) – 338 (150,188);

**მძიმე:**1.ირაკლი თურმანიძე (აჭარა) – 408 (188,225); 2.ალბერტ კუზილოვი (აჭარა) – 380 (170,210); 3.ბაქარ თურმანიძე (აჭარა) – 287 (130,152);

გუნდური: 1.აჭარა – 205 ქულა; 2.საჩხერე – 173; 3.თბილისი – 172.

# ამერიკა და სხვა დანარჩენი

**აშშ – სერბეთი 129:92**
(35:21; 32:20; 38:26; 24:25)

**აშშ:**კარი (10ქ), თომპსონი (12ქ), როუზი (6პ), ფარიდი (12ქ,7 მ), გეი (11ქ), დეროზანი (10ქ), ირვინგი (26ქ), პლამლი (1ქ), კაზინსი (11ქ,9მ), ჰარდენი (23ქ), დევისი (7ქ), დრამონდი (6ქ)

**სერბეთი:** ტეოდოშიჩი (10ქ,7პ), სიმონოვიჩი, იოვიჩი (6ქ), ბ.ბოგდანოვიჩი (15ქ), ბიელიცა (18ქ), მარკოვიჩი (3ქ), კალინიჩი (18ქ), ბირჩევიჩი, კრსტიჩი (4ქ), რადულიცა (9ქ), კატიჩი (2ქ), შტიმაცი (7ქ)



ამერიკა მსოფლიოს ჩემპიონია. მსოფლიოს ჩემპიონია სერბეთიც, რადგან ამერიკა არ ითვლება, ის კალათბურთში სხვა სამყაროა და ეს კიდევ ერთხელ დაამტკიცა. სერბებმა პლეი ოფის სტადიაზე თითქმის ყველა საინტერესო გუნდი დაამარცხეს, ამერიკასთან კი ვერაფერს გახდნენ. ვერც სხვები გახდებოდნენ ვერაფერს, განსხვავებული მხოლოდ სხვაობა იქნებოდა, შედეგი – იგივე. ამერიკამ ისე მოიგო, რომ პირველი ტაიმის შემდეგ მოხსნა ყოველგვარი კითხვის ნიშანი.

არადა, საწყისი მეოთხედის მე-5 წუთის თავზე სერბები 15:7-ს იგებდნენ და აქვე მორჩა მათი იმედები. ამერიკა აბობოქრდა, ჩვეულად ათამაშდა და ათწუთეული 14 ქულით მოიგო. ასეთი სხვაობით გაქცეულ ამერიკასთან დაწევა კი გამორიცხულია.

ამერიკელებმა მეორე და მესამე მეოთხედებიც დიდი სხვაობით მოიგეს. ამასთან, 30 ქულაზე ნაკლებს მეოთხედში არ აგდებდნენ. მხოლოდ ბოლოში მოეშვნენ და საბოლოოდ, 129 ქულას მოუყარეს თავი.

მსოფლიოს ღირსეული მბრძანებელი ჰყავს. ამერიკელებმა ტიტული ნამდვილად დაიმსახურეს. ისინი ერთი თავით მაღლა იდგნენ დანარჩენ გუნდებზე. ეს მაშინ, როდესაც არ იყვნენ ესპანეთში უძლიერესი შემადგენლობით ჩასულები.

ეს ამერიკელთა მეხუთე მსოფლიოს ჩემპიონობაა და ამით იუგოსლავიას დაეწივნენ.

**ლიტვა – საფრანგეთი 93:95**
(19:22; 23:21; 29:21; 22:31)

ფინალამდე გაიმართა მესამე ადგილისთვის მატჩი, რომელშიც საფრანგეთისა და ლიტვის ნაკრებები ხვდებოდნენ.

ფავორიტად თავიდანვე ბალტიისპირელები მონათლეს, რადგან მათ ერთი დღე დასვენება ჰქონდათ, საფრანგეთს კი სერბეთთან დრამატული ნახევარფინალის შემდეგ მეორე დღესვე მოუწია მოედანზე გასვლა.

პირველი მეოთხედი მაინც საფრანგეთმა მოიგო, მეორე – ლიტვამ და დიდ შესვენებაზე გუნდები ფრანგთა ერთქულიანი ჰანდიკაპით გავიდნენ.

მესამე მეოთხედი უკვე ლიტველების იყო – იონას კაზლაუსკასის შეგირდებმა 7 ქულით წინ გასვლა მოახერხეს და ყველამ იფიქრა, რომ ლიტვამ დაღლილი საფრანგეთი გატეხა, მაგრამ ბოლო მეოთხედში ნიკოლა ბატუმის მონდომებით ევროპის ჩემპიონი თამაშში დაბრუნდა.

საბოლოოდ, მატჩის ბედი ბოლო ორ წუთში გადაწყდა. ბორის დიაოს ორი ზუსტი ტყორცნის შემდეგ საფრანგეთი ექვსი ქულით დაწინაურდა. ლიტველები ჯარიმების ტაქტიკაზე გადავიდნენ და ტომ ერტელის საჯარიმოდან ორი აცილების შემდეგ სხვაობა მინიმუმამდეც დაიყვანეს, მაგრამ მეტის გასაკეთებლად დრო არ ეყო.

**მსოფლიოს ჩემპიონატის სიმბოლური ხუთეული:**

მილოშ ტეოდოშიჩი (სერბეთი), კაირი ირვინგი (აშშ), ნიკოლას ბატუმი (საფრანგეთი), პო გასოლი (ესპანეთი), კენეტ ფარიდი (აშშ).

**მსოფლიოს ჩემპიონატის საუკეთესო კალათბურთელი:**

კაირი ირვინგი.

# ზურაბ ხიზანიშვილი დინამოს შეუერთდა



თბილისის „დინამოს" ზურაბ ხიზანიშვილი შეუერთდა. 32 წლის მცველმა საფეხბურთო კარიერა 18 წლის ასაკში, სწორედ „დინამოში" დაიწყო, შემდეგ კი წლების მანძილზე გამოდიოდა ბრიტანეთში: „დანდი", „რეინჯერსი", „ბლექბერნი", „ნიუკასლი", „რედინგი". ხიზანიშვილის ბოლო კლუბი თურქული „ქაისერი" გახლდათ. ხიზანიშვილი 13 წლის მანძილზე იცავდა საქართველოს ნაკრების ღირსებას.

**ზურაბ ხიზანიშვილი:**

– მოხარული ვარ საქართველოში დაბრუნებით. დავბრუნდი იმ გუნდში, სადაც დავიწყე და გუნდთან ერთად პირველი ვარჯიშიც ჩავატარე. ძალიან მიხარია „დინამოში" და ახალგაზრდა, ძალიან ნიჭიერ ფეხბურთელებთან ერთად ყოფნა. „დინამოს" ყოველთვის მაღალი მიზნები აქვს, სხვაგვარად ალბათ არც შეიძლება. მადლობელი ვარ „დინამოს" ხელმძღვანელობის. პირველი შთაბეჭდილებები საუკეთესოა, კლუბში ისეთი სულისკვეთებაა, როგორც ერთ დიდ ოჯახში. არაფერს ვიტყვი იმ პირობებზე, რომელიც განახლებულ „დინამოში" დამხვდა. რომან ფიფია ეროვნულ საქმეს აკეთებს. ადრეც მითქვამს და ახლაც გავიმეორებ – ერთი-ორი ასეთი ადამიანი რომ გვყავდეს, ქართული ფეხბურთის დონე საგრძნობლად აიწევდა.

# შვიდკაცა ნაკრებმა მანჩესტერული ეტაპი ჩააგდო

საქართველოს შვიდკაცა ევროპის „გრან პრის" მესამე ეტაპზე ბოლო, მე-12 ადგილს დასჯერდა და სერიის ცხრილში მე-7 სტრიქონამდე დაეშვა, რითაც მსოფლიო სერიის შესარჩევში გასვლის შანსიც ფაქტობრივად დაკარგა.

„გრან პრი" 4-ეტაპიანი სერიაა. მისი ორი ტურნირი ზაფხულში მოეწყო (ლიონი, მოსკოვი) და ორიც შემოდგომაზეა დაგეგმილი.

მესამე ეტაპს მანჩესტერმა უმასპინძლა. თამაშები პრემიერშიპის კლუბის, „სეილ შარქსის" სტადიონზე მოეწყო.

„საქართველოს შვიდკაცა" ინგლისში შესუსტებული შემადგენლობით ჩავიდა, რადგან ბევრი ჩვენი მორაგბე ან საფრანგეთის პირველობითაა დაკავებული და ანაც „თბილისის კავკასიელების" ევროპული დებიუტისთვის „შევარდენზე" ემზადება.

მანჩესტერში მოვიგეთ პირველივე მატჩი, მაგრამ შემდეგ ზედიზედ ოთხში დავმარცხდით. ევრო-სერიაში უარესად გვიასპარეზია მხოლოდ შარშან, ლიონში, როცა 7 მატჩიდან 6 წავაგეთ.

წელს ევროპაში შვიდკაცის ახალი, ოლიმპიური ფორმულა დაინერგა. მის თანახმად, 12 გუნდი იყოფა სამ პულად, თასისთვის ბრძოლას კი აგრძელებენ ოთხეულთა ორი-ორი მოწინავე და ორიც უკეთესი მესამე-ადგილოსანი.

ორი რაუნდის შემდეგ, რვა გუნდში მოხვედრა ჯერაც რეალური ჩანდა, რადგან შოტლანდიასთან 31 ქულაზე მეტით არ უნდა წაგვეგო, მაგრამ გუნდმა უსწოროდ, უნებისყოფოდ ითამაშა და შვიდიდან ორი, დამღუპველი ლელო ბოლო წუთებზე გაუშვა. შედეგად, 0:45 და კვირას სამის ნაცვლად ორი თამაშიღა შეგვრჩა და ისიც ფიალაზე.

სამწუხაროდ, ვერც ეს სანუგეშო ჯილდო მოვიხელთეთ. თავიდან დაწინაურებულებმა, ბოლოს კი 5 კაცის ამარა დარჩენილებმა, წავაგეთ მაჩანჩალა რუმინეთთან, ვინაც წინა ორ ეტაპზე ბოლო ადგილს ვერ ასცდა, ხოლო დასკვნით მატჩში, სტარტზე წაგებისთვის, ჩვენთან რევანში იტალიამაც აიღო.

5 მატჩში დავდეთ 11 ლელო, მაგრამ გარდავსახეთ მხოლოდ სამი. სამაგიეროდ, მივიღეთ უმაგალითოდ ბევრი, 5 ყვითელი ბარათი, რაც დიდ რაგბშიც პრობლემაა.

გრან პრის დასკვნითი ეტაპი დამდეგ უქმეებზე ბუქარესტშია. ქულათა მარაგი იმდენი გვაქვს, რომ ევრო-ელიტიდან გავარდნა არ გვემუქრება, მაგრამ ეტყობა, ველარ შევწვდებით 2015 წელს, ჰონკონგში დანიშნული მსოფლიო სერიის შესარჩევის ორ ევროპულ საგზურს, რაკი მანჩესტერული ჩავარდნის გამო, რუსეთმა და ბელგიამ ბევრით გაგვისწრეს.

# შედეგები

**ფეხბურთი**

**ცენტრალური ამერიკის თასი**

**ფინალი**

გვატემალა-კოსტა რიკა 1:2

**მე-3 ადგილისთვის**

სალვადორი-პანამა 0:1

**მე-5 ადგილისთვის**

ჰონდურასი-ნიკარაგუა 1:0

**ინგლისი. პრემიერლიგა**

მანჩესტერი-ქპრ 4:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ჩელსი | 4 | 4 | 0 | 0 | 15-6 | 12 |
| 2.ასტონ ვილა | 4 | 3 | 1 | 0 | 4-1 | 10 |
| 3.სუონსი | 4 | 3 | 0 | 1 | 8-5 | 9 |
| 4.საუთჰემპტონი | 4 | 2 | 1 | 1 | 8-3 | 7 |
| 5.სიტი | 4 | 2 | 1 | 1 | 7-4 | 7 |
| 6.ტოტენჰემი | 4 | 2 | 1 | 1 | 7-5 | 7 |
| 7.არსენალი | 4 | 1 | 3 | 0 | 7-6 | 6 |
| 8.ლივერპული | 4 | 2 | 0 | 2 | 6-5 | 6 |
| 9.მანჩესტერი | 4 | 1 | 2 | 1 | 6-3 | 5 |
| 10.ევერტონი | 4 | 1 | 2 | 1 | 9-10 | 5 |
| 11.ლესტერი | 4 | 1 | 2 | 1 | 4-5 | 5 |
| 12.ჰალი | 3 | 1 | 1 | 1 | 3-3 | 4 |
| 13.სტოკი | 4 | 1 | 1 | 2 | 2-3 | 4 |
| 14.სანდერლენდი | 4 | 0 | 3 | 1 | 5-6 | 3 |
| 15.ვესტ ჰემი | 3 | 1 | 0 | 2 | 4-5 | 3 |
| 16.ქპრ | 4 | 1 | 0 | 3 | 1-9 | 3 |
| 17.კრ. პალასი | 4 | 0 | 2 | 2 | 5-8 | 2 |
| 18.ბარნლი | 4 | 0 | 2 | 2 | 1-4 | 2 |
| 19.ვესტ ბრომვიჩი | 4 | 0 | 2 | 2 | 2-7 | 2 |
| 20.ნიუკასლი | 4 | 0 | 2 | 2 | 3-9 | 2 |

**ინგლისი. ჩემპიონლიგა**

ნოტინგემი-დერბი 1:1

**ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი**

რაიო-ელჩე 2:3
ვალენსია-ესპანიოლი 3:1
სევილია-ხეტაფე 2:0
გრანადა-ვილიარეალი 0:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბარსელონა | 3 | 3 | 0 | 0 | 6-0 | 9 |
| 2.ვალენსია | 3 | 2 | 1 | 0 | 7-2 | 7 |
| 3.სევილია | 3 | 2 | 1 | 0 | 5-2 | 7 |
| 4.ატლეტიკო | 3 | 2 | 1 | 0 | 4-2 | 7 |
| 5.სელტა | 3 | 1 | 2 | 0 | 6-4 | 5 |
| 6.გრანადა | 3 | 1 | 2 | 0 | 3-2 | 5 |
| 7.სოსიედადი | 3 | 1 | 1 | 1 | 6-5 | 4 |
| 8.ვილიარეალი | 3 | 1 | 1 | 1 | 2-1 | 4 |
| 9.ელჩე | 3 | 1 | 1 | 1 | 4-6 | 4 |
| 10.მალაგა | 3 | 1 | 1 | 1 | 1-3 | 4 |
| 11.ბილბაო | 3 | 1 | 0 | 2 | 3-3 | 3 |
| 12.ეიბარი | 2 | 1 | 0 | 1 | 2-2 | 3 |
| 13.რეალი | 3 | 1 | 0 | 2 | 5-6 | 3 |
| 14.ხეტაფე | 3 | 1 | 0 | 2 | 2-5 | 3 |
| 15.რაიო | 3 | 0 | 2 | 1 | 4-5 | 2 |
| 16.ალმერია | 3 | 0 | 2 | 1 | 2-3 | 2 |
| 17.კორდობა | 3 | 0 | 2 | 1 | 2-4 | 2 |
| 18.დეპორტივო | 2 | 0 | 1 | 1 | 3-4 | 1 |
| 19.ესპანიოლი | 3 | 0 | 1 | 2 | 3-6 | 1 |
| 20.ლევანტე | 3 | 0 | 1 | 2 | 0-5 | 1 |

**ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი**

ხიხონი-ხირონა 1:1
ლუგო-ლეგანესი 0:0
სარაგოსა-საბადელი 1:1
ბეტისი-ალბასეტე 0:1
ალკორკონი-ვალიდოლიდი 0:1
ტენერიფე-მირანდესი 1:0

**იტალია. სერია ა**

სამპდორია 2:0
ინტერი-სასუოლო 7:0
კალიარი-ატალანტა 1:2
ლაციო-ჩეზენა 3:0
ნაპოლი-კიევო 0:1
ფიორენტინა-ჯენოა 0:0
პარმა-მილანი 4:5

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.მილანი | 2 | 2 | 0 | 0 | 8-5 | 6 |
| 2.იუვენტუსი | 2 | 2 | 0 | 0 | 3-0 | 6 |
| 3.რომა | 2 | 2 | 0 | 0 | 3-0 | 6 |
| 4.ინტერი | 2 | 1 | 1 | 0 | 7-0 | 4 |
| 5.სამპდორია | 2 | 1 | 1 | 0 | 3-1 | 4 |
| 6.ატალანტა | 2 | 1 | 1 | 0 | 2-1 | 4 |
| 7.ლაციო | 2 | 1 | 0 | 1 | 4-3 | 3 |
| 8.ნაპოლი | 2 | 1 | 0 | 1 | 2-2 | 3 |
| 9.უდინეზე | 2 | 1 | 0 | 1 | 2-2 | 3 |
| 10.კიევო | 2 | 1 | 0 | 1 | 1-1 | 3 |
| 11.ჩეზენა | 2 | 1 | 0 | 1 | 1-3 | 3 |
| 12.პალერმო | 1 | 0 | 1 | 0 | 1-1 | 1 |
| 13.ვერონა | 1 | 0 | 1 | 0 | 0-0 | 1 |
| 14.კალიარი | 2 | 0 | 1 | 1 | 2-3 | 1 |
| 15.ჯენოა | 2 | 0 | 1 | 1 | 1-2 | 1 |
| 16.ფიორენტინა | 2 | 0 | 1 | 1 | 0-2 | 1 |
| 17.ტორინო | 2 | 0 | 1 | 1 | 0-2 | 1 |
| 18.სასუოლო | 2 | 0 | 1 | 1 | 1-8 | 1 |
| 19.პარმა | 2 | 0 | 0 | 2 | 4-6 | 0 |
| 20.ემპოლი | 2 | 0 | 0 | 2 | 0-3 | 0 |

**იტალია. სერია ბ**

ვიჩენცა-ტერნანა 0:1

**გერმანია. ბუნდესლიგა**

აინტრახტი-აუგსბურგი 0:1
ჰანოვერი-ჰამბურგი 2:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ლევერკუზენი | 3 | 2 | 1 | 0 | 9-5 | 7 |
| 2.ბაიერნი | 3 | 2 | 1 | 0 | 5-2 | 7 |
| 3.ჰანოვერი | 3 | 2 | 1 | 0 | 4-1 | 7 |
| 4.დორტმუნდი | 3 | 2 | 0 | 1 | 6-5 | 6 |
| 5.გლადბახი | 3 | 1 | 2 | 0 | 5-2 | 5 |
| 6.პადერბორნი | 3 | 1 | 2 | 0 | 5-2 | 5 |
| 7.მაინცი | 3 | 1 | 2 | 0 | 5-3 | 5 |
| 8.ჰოფენჰაიმი | 3 | 1 | 2 | 0 | 4-2 | 5 |
| 9.კიოლნი | 3 | 1 | 2 | 0 | 2-0 | 5 |
| 10.აინტრახტი | 3 | 1 | 1 | 1 | 3-3 | 4 |
| 11.ვერდერი | 3 | 0 | 3 | 0 | 6-6 | 3 |
| 12.აუგსბურგი | 3 | 1 | 0 | 2 | 3-5 | 3 |
| 13.ვოლფსბურგი | 3 | 0 | 2 | 1 | 4-5 | 2 |
| 14.ფრაიბურგი | 3 | 0 | 1 | 2 | 1-4 | 1 |
| 15.ჰერტა | 3 | 0 | 1 | 2 | 5-9 | 1 |
| 16.შალკე | 3 | 0 | 1 | 2 | 3-7 | 1 |
| 17.შტუტგარტი | 3 | 0 | 1 | 2 | 1-5 | 1 |
| 18.ჰამბურგი | 3 | 0 | 1 | 2 | 0-5 | 1 |

**გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა**

ზანდჰაუზენი-ფიურტი 1:0
ზ.პაული-მიუნხენ 1860 1:2
ჰაიდენჰაიმი-უნიონი 3:1

**საფრანგეთი. 1 ლიგა**

ლილი-ნანტი 2:0
გენგამი-ბორდო 2:1
ევიანი-მარსელი 1:3

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ლილი | 5 | 3 | 2 | 0 | 6-1 | 11 |
| 2.მარსელი | 5 | 3 | 1 | 1 | 11-6 | 10 |
| 3.ბორდო | 5 | 3 | 1 | 1 | 10-5 | 10 |
| 4.სტ. ეტიენი | 5 | 3 | 1 | 1 | 6-6 | 10 |
| 5.პსჟ | 5 | 2 | 3 | 0 | 10-3 | 9 |
| 6.მონპელიე | 5 | 3 | 0 | 2 | 5-2 | 9 |
| 7.რენი | 5 | 2 | 2 | 1 | 8-5 | 8 |
| 8.ლორიანი | 5 | 2 | 1 | 2 | 6-4 | 7 |
| 9.ლანსი | 5 | 2 | 1 | 2 | 6-5 | 7 |
| 10.ნანტი | 5 | 2 | 1 | 2 | 3-4 | 7 |
| 11.ნიცა | 5 | 2 | 1 | 2 | 5-9 | 7 |
| 12.კაენი | 5 | 2 | 0 | 3 | 5-3 | 6 |
| 13.ლიონი | 5 | 2 | 0 | 3 | 6-6 | 6 |
| 14.ბასტია | 5 | 1 | 3 | 1 | 6-7 | 6 |
| 15.ტულუზა | 5 | 2 | 0 | 3 | 5-7 | 6 |
| 16.გენგამი | 5 | 2 | 0 | 3 | 3-8 | 6 |
| 17.მეცი | 5 | 1 | 2 | 2 | 3-5 | 5 |
| 18.რეიმსი | 5 | 1 | 1 | 3 | 7-11 | 4 |
| 19.მონაკო | 5 | 1 | 1 | 3 | 5-9 | 4 |
| 20.ევიანი | 5 | 0 | 1 | 4 | 3-13 | 1 |

**ჰოლანდია. ერედივიზიონი**

უტრეხტი-დენ ჰააგი 0:0
ვიტესი-ექსელსიორი 3:1
კამბური-გრონინგემი 3:0
დორდრეხტი-ბრედა 0:1

**პორტუგალია. პრიმეირა ლიგა**

ბოავიშტა-აკადემიკა 1:0
მარიტიმუ-პენალიეფი 2:0
გიმარაეში-პორტუ 1:1
ფერეირა-ჟილ ვისენტე 1:1
ეშტორილი-ნასიონალი 2:1

**რუსეთი. პრემიერლიგა**

სპარტაკი-ტორპედო 3:1
კრასნოდარი-უფა 0:2

**შვეიცარია. სუპერლიგა**

ვადუცი-სტ.გალენი 2:2
იანგ ბოიზი-ლუცერნი 3:2
ციურიხი-სიონი 4:1

**ავსტრია. ბუნდესლიგა**

ვოლფსბერგერი-ზალცბურგი 1:0

**ბელგია. იუპილიგა**

გენკი-ბრიუგე 1:1
გენტი-მუსკრონი 1:0
კორტრაიკი-ლოკერენი 2:3

**საბერძნეთი. სუპერლიგა**

პანიონიოსი-ასტერასი 2:1
ატრომიტოსი-პანეთოლიკოსი 0:0
ლევადიაკოსი-პანთრათიკოსი 1:1
იანინა-ქსანთი 2:2
კალონისი-პანათინაიკოსი 1:0

**თურქეთი. სუპერლიგა**

ქაშიმფაშა-მერსინი 2:2
გაზიანთები-ერჩიესი 2:2
ტრაბზონი-ფენერბახჩე 0:0

**პოლონეთი. ექსტრაკლასა**

გურნიკი-პიასტი 1:2
ბელხატოვი-ლეჩნა 1:1

**უკრაინა. პრემიერლიგა**

ვოლინი-მეტალურგი(ზ) 3:0
ილიჩოვეცი-ჰოვერლა 2:2
ვორსკლა-კარპატი 2:0

**დანია. სუპერლიგა**

სილკებორგი-ნორდსიელანდი 1:2
ბრონდბიუ-რანდერსი 0:2
ესბიერგი-ცესტშელანდი 3:0

**შვედეთი. ალსვენსკა**

გეფლე-ფალკენბერგი 3:1
ჰალმშტადი-მიალბი 1:2
ელფსბორგი-გიოტებორგი 0:0
დიურგარდენი-ატვიდაბერგი 0:1

**ნორვეგია. ტიპელიგა**

ულფი-სარპსბორგი 0:2
ვალერენგა-ჰაუგესუნდი 4:1
სონგდალი-ალესუნდი 1:1
სტარტი-სტაბეკი 2:3
მიოლდე-ლილესტრიომი 3:2

**ფინეთი. ვეიკაუსლიგა**

ვაასა-იარო 3:3
მიუპა-ტპს 2:1
როვანიემი-ჰონკა 2:1

**ბრაზილია. სერია ა**

ბაია-ფიგეირენსე 3:0
ინტერნასიონალი-ბოტაფოგო 2:0
სან პაულუ-კრუზეირო 2:0
ფლამენგო-კორინთიანსი 1:0
ატლეტიკო(მ)-გრემიო 0:0
ატლეტიკო(პ)-ვიტორია 2:0
კრისიუმა-გოიასი 1:0

**კალათბურთი**

**მსოფლიო ჩემპიონატი. ფინალი**

აშშ-სერბეთი 129:92

მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა

**მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი**

სქესობრივი უძლურება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!) შარდვის პრობლემის: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, გაწმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან. ასევე ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად გათავისუფლება. დამოკიდებულების მოხსნა. „თეთრი ცხელების", ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა, ფუნქციის აღდგენა, კუჭ-ნაწლავის გაჯანსაღება — დიაგნოსტიკით და საჭირო გამოკვლევებით. ანონიმურობა და შედეგები 100%-იანი. უკუჩვენება — 0.

მის.: მეტრო „დიდუბე", სამთო ქიმიის შენობა, 1-ლი სართ, კაბ. 6
☎ 599-90-54-78, 234-02-38 ქ-ნი მარიამი

სპორტი

# კობა კობიაშვილი: რუსთავი ოთხეულში მოხვდება

რუსთავის საკალათბურთო გუნდმა ერთ-ერთმა პირველმა დაიწყო მომავალი ჩემპიონატისთვის მზადება და ამჟამად ბათუმში გადის შეკრებას.

აღსანიშნავია ისიც, რომ ახალ სეზონს „რუსთავი“ გაძლიერებული შემადგენლობით ხვდება. უფრო ვრცლად გუნდში განხორციელებული ცვლილებების შესახებ, რუსთავის საკალათბურთო კლუბის პრეზიდენტი კობა კობიაშვილი საუბრობს.

***– როგორ მიმდინარეობს „რუსთავის“ მზადება ეროვნული პირველობისთვის?***

– გუნდი ბათუმში შეკრებაზეა, სადაც ყოველდღიურად ვარჯიშობს და ემზადება მომავალი სეზონისათვის.

***– რა ცვლილებები განხორციელდა გუნდში?***

– მთავარმა მწვრთნელმა, ბატონმა ოთარ ხმელიძემ ახალი სეზონიდან ახალგაზრდულ გუნდში მუშაობის გაგრძელება გვთხოვა და დავით მაჭავარიანთან ერთად 20-წლამდე სპორტსმენებთან იმუშავებს. გამოთავისუფლებული ადგილი კი საქართველოს 20-წლამდე ნაკრების მწვრთნელის ასისტენტმა მიხეილ ბერუაშვილმა დაიკავა. მასთან ერთად დიდ გუნდს გაუძღვებიან ბადრი კიკვიძე, რამაზ გოგობერიშვილი და ირაკლი ჯაფარიძე. ჩვენ ორიენტაცია ავიღეთ ადგილობრივ კადრებზე, დავაბრუნეთ გუნდში ეროვნული ნაკრების კანდიდატები აკაკი დვალიშვილი, მიხეილ ჭოჭუა და გოგა ცეკვავა. მწვრთნელებიც და მოთამაშეებიც რუსთაველები არიან. ერთადერთი გამონაკლისი ამერიკელი ლეგიონერი ჰამესია. იგი უკვე გუნდთან ერთადაა ბათუმში.

***– ზოგიერთი გუნდი და მოთამაშე უკმაყოფილებას გამოთქვამს არასაკმარისი დაფინანსების გამო, თქვენთან რა მდგომარეობაა?***

– არ მსურს სხვა გუნდებზე საუბარი, ჩვენ წლის დასაწყისში რაც დაგვიმტკიცა ქალაქ რუსთავის მერიამ იმ თანხას ვიმყოფინებთ, ეს თანხა კი ბევრად ნაკლებია სხვა გუნდების ბიუჯეტზე. აქვე გუნდის სახელით დიდი მადლობა მინდა გადავუხადო ქალაქის მერს დავით ჯიქიას და რუსთავის საკრებულოს თანადგომისათვის, მათი დამსახურებაა, რომ წლების განმავლობაში გადაუჭრელ პრობლემად ქცეული ქიმიკოსთა სპორტული არენის არათუ ელემენტარული შეკეთება, არამედ კაპიტალური რემონტი დაიწყო და მალე დამთავრდება კიდეც.

***– კერძო კომპანიებისთვის თუ მიგიმართავთ გუნდის დაფინანსებასთან დაკავშირებით?***

– ამ მიმართულებითაც ვმუშაობთ. უახლოეს ხანში გაფორმდება ხელშეკრულება საქართველოში მოღვაწე ერთ-ერთ აზერბაიჯანულ-თურქულ კომპანიასთან. ყველამ ვიცით, რა მნიშვნელოვან დახმარებას უწევს ქართულ ფეხბურთს და ჭადრაკს კომპანია „სოკარი“. კარგი იქნება თუ ქართული კომპანიებიც შეძლებისდაგვარად გვერდში დაუდგებიან ქართულ სპორტს.

***– ახალგაზრდებს თუ მიეცემათ დიდ გუნდში სათამაშო დრო?***

– რა თქმა უნდა, ახლა შეკრებაზე გუნდთან ერთადაა ორი ძალზე პერსპექტიული და იმედისმომცემი ახალგაზრდა – თორნიკე ქიტოშვილი და გიგი გოგობერიშვილი.

***– რა მიზნები გაქვთ მომავალ სეზონში?***

– ვფიქრობ, ოთხეულში მოხვედრას შევძლებთ.

# ვის დარჩება ოქროს ბურთი

საფეხბურთო ევროპის ერთ-ერთი დამაინტრიგებელი და აქტუალური საკითხი კვლავაც 2014 წლის საუკეთესო ფეხბურთელისთვის განკუთვნილი ტიტულია. ვინ მოიპოვებს „ოქროს ბურთს“, რომლის დაჯილდოებაც იანვრის თვეში გაიმართება?

ბუკმეიკერთა, ანალიტიკოსთა და სპეციალისტთა აზრით, ეს დაჯილდოება ყველაზე დამაინტრიგებელი იქნება, რადგან აქ არ არიან მხოლოდ რონალდუ და მესი, თუმცა პორტუგალიელი და არგენტინელი მაინც უმთავრეს პრეტენდენტებად ითვლებიან.

ახლა კი კანდიდატები და მათი დახასიათება:

**ლიონელ მესი (ბარსელონა, არგენტინა)**

ისინი, ვისაც კომბინაციური ფეხბურთი უყვარს, რა თქმა უნდა, მესის მისცემენ ხმას. როდესაც ლეოს მუნდიალის ფინალის მერე ტურნირის საუკეთესო ფეხბურთელის ჯილდო ჩააბარეს, კრიტიკის ქარცეცხლში გაეხვა, თუმცა არის ამაში სიმართლის მარცვალიც, რადგან ლეო ისეთი კარგი ნამდვილად არ იყო, როგორც ადრე.

**კრიშტიანუ რონალდუ (რეალი, პორტუგალია)**

რონალდუმ ჩემპიონთა ლიგის ისტორიაში ყველაზე მკვეთრი სეზონი ჩაატარა და რეკორდული გოლების რაოდენობაც დააგროვა – 17 გოლი 12 შეხვედრაში! მართლაც ფენომენალური შედეგია, თუმცა მსოფლიოზე, მესის არ იყოს, მანაც ვერაფრით გამოიდო თავი, მაგრამ ამის ერთ-ერთი მიზეზი ტრავმაც გახლდათ.

**თომას მიულერი (ბაიერნი, გერმანია)**

24 წლის ასაკში მიულერი გახდა პირველი ფეხბურთელი, რომელმაც ზედიზედ ორ მსოფლიო ჩემპიონატზე 5 ბურთზე მეტის გატანა მოახერხა. ერთ-ერთი მთავარი მიზეზი, რატომაც გახდა გერმანია მსოფლიოს ჩემპიონი, სწორედ მიულერია – მისი გოლის ალღო, გუნდურობა და საქმისადმი სერიოზული დამოკიდებულება ნებისმიერ გუნდს თუ ნაკრებს გამოადგება!

**არიენ რობენი (ბაიერნი, ჰოლანდია)**

რობენმა ბუნდესლიგაში შესანიშნავი სეზონი ჩაატარა და პლუს ამას, ჰოლანდიას მუნდიალზე მესამე ადგილის დაკავებაში დაეხმარა, რითაც მსოფლიო პირველობის ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელი გახდა.

**ნეიმარი (ბარსელონა, ბრაზილია)**

მსოფლიო ჩემპიონატზე ნეიმარი ბრაზილიისთვის მთავარი იმედი გახლდათ, თუმცა გადამწყვეტ მატჩში ტრავმის გამო ვერ მიიღო მონაწილეობა, მაგრამ „ბარსელონაში“ ნელ-ნელა ადაპტაციას ასრულებს.

**მანუელ ნოიერი (ბაიერნი, გერმანია)**

ნოიერი დინო ძოფის სოლიდურობის, გორდონ ბენქსის რეაქციისა და პიტერ შმეიხელის ქარიზმის ნაზავია – ბუფონის, ჩეხისა და კასილასის გარდა, ახლა უკვე ნოიერმაც დაიწყო საუკეთესო მეკარის პრიზის მიღება.

ისე, ლევ იაშინის (1963) შემდეგ ოქროს ბურთი არც ერთ მეკარეს არ მიუღია.

მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა

კულტურა

# დიმიტრი ყიფიანის სახლ-მუზეუმი აღარ დაინგრევა

ეკა ირემაშვილი

სოფელ ქვიშხეთში მდებარე საზოგადო მოღვაწის დიმიტრი ყიფიანის სახლ-მუზეუმი აღარ დაინგრევა. საქართველოს პრემიერ-მინისტრის ირაკლი ღარიბაშვილის ინიციატივით, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო ქართველი პუბლიცისტისა და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი სულისჩამდგმელის, დიმიტრი ყიფიანის სახლ-მუზეუმის რეაბილიტაციის პროექტს განახორციელებს. სამწუხაროდ, დღეის მდგომარეობით, სახლ-მუზეუმი დანგრევის პირასაა.

პროცესის ორგანიზება საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოს დაევალა. პროექტი შემუშავდება პროფესიონალი არქიტექტორების მიერ, რომლებიც თანამედროვე ტექნოლოგიების საშუალებით შენობის გადარჩენის ზუსტ გეგმას დასახავენ.

სოფელ ქვიშხეთში მდებარე სახლი, სადაც საზოგადო მოღვაწე დიმიტრი ყიფიანმა მთელი ცხოვრება გაატარა და შემდგომ მწერალთა საზაფხულო რეზიდენცია იყო დღეს დანგრევის პირასაა.

დიმიტრი ყიფიანი მე-19 საუკუნის საქართველოში ერთ-ერთი გამორჩეული ფიგურა გახლდათ. მისმა მოღვაწეობამ და პუბლიკაციებმა ეროვნულ განმათავისუფლებელ მოძრაობას ჩაუყარა საფუძველი.

– „ერი თავისი გმირების ცხოვრებითა და მაგალითებით უნდა სულდგმულობდეს, თუ ერობა სურს“, ეს ილია ჭავჭავაძის სიტყვებია. ჩვენს სამშობლოს არასოდეს მოკლებია გმირები, კრიტიკულ მომენტში მხსნელად რომ მოევლინებოდნენ ქვეყანას. ასეთი იყო დიმიტრი ყიფიანი, ერთ-ერთი იმ ქართველთაგანი, რომელიც უყოყმანოდ დადგა ერის სამსხვერპლოზე მისი ღირსების დასაცავად. მან შექმნა ქართული საზოგადო მოღვაწის ტიპი, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ საქართველოს ინტერესებით ხელმძღვანელობდა, არასოდეს უფიქრია საკუთარ კეთილდღეობაზე და უამრავი სასიკეთო საქმე აკეთა. დიმიტრი ყიფიანმა საკუთარი სიცოცხლის ფასად შეძლო ერის გამოღვიძება და გაერთიანება. მჯერა, დიმიტრი ყიფიანის მოღვაწეობას, სამშობლოსთვის თავგანწირვას არასოდეს დაივიწყებს ქართველი ერი და მისი ცხოვრება ყველა თაობისთვის მისაბაძი იქნება, – აღნიშნა ირაკლი ღარიბაშვილმა.

წელს დიმიტრი ყიფიანის დაბადებიდან 200 წელი სრულდება. ამ საიუბილეო თარიღს საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდი „მამულიშვილთა გახსენება“ და მისი პრეზიდენტი ბონდო კობაძე აღნიშნავს. 19 სექტემბერს თბილისში რამდენიმე კულტურული ღონისძიება გაიმართება, რომელსაც ქართული საზოგადოებისთვის ცნობილი ადამიანები დაესწრებიან. ამ დღეს ქართული საზოგადოება მთაწმინდის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში დიმიტრი ყიფიანის საფლავთან შეიკრიბება და პატივს მიაგებს მის ხსოვნას. ღონისძიების დასრულების შემდეგ, დაგეგმილია შემოქმედებითი საღამო „არტ ჰოლში“, სადაც მონაწილეობას მიიღებენ ქართველი ხელოვანები. ირმა სოხაძე, ნინი აბდურაშვილი, თამრიკო ჭოხონელიძე, ბორის ბედია, ანსამბლი „რუსთავი“ და ქორეოგრაფიული კოლექტივები. საიუბილეო საღამოს ჯემალ ღაღანიძე და ვახტანგ გაჩეჩილაძე გაუძღვებიან.

საგანგებოდ დიმიტრი ყიფიანის 200 წლის იუბილესთვის ქვაში დამზადდა მისი პორტრეტი, რომლის ავტორიც საქართველოში ქვით ფერწერის დამაარსებელი მამუკა ლომაძეა. ასევე ჩამოისხა ღვინო „დიმიტრი ყიფიანი 200“, მომზადდა სპეციალური ტრანსფარანტები დიმიტრი ყიფიანის გამონათქვამებით. ფონდის პრეზიდენტი ბონდო კობაძე ღონისძიების დასასრულს ტრანსფარანტებს, სურათს და ღვინოს საჩუქრად ქვიშხეთის მუზეუმში გაგზავნის. სპეციალურად ამ იუბილესთვის ფონდმა აგრეთვე გამოსცა 1200 გვერდიანი წიგნი „დიმიტრი ყიფიანი 200“, რომელიც მთლიანად მოიცავს მის ცხოვრებასა და შემოქმედებას. კრებული დაიბეჭდა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსის, ბიჭვინთისა და ცხუმ- აფხაზეთის მიტროპოლიტის, უწმინდესისა და უნეტარესის, ილია მეორის ლოცვა კურთხევით.

– გულითადად ვულოცავ სრულიად საქართველოს წმინდა დიმიტრი ყიფიანის დაბადებიდან 200 წლისთავს. უზომოდ დიდია მისი ღვაწლი საქართველოს ისტორიაში. ძნელია მოიძებნოს XIX საუკუნეში ეროვნული საქმე, რომლის წამომწყები, თავკაცი და მონაწილე წმინდა დიმიტრი არ ყოფილიყო. სამართლიანად აღნიშნავდა წმინდა ილია მართალი: „დიმიტრი არის ჩვენი ხუროთმოძღვარი, ჩვენ კი მისი კალატოზებიო“. მას თანამედროვეები ახასიათებდნენ როგორც უმწიკვლოს, პატიოსანს, გამბედავსა და თავმდაბალს. მთელი მისი ცხოვრება თავდადება და მსახურება იყო თავისი ქვეყნისა და მოყვასისადმი, მის მაგალითზე უნდა იზრდებოდეს ჩვენი მომავალი თაობა. 2007 წელს საქართველოს მართლმადიდებელმა ეკლესიამ იგი წმინდანთა დასში შერაცხა და ეწოდა, წმინდა დიმიტრი სამშობლოსთვის წამებული. წმინდა დიმიტრი ყიფიანის ლოცვა ეწეოდეს სრულიად საქართველოს და მთელ ქართველ ერს, – ბრძანა ილია მეორემ.

დიმიტრი ყიფიანის 200 წლის იუბილეს გამოეხმაურა საქართველოს პრეზიდენტიც. გიორგი მარგველაშვილის განცხადებით, სწორედ ასეთმა ადამიანებმა მოიტანეს დღემდე საქართველო:

– „მეორე დიმიტრი თავდადებული“ – დიდი აკაკის ეს სიტყვები ყველაზე უკეთ აღწერს ფასდაუდებელ ღვაწლს, რომელიც დიმიტრი ყიფიანმა საქართველოს სახელმწიფოებრიობის, კულტურის, საზოგადოებრივი ყოფის დაცვისა და განვითარებისთვის გასწია. ჩვენი ქვეყნის ისტორიის ერთ-ერთ ყველაზე რთულ, ცარიზმის ზეობის პერიოდში იგი იქცა მძლავრ ბურჯად ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისთვის, მისაბაძ მაგალითად თანამედროვეთათვის და ზნეობრივ ორიენტირად მომავალი თაობებისთვის. ძნელია მოიძებნოს საზოგადოებრივი ცხოვრების რომელიმე სფერო, რომლის განვითარებისთვის დიმიტრი ყიფიანს განსაკუთრებული ძალისხმევა არ გაეღოს. ჩემთვის დიმიტრი ყიფიანი ყოველთვის იყო თანამედროვე სახელმწიფო მოღვაწის იდეალი, რომლის ცხოვრება და მოღვაწეობა, სულის სიდიადე და აზროვნების მასშტაბურობა სახელმძღვანელო უნდა იყოს ახალგაზრდობისთვის, ყველასთვის, ვისაც სამშობლოს მსახურება უზენაეს მიზნად დაუსახავს. სწორედ ამიტომ დავაარსეთ ჩემი რექტორობის დროს საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის სახელმწიფო მართვის ფაკულტეტის ყველაზე წარჩინებულ სტუდენტთათვის დიმიტრი ყიფიანის სახელობის სტიპენდია, – განაცხადა გიორგი მარგველაშვილმა.

გაგრძელება მე-11 გვერდზე



კალეიდოსკოპი

# მსოფლიოში პირველი სელფი 70 ათასად გაიყიდა




ფოტოგრაფ ოსკარ გუსტავ რეილანდერის ავტოპორტრეტი, რომელიც მსოფლიოს ისტორიაში ნომერ პირველ სელფადაა მიჩნეული, აუქციონზე 70 ათას ფუნტ სტერლინგად გაიყიდა. ფოტო, რომელიც 1850-იან წლებშია გადაღებული, ალბომში იქნა აღმოჩენილი, რომელშიც XIX საუკუნის ფოტოსურათები იყო მოთავსებული, იტყობინება დეილი მეილი.

რეილანდერის სელფის გარდა, ალბომში ასევე მოთავსებული იყო მისი მეუღლისა და პოეტის ლორდ ალფრედ ტენისონის შვილის ჰალამის სურათები.

ოსკარ რეილანდერმა თავისი კარიერა პორტრეტისტის ჟანრში დაიწყო, შემდეგ კი ფოტოგრაფი გახდა.. მან საფუძველი ჩაუყარა ტექნიკას, რომლის დროსაც მრავალი ნეგატივის მონტაჟით შესაძლებელია სიუჟეტური ფოტოსურათის მიღება.

რეილანდერი ცნობილი მას შემდეგ გახდა, როდესაც ფოტომონტაჟის დახმარებით შესრულებული კრებული გამოვიდა სახელწოდებით „ცხოვრების ორი გზა“. ზოგიერთ ფოტოსურათზე მოდელები ნაწილობრივ გაშიშვლებულები იყვნენ ასახულები, რამაც სკანდალი გამოიწვია.

რეილანდერის რეპუტაცია მას შემდეგ აღდგა, როდესაც დედოფალმა ვიქტორიამ პრინც ალბერტისთვის მისი ერთ-ერთი ფოტოსურათი შეიძინა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

## კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. სამთო-სათხილამურო კურორტი საქართველოში; 2. რომელიმე სიტყვის საპირისპირო მნიშვნელობის მქონე სიტყვა; 3. შტატი აშშ-ი; 5. მიუნჰენში განთავსებული მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესი ლუდის ბარი; 7. მე-17 საუკუნის ესპანელი ფერმწერი; 9. წყალქვეშა ნავის ძველებური სახელწოდება; 13. ოლქი ჩრდილო-აღმოსავლეთ საფრანგეთში; 15. კუბის დედაქალაქი; 16. ტბა სამხრეთ საქართველოში; 18. ცხოველი, აშშ-ს რესპუბლიკური პარტიის სიმბოლო.

**თარაზულად:** 4. ბნელი, ჭუჭყიანი საკანი, სატუსაღო; 6. ფრანგი მწერალი ქალის, ჟორჟ სანდის რომანი; 8. კონგრესის შენობა ვაშინგტონში; 10. მოყვარული მოტოციკლეტისტი; 11. რაიმე მოვლენის ირგვლივ შექმნილი აურზაური, სენსაცია; 12. საბურავების მწარმოებელი იტალიური ფირმა; 14. აეროპორტი ჩიკაგოში; 17. ხის ზედა განტოტვილი ნაწილი; 19. დიდი სიცხე; 20. ტვირთბრუნვით ყველაზე დიდი ნავსადგური გერმანიაში; 21. ადამიანის გარემომცველი ბიოველი; 22. ფრანგული ვაშლის არაყი; 23. სამრეწველო რაიონი უკრაინაში.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა




## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდის პასუხები:**

**თარაზულად:** 1. კრენდილი; 5. კალა; 7. ლაბადა; 9. კაპიტოლიუმი; 10. რეკლამა; 12. ოსირისი; 13. რეზერვი; 16. კავკასია; 17. კოლი; 18. აგუტი; 20. ოდალისკი; 22. პრიმა; 23. არტერია; 24. ავანსი; 25. კორტი.

**შვეულად:** 2. რიაზანი; 3. ნეიტრონი; 4. იდიოტიზმი; 5. კომში; 6. აბრისი; 8. ბრამსი; 11. კარპოვი; 14. რეგლამენტი; 15. ასკარიდი; 16. კონსულატი; 17. კისერი; 19. გუდრონი; 21. მარკა; 22. პანტა.

**სკანვორდის პასუხები:**

1. რამონა; 2. ფრაუ; 3. იო; 4. კავენდიში; 5. ფასი; 6. ემილ; 7. სოია; 8. ტაო; 9. მერსი; 10. მო; 11. აბელი; 12. ბალერინა; 13. აირანი; 14. ნორმა; 15. ნუკრი; 16. რძე; 17. არმია; 18. ოდრი; 19. იდუმალი; 20. ბილიკი; 21. ენერგია; 22. ორმო; 23. პიანინო; 24. არაყი; 25. ნესტორი; 26. ენეიდა; 27. ალეკ; 28. არაუკარია; 29. ბილ; 30. ბაგირა; 31. კიი; 32. ბია; 33. კომბაინი.

**სურათებზე:** გაბრიელა დუარტე; მარკუშ სენა

# ია ფარულავა ქორწინების იუბილეს ზეიმობს

ეკა ირემაშვილი

მსახიობი ია ფარულავა ქორწინების იუბილეს ზეიმობს. ერთი წელი შესრულდა მას შემდეგ, რაც მსახიობი ცოლად გაყვა გიტარისტ ტარიელ სუარს.



იას გათხოვება ყველასთვის მოულოდნელი და ნამდვილი სიურპრიზი იყო. ეს სიახლე ყველაზე დიდი სიურპრიზი კი მაინც თავად მსახიობისთვის აღმოჩნდა, რადგან ტარიელ სურმა ია ფარულავას ხელი პირდაპირ სცენაზე, „ნიჭიერის" ჩაწერისას სთხოვა და მისგან თანხმობაც მიიღო. წყვილმა იმავე საღამოს დაიწერა ჯვარი წმიდა ნიკოლოზის სახელობის ეკლესიაში:

„უკვე ერთი წელი გავიდა, რაც ქმარი მყავს და ტარიელის ინბოქსში არ წყდება საზიზღარი მესიჯები, ნუ ქალებიც ხომ წერენ და წერენ, ეპრანჭებიან, მაგრამ ეს კაცებიიი. არა ისე არ გაიგოთ... ისეთებს წერენ ჩემზე, რომ კიდევ კარგ ჭკუაზეა ეს კაცი. ყველაზე მაგარი ის არის, რომ ფილარმონიის წინ დაუთქვავს შეხვედრას და არავინ მოდის... მერე ამან თავ-ყბა რომ გაუერთიანოს ვინმეს ხომ იქნებიან ღირსები! ნაზი მუზიკანტი არ გეგონოთ, ყოფილი ბოქსიორია... მე იგნორის დედოფალი ვარ მაგრამ, აი, ტარიელისთვის ეს ახალი ხილია... მე ახლა უფრო მუდრაია ვხდები."

როგორც ია ფარულავა აცხადებს, სულ მალე „ნიჭიერის" მორიგი სეზონის გადაცემები გავა ეთერში და ის ისევ ჟიურიში იქნება:

სულ მალე, ნიჭიერში! დიდი ხალისი და გართობა მელის. რა კარგია ასეთი სამსახური! მაინტერესებს, როდესაც „ნიჭიერის" ჟიურში ვარ, მეტყობა რომ ვმუშაობ?"

როგორც მსახიობი განმარტავს, გადაცემები ეთერში სავარაუდოდ 27-დან გავა, ლაივები კი უფრო მოგვიანებით დაიწყება. მსახიობი არ მალავს, რომ თავადაც არ იცის, ვინ იქნება წელს ჟიურიში მის გარდა:

„ჟიური, სიმართლე გითხრათ, მე არ ვიცი, რადგანაც სრული საიდუმლოა... მეც მაინტერესებს, ვინ იქნებიან ჩემი კოლეგები."

ია ფარულავას მეუღლე ნამდვილად გახარებულია იმ ფაქტით, რომ საყვარელი მეორე ნახევარი კვლავ „ნიჭიერის ჟიურიში" იქნება:

„მიხარია, რომ ჟიურიში იქნები. ეს ნიშნავს, რომ საქართველოში ჩემს კონცერტებს კიდევ უფრო მეტი რეკლამა ექნება. ჟიურის წევრებთან დაკავშირებით კი... რადგანაც არა მხოლოდ ნიჭის, არამედ მისი სიღრმისეულობისა თუ ზედაპირულობის შეფასებაც ძალიან მნიშვნელოვანია, გვარამია აუცილებლად უნდა იყოს. ინტელექტუალის თვალით შეფასებული ნიჭიერება კიდევ სულ სხვაა."

# თბილისის მოზარდ მაყურებელთა თეატრში წყალი ჩავიდა

ეკა ირემაშვილი

ნოდარ დუმბაძის სახელობის თბილისის მოზარდ მაყურებელთა სახელმწიფო თეატრში ორი დღის წინ მოსულმა ძლიერმა წვიმამ პრობლემები შექმნა. თეატრში წყალი ჩავიდა და როგორც მისი სამხატვრო ხელმძღვანელი დიმიტრი ხვთისიაშვილი აცხადებს, შენობაში ისევე წვიმდა, როგორც გარეთ.

ძლიერმა წვიმამ შენობის რამდენიმე ოთახი დააზიანა. დიდ სცენაზე წყალი ზემოდან ჩანჩქერივით ჩამოდიოდა. ამავე სცენაზე სპექტაკლი 10 წუთის დასრულებული იყო და მაყურებელი ჯერ კიდევ შენობაში იმყოფებოდა. ადგილზე მუშაობდნენ მაშველები, არსებობდა სპექტაკლის ჩაშლის საშიშროებაც, რადგან მცირე სცენაზე ამ დროს სპექტაკლი მიმდინარეობდა და დარბაზში მაყურებელი იჯდა.

როგორც დიმიტრი ხვთისიაშვილი აცხადებს, თეატრის შენობაში წყლის ჩასვლის მიზეზი უხარისხოდ გადახურული სახურავია:

– დასველებულია ყველა კაბელი, რაც მიდის პროჟექტორებთან, ხმის აპარატურა მთლიანად წყალშია, რა გადარჩება არ ვიცით, სამაშველო სამსახური იყო მოსული. როგორც გაირკვა, ზემოთ, შიდა გადახურვაშია პრობლემა, უხარისხოდ არის გადახურული გვერდები და ღიობებია დარჩენილი, – განაცხადა დიმიტრი ხვთისიაშვილმა.

როგორც თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელმა რადიო „ფორტუნასთან" საუბრისას განაცხადა, თეატრში ყველაფერი წყალშია.

– სპეციალისტებმა შეაფასეს არსებული მდგომარეობა, კულტურის მინისტრის მოადგილე მანანა ბერიკაშვილიც იყო მოსული, პოლიციაც. როგორც ირკვევა, სამი წლის წინ, როცა მოხდა თეატრის გვერდების გადახურვა, ძველ გადახურვას დაამატეს ჟოლოფები, ის არის ვიწრო, ვიდრე თვითონ გამტარი ჩვეულებრივი წვიმის დროს ატარებდა და სწორედ ამ წვიმას ვერ გაუძლო. წელიწადი და 10 თვეა აქ ვარ და მსგავსი წვიმა არ ყოფილა. აქ მყოფნი მეუბნებიან, რომ დაახლოებით 2,5 წლის წინ დაახლოებით ანალოგიური მდგომარეობა ყოფილა, მაგრამ არა ასეთი მასშტაბის. რომ ვერ გაატარა მაშინაც ჟოლოფმა, დაიძრა გვერდებში წყალი და ეს გვერდები არსად არ არის დალუქული, ამიტომ ყველგან შემოვიდა წყალი. მსგავსი არაფერი მინახავს, როგორც გარეთ წვიმდა, ისევე წვიმდა გახმოვანების ოთახში, ისევე წვიმდა განათების ოთახში, ასევე ტექნიკური რეჟისორების ოთახში და ინერციით წყალი წავიდა მერე პარტერში. პარტერში ერთ მხარეს მოდიოდა ჩანჩქერი, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით. პარალელურად, სპექტაკლი მიდიოდა მცირე დარბაზში მთელი ამ ეიფორიის დროს, იქ ბავშვები იყვნენ. მცირე დარბაზი დაზიანებული არ არის, დიდ დარბაზში „ფიფქია და შვიდი ჯუჯა" 15-20 წუთის დამთავრებული იყო. ეს 15-20 წუთით ადრე რომ მომხდარიყო, ის სპექტაკლიც ჩაიშლებოდა, ისეთი ჩანჩქერი მოდიოდა ზემოდან, რომ დაასველებდა მაყურებელს. წელიწადი და 10 თვის განმავლობაში ეს არის შემთხვევა, როცა ასეთი რამ მოხდა.

*– რა თქვა სამაშველო სამსახურმა?*

– მათ რეკომენდაციაც კი ვერ მოგვცეს. იმის გამო, რომ ის ჟოლობი ჩაშენებულია შენობაში. დეტალებში ვერკვევით, მაგრამ პირველადი ინფორმაცია, რომელიც მთავარამა ინჟინერმა გვითხრა, არის ის, რომ როცა რეკონსტრუქციის დროს კიდევ დაგვაშენეს რაღაც, მასსა და ცენტრალურ გადახურვას შორის არის ბმა და ამას არ აქვს გერმეტიკა გაკეთებული. როგორც კი მოვიდა იმაზე მეტი ნალექი, ვიდრე ჟოლობს ამის გატარება შეუძლია, წყალი დაიძრა უგერმეტიკო ნაპრალებში.

# სამების ტაძარში პოეზიის საღამო გაიმართება



სამების ტაძარში მდებარე საპატრიარქოს ახალგაზრდულმა ცენტრმა კულტურული ღონისძიებები განაახლა. 16 სექტემბერს ცენტრში საქველმოქმედო პოეზიის საღამო გაიმართება ქობულაშვილების მრავალშვილიანი ოჯახის დასახმარებლად. საღამოში მონაწილეობას მიიღებენ პოეტები ოთარ ფალიანი, ბაკურ გაბუნია, თეა თაბაგარი, გაგა გომართელი, ნიკოლიზ ტოტოლაშვილი, ლაშა მარგიანი, თემო ჭახნაკია და მარიამ შოვნაძე. საქველმოქმედო საღამოზე დასწრება თავისუფალია.

საქართველოს საპატრიარქოსთან არსებული ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური განვითარების ცენტრმა ღონისძიებები აგვისტოს დასაწყისში შეწყვიტა. ბოლო ღონისძიება ცენტრში 2008 წლის აგვისტოს ომში გარდაცვლილ მეომართა ხსოვნის საღამო აღმოჩნდა სახელწოდებით ,,გვახსოვს 8 აგვისტო". მასში მონაწილეობა მიიღეს პოეტებმა ჯარჯი შუქიაურმა, ოთარ ფალიანმა, ლელა ნინუამ, გიორგი თუშიშვილმა და გაგა გომართელმა. ღონისძიებას ესწრებოდნენ 2008 წლის ომში გარდაცვლილ მეომართა ოჯახის წევრები. საღამო არასამთავრობო ორგანიზაცია ,,საერთაშორისო დემოკრატიული განვითარების ცენტრის" ორგანიზებით გაიმართა. ღონისძიების ფარგლებში სამების საკათედრო ტაძარში არქიმანდრიტმა ლაზარემ 2008 წლის ომში გარდაცვლილ მეომართა სულის მოსახსენებელი პანაშვიდიც გადაიხადა.

საპატრიარქოს ახალგაზრდული ცენტრის წარმომადგენლის ანთია გოგუაძის განცხადებით, ცენტრში სამომავლოდ არაერთი კულტურული თუ საქველმოქმედო ღონისძიებაა დაგეგმილი და ყველა ღონისძიებაზე საქართველოს კათოლიკოს- პატრიარქის ილია მეორის ლოცვა კურთხევით დასწრება თავისუფალია.

ეკა ირემაშვილი

# „საქართველოს სინფონიეტა" გდანსკში მიიწვიეს

სახელმწიფო კამერული ორკესტრი „საქართველოს სიმფონიეტა" გდანსკში მიიწვიეს. პოლონეთის ქალაქმა უმასპინძლა ყოველწლიურ ძველებური მუსიკის ფესტივალს „გდანსკ გოლდბერგ ფესტივალ 2014", რომელშიც ქართველმა სოპრანომ სალომე ჯიქიამაც იმღერა.

როგორც საქართველოს სინფონიეტას სამხატვრო ხელმძღვანელმა გიორგი ქერელაშვილმა განაცხადა:

– ეს არის რეგიონში არსებული ერთადერთი ბაროკოს ორკესტრის პირველი გასტროლი ევროპაში. 2012 წელს საქართველოს სინფონიეტამ შეიძინა ბაროკოს ეპოქის ინსტრუმენტები და გახდა პირველი ბაროკოს ორკესტრი კავკასიაში. მას შემდეგ ორკესტრი სცენაზე გამოდის როგორც თანამედროვე ინსტრუმენტებით, ასევე ძველებური სტილის ინსტრუმენტებით და არის ერთადერთი ორკესტრი რეგიონში, რომელიც ბაროკოს ეპოქის კომპოზიტორთა ნაწარმოებებს სთავაზობს მსმენელს.

„საქართველოს სიმფონიეტას" ხელმძღვანელისთვის აეს გასტროლი ორმაგად მნიშვნელოვანი აღმოჩნდა, რადგან სწორედ ამ პერიოდში მას და მის მეუღლეს ანი გოგისვანიძეს ვაჟიშვილი ეყოლათ.

ეკა ირემაშვილი

# დიმიტრი ყიფიანის სახლ-მუზეუმი აღარ დაინგრევა

დასაწყისი მე-10 გვერდზე

20 სექტემბერს დიმიტრი ყიფიანის 200 წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიებები უკვე ქვიშხეთში გადაინაცვლებს. ღონისძიებებში აქტიურად არის ჩართული მცხეთა მთიანეთის მხარეში სახელმწიფო რწმუნებული – გუბერნატორი ნუგზარ ყიფიანი. ქვიშხეთში დიმიტრი ყიფიანის სახლ-მუზეუმში გამართულ საიუბილეო ღონისძიებაში ადგილობრივი ფოლკლორული ღონისძიებები მიიღებენ მონაწილეობას.

ფონდი „მამულიშვილთა გახსენება" უკვე წლებია საქართველოსთვის თავდადებული პიროვნებების იუბილეებს აწყობს. ფონდმა უკვე ჩაატარა ექვთიმე თაყაიშვილის, აკაკი წერეთლის, დავით კლდიაშვილის, გალაკტიონ ტაბიძის იუბილეები. 2015 წელს „მამულიშვილთა გახსენება" გიორგი სააკაძის 440 წლის იუბილეს და იაკობ გოგებაშვილის 175 წლის იუბილეს აღნიშნავს.

# სამგლოვიარო განცხადებები

## რობერტ (პაჭა) ცომაია

შვილო პაჭა, ჩამოჰკრა ელვის ზარმა შენს ბედნიერ ოჯახში. როგორ უნდა გავძლო უშენოდ, შენ ხომ ყველაფერი მოასწარი ამ 50 წლის განმავლობაში, ჩემო განუმეორებელო ვაჟკაცო, თავდადებულო მეოჯახე, დედმამიშვილის მოყვარულო, დიდო მეგობარო, გაჭირვებულის დამხმარე. ვაი, იმ დედას, ვისაც შენისთანა შვილი უკვდება. უკვე ჩემი სიცოცხლე დიდი სასჯელია. რა ვქნა, რომ მომენატრები?! შენს თბილ გულზე დაყრილ მიწას მივეკვრები. ვერც შენი საყვარელი ძმები და ვერც შენი ცოლ-შვილი შენ ვერ შეგცვლის, ჩემო საყვარელო, ჩემო პატარა საამაყო შვილო. ყოველი დღე ცრემლსა და ვარამში უნდა განვვლო შენთან მოსვლამდე. არ გემშვიდობები, არა, შენთან ვარ, ჩემო მტანჯველო შვილო. უშენოდ დიდხანს ვერ გავძლებ, დედიკო, ყოველ წამსა და წუთში ველოდები შენს გამოცხადებას. შენთან წამიყვანე, დედიკო, ერთად გავაგრძელოთ ჩვენი ბედკრული და ტანჯული ცხოვრება სასუფეველში.

შენი ტანჯული დედა მალინა ოჩიგავა-ცომაია

დედა მალინა ოჩიგავა-ცომაიასი, მეუღლე ნონა გოგიაცომაიასი, შვილები გიორგი, ალექსი ცომაიები, ძმები იური და ელგუჯა ცომაიები, რძლები მედიკო გოგოლაძე, მარინა არსენიძე, ძმისშვილები მარინა, ირაკლი, ნათია, მაია, ნინო ცომაიები ოჯახებით და ახლო ნათესავები ღრმა მწუხარებით ვიუწყებით

## რობერტ (პაჭა) ცომაიას

გარდაცვალების შესახებ.

გამოსვენება: 16 სექტემბერს, 14 საათზე, საბურთალოს ამაღლების ეკლესიიდან.

სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.

# დავით კაკაბაძის ნამუშევრები პარიზში გამოიფინება

დასაწყისი მე-12 გვერდზე

ნაცხადა მიხეილ გიორგაძემ.

კომპანია „სილქნეტის" წარმომადგენლის ბაჩო ჩინჩალაძის თქმით, მათი კომპანიისთვის ამ გამოფენაში ჩართვა დიდი პატივია:

– დავით კაკაბაძის გამოფენის ორგანიზებას პარიზში მხარს უჭერს ჩვენი კომპანია „სილქნეტი", პროექტი ხორციელდება კულტურის სამინისტროსთან და დავით კაკაბაძის ოჯახთან ერთად. ჩვენთვის დიდი პატივია მონაწილეობა მივიღოთ ასეთ დიდ ღონისძიებაში.

ეკა ირემაშვილი

# მზია ორველაშვილი გათხოვდა

დასაწყისი მე-12 გვერდზე

თვისაც, ცოლს დაშორდა ნოე სულაბერიძეც. მისი მეუღლე რუსთავი ორის დილის გადაცემის წამყვანი ეკა სამხარაძე იყო.

სამაგიეროდ, საკმაოდ ბედნიერი აღმოჩნდა ეს პროექტი მზიასთვის და საშასთვის. მეოთხე სეზონში მზია ოვრელაშვილს თავისმა მეწყვილემ ლევან ჩიჩუამ, იგივე თიელმა ძვირფასი საჩუქარი გაუკეთა და მანქანა აჩუქა. საჩუქარმა მოცეკვავე შოკში ჩააგდო. მზია მაშინვე გადაწყვიტა გამოცდების ჩაბარება და მართვის მოწმობის აღება. ეს იყო პირველი შემთხვევა, როცა „ცეკვავენ ვარსკვლავებში" მეწყვილემ ასეთი ძვირფასი საჩუქარი გაუკეთა მოცეკვავეს. „ძალიან ბედნიერი ვარ, რეალურად არ ველოდებოდი ამ საჩუქარს. საერთოდ არ ვიცოდი, ასეთ რაღაცას თუ აპირებდა. მეც და საშაც შოკში ვიყავით. ჩემნაირი მეწყვილე არცერთ სეზონში არავის არ ჰყავდა. ადრე მყავდა მანქანა, მაგრამ ახლა აღარ მყავს. ახლა მართვის მოწმობა უნდა ავიღო, წავალ და გამოცდებს ჩავაბარებ", – აცხადებდა გახარებული მოცეკვავე.

მზია ორველაშვილი და საშა ოხრიმენკო არა მარტო „ცეკვავენ ვარსკვლავების" პროექტში მუშაობენ, არამედ წყვილშიც ცეკვავენ. მათ საქართველოში გამართულ თანამედროვე ცეკვის ჩემპიონატშიც მიიღეს მონაწილეობა და მეორე ადგილიც მოიპოვეს. ამჯერად მზია და საშა ქართული ქორწილისთვის ემზადებიან, სადაც მათი ქართველი მეგობრები შეიკრიბებიან და წყვილს გაბედნიერებას კიდევ ერთხელ მიულოცავენ.

ეკა ირემაშვილი

# TV პროგრამა

სამშაბათი
16 სექტემბერი

08.00 დ/ფ "ააშენე უფრო დიდი" 09.00 ან/ფ "ანიმალია" 10.00, 12.00, 16.00, 19.00, 20.00 "მოამბე" 10.30 "ყოჩაღების ქუჩაზე" 11.00 ტ/სერ. "**მაგდა ემი**" 12.30 ტ/სერ. "**ტკბილი მწარე ცხოვრება**" 14.00 "გურმანია" 14.30 დ/ფ "ფოტოხელოვნება" 15.00, 21.00 ტ/სერ. "**ღირსება და პატივი**" 17.00 ტ/სერ. "**ჭორიკანა**" 18.30 "შეხვედრები მწერალთა სახლში" 22.00 დ/ფ "დიდებული სასახლეები" 22.40 **ფეხბურთი**. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ტური. (პ/რეპ) 00.40 მხ/ფ "**ტიბერიო მიტრი" ჩემპიონი და მის იტალია**"

08.00, 10.00, 12.00, 15.00, 17.00, 21.00, 23.00 "ბრიფინგის დრო" 09.00 "თავისუფალი ტრიბუნა" -პ/გ "ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო" 11.00 დ/ფ "ბერები ლაბორატორიაში" 14.00, 16.00 ტ/სერ. "**სიყვარულის საიდუმლოებები**" 19.00 "თავისუფალი ტრიბუნა" - პ/გ "საქართველოს პატრიოტთა ალიანსი" 20.00 "მოამბე" (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ, რუსულ ენებზე) 21.30 "არგუმენტების დრო"

06.45 სერ. "**შურისმაძიებელი**" 07.30, 08.05, 09.10 იმედის დილა 08.00, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 01.45 ქრონიკა. 10.05 სერ. "**ბედის ანაბარა**" 11.20 სერ. "**სილა**" 12.30 დღის შოუ 14.40 სერ. "**სიყვარული ცა და მიწა**" 17.35 სერ. "**მინდა გახსოვდე**" 18.45, 19.03 სერ. "**ღირსების საქმე**" 20.55 სერ. "**შავი ვარდი**" 22.00, 23.00 სერ. "**შუა ქალაქში 2**" 00.00 მხ/ფ "**მხსნელი**" (ნ.კინსკი) 01.55 მხ/ფ "**ჩემი ძმაკაცის შეყვარებული** (ტიტ)

06.30 სერ. "**არ დამივიწყო**" 07.30 დილამშვიდობისა საქართველო 10.00 სერ. "**მათრობელა სიყვარული**" 12.00, 15.00, 18.00, 21.00 კურიერი 12.30 "შუა დღე" 16.00 სერ. "**ეზელი**" 18.45 სერ. "**სტამბოლის ცა**" 19.45 სერ. "**კარადაი**" 20.50 ეროვნული ლატარეა 22.00 არჩევანი 23.30 სერ. "**დეტექტივები**" 00.00 სოციალური ცელი 00.30 სერ. "**ჩემი ცოლის დაქალები**" 01.00 მსოფლიო კინო-პრემიერები კადრს მიღმა 01.00, 03.30 მხ/ფ. 03.00 კურიერი. დაიჯესტი

08.00 მუსიკა 09.00 17.00 **სერიალი "ლენა"** 10.00 18.00 **სერიალი "მენტალისტი"** 11.00, 22.00, 00.15 მხ/ფ 12.30, 16.30, 19.30 ᲒᲐᲘᲤᲢ ᲗᲔᲬᲙᲨᲣᲗ 13.00, 21.00 **სერიალი "ინტერესის ობიექტი"** 14.00 სტილის სამყარო 15.00 ᲥᲔᲛ 19.00 კიბერჰაუსი 20.00 დ/ფ 23.45 პეპლის ეფექტი 02.20 მუსიკა

06.10 დ/ფ "მოგზაურობა ბარტ ვულფთან ერთად" 07.35 მხ/ფ "**გრაფი მონტე კრისტო**" შ ნაწ. 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 "განთიადი" 10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.35 დ/ფ "ისტორია ეპილოგის გარეშე" ნიკო ნიკოლაძე 11.10 დ/ფ "ტაო-კლარჯეთი" შ ნაწ. 11.35 პატერიკი 11.40 ღვთის სახლი 12.10 მხ/ფ "**მევლუდი**" 13.30 კონცერტი -გოგი გელოვანის სახ. ხალხური მუსიკის ფესტივალი 15.05 სალბუნი 15.25 მხ/ფ "**მობიდიკი**" შ-შშ სერ. 17.20 დეკორატიული ფლორა 17.35 დიდ ხარ შენ, უფალო 18.10 განთიადის სტუმარი 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 18.55 ისტორიის დღიური 19.15 მოკ./ფ "**ბაკულას ღორები**" 20.00 ღია აუდიტორია 20.40 ძილი ნებისა 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.15 "ჩვენი ამბავი" 22.25 მგზავრები წუთისოფლისა 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 ჩვენი ფონდი 23.35 დ/ფ "ტაო-კლარჯეთი" შშ ნაწ. 00.35 განთიადის სტუმარი 01.00 მხ/ფ "**გრაფი მონტე კრისტო**" შშ ნაწ.

მაესტრო

7.00 ახალი ამბები 7.20 მულტფილმი "**კატის თვალი**" 8.20 გადაცემა "თეკუნას კულინარიუმი"გ/ჩ 8.40, 22.00 "ყოველდღიური ა(მ)ბები/ვასიკო ოდიშვილისგან გ/ჩ" 9.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 18.00, 19.00, 20.00 მაესტრო 9.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 18.00, 19.00, 20.00 ახალი ამბები 9.30 ბიზნეს კონტაქტი დილის გამოშვება 10.05, 11.05 **სერიალი "სიყვარული და ღირსება"** 12.30, 13.03 ბიზნეს კონტაქტი 13.30, 14.03 მაესტროს შუადღე შუადღის შოუ 15.40, 16.05, 17.05 **სერიალი "1001 ღამე"** 18.40, 19.08, 20.07 **სერიალი "ქუჩეი და გუნეი"** 19.03 ინ-ფაქტი (იუმორისტული გადაცემა) 21.00 მაესტროს "ცხრიანი"(საინფორმაციო-ანალიტიკური პროგრამა) 22.15 **სერიალი "კურტ სეიტი და შურა"** 23.20 **სერიალი "დიდებული საუკუნე"** 1.40 **სერიალი "რთული გზა"** 3.00 ახალი ამბები 3.20 ბრძოლა წესების გარეშე

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის" ნებართვით

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

16 სექტემბერი


**ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი**

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | — 1.7399 |
| ევრო | — 2.2493 |
| ინგლისური გირვანქა სტერლინგი | — 2.8252 |
| 100 რუსული რუბლი | — 4.6207 |

**ამინდის პროგნოზი 16 სექტემბრისთვის**






## კალეიდოსკოპი

### „შოკოლადის მეცნიერებათა დოქტორი“



კემბრიჯის უნივერსიტეტში გაიხსნა ვაკანსია „შოკოლადის მეცნიერებათა დოქტორი“ – თერმულად მდგრადი შოკოლადის ფორმულის შემუშავებისთვის. შესაბამისი განცხადება განთავსდა უმაღლესი სასწავლებლის ვებ-გვერდზე.

სპეციალისტისთვის გამზადებულია ადგილი ქიმიური ინჟინერიისა და ბიოტექნოლოგიის დეპარტამენტში. მეცნიერის მთავარი მოვალეობა იქნება თბილი კლიმატის გავლენა შოკოლადის სამომხმარებლო თვისებებზე, იმ მიზნით, რათა ამ ნუგბარის საგემოვნებო თვისებები შენარჩუნდეს მიუხედავად მასზე ტემპერატურული ფაქტორების ზეგავლენისა.

უმაღლესი სასწავლებლის ხელმძღვანელობა პრეტენდენტებისგან ბაკალავრის ხარისხის წარდგენას ითხოვს, ასევე კვლევითი მუშაობის გამოცდილებას და შოკოლადის სიყვარულს.

მომავალ „შოკოლადის მეცნიერებათა დოქტორს“ ასევე დაევალება, არა მხოლოდ კვლევითი სამუშაოების წარმოება, არამედ სტუდენტებისთვის ლექციების წაკითხვაც.

პროექტზე მუშაობის დასრულების შემდეგ მეცნიერი მიიღებს მეცნიერებათა დოქტორის ხა-

### ბრიტანელ პირველკურსელებს სმა უყვართ



გამოკვლევების თანახმად დადგინდა, რომ დიდი ბრიტანეთის ყოველი პირველკურსელი საშუალოდ 216 ფუნტ სტერლინგს ხარჯავს ალკოჰოლურ სასმელებზე.

ეს 150 ფუნტით სჭარბობს გასული წლის მაჩვენებელს და ეს, მიუხედავად იმისა, რომ სწავლის საფასური გაიზარდა.

სწავლის დაწყების პირველ წელს პირველკურსელები ასევე ყიდულობენ ახალ ტექნიკას, ჩასაცმელს, იკეთებენ ვარცხნილობას და ამ ყველაფერში 1000 ფუნტ სტერლინგს ხარჯავენ, ამას უბრალოდ გარშემომყოფებზე შთაბეჭდილების მოსახდენად აკეთებენ.

ასევე აღსანიშნავია, რომ საერთო ჯამში, სტუდენტი ბრაიტონში სწავლის პირველ კვირას 2.873, ხოლო ლონდონში 1.499 ფუნტ სტერლინგს ხარჯავს.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**


## ავტორიზებული თბილისის ტურიზმის აკადემია

TAT
თბილისის ტურიზმის აკადემია
Tourizm Academy of Tbilisi

**გიწვევთ სასწავლებლად შემდეგ სპეციალობებზე:**

გიდი, ინტერნეტტექნოლოგი (კომპიუტერი), კორესპონდენტი, მუსიკოს-რეპეტიტორი.

დიპლომი სახელმწიფოა, სწავლის ღირებულება ხელმისაწვდომი. გათვალისწინებულია 30% შეღავათი სწავლის გადასახადში მესხეთისა და მაღალმთიანი რეგიონების მცხოვრებთათვის, იძულებით გადაადგილებულ პირთათვის, სოციალურად დაუცველთათვის.

**თბილისი, კოსტავას ქუჩა №47**
**ტელ.: 293 66 03; 293 54 30; 299 96 26**
**მობ.: 599 18 89 24; 599 14 60 26**
**www.turizmiedu.ge**


# 23 სექტემბრიდან ქართული დეტექტივი — ტომი 1 მგლის ბილიკი „ახალ თაობასთან“ ერთად




## დავით კაკაბაძის ნამუშევრები პარიზში გამოიფინება



საქართველოსა და ევროკავშირის კულტურული დაახლოების პროგრამის ფარგლებში, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსა და კომპანია სილქნეტის მხარდაჭერით დავით კაკაბაძის ნამუშევრების რეტროსპექტივა პარიზში 16 სექტემბრიდან 15 თებერვლამდე იქნება წარმოდგენილი.

როგორც კულტურის სამინისტროში გამართულ სპეციალურ ბრიფინგზე მინისტრმა მიხეილ გიორგაძემ განაცხადა, ეს საქართველოს ევროპაში დაბრუნების ერთ-ერთი ნიშანია.

– დავით კაკაბაძის გამოფენა 16 სექტემბერს პარიზში მაიოლის მუზეუმში გაიხსნება. მაიოლის მუზეუმი 5 თვის განმავლობაში უმასპინძლებს ექსპოზიციას, სადაც დავით კაკაბაძის 40 ნამუშევარი იქნება გამოფენილი, მათ შორის კონსტრუქციულ-დეკორატიული კოლაჟები და სხვადასხვა პერიოდის გრაფიკა, ზეთის და აკვარელის ნამუშევრები. გამოფენაზე წარმოდგენილი იქნება ნამუშევრები კაკაბაძეების ოჯახის კერძო კოლექციიდან. მაიოლის მუზეუმის მუდმივი ექსპოზიცია წარმოადგენს ფრანგი მოქანდაკის და მხატვრის არისტიდ მაიოლის ნამუშევრებს. მუზეუმი ასევე ცნობილია დროებითი გამოფენების განსაკუთრებით მაღალი ხარისხით. ქართველი ფერმწერი, გრაფიკოსი, თეატრისა და კინოს მხატვარი, ხელოვნების მკვლევარი, ხელოვნების თეორეტიკოსი და გამომგონებელი დავით კაკაბაძე იყო ერთ-ერთი პირველი, ვინც ქართული ხელოვნება გლობალურ მოდერნისტულ მოძრაობას დაუახლოვა. ამიტომაც ეს პროექტი მაგალითია იმისი, როგორ უნდა ითანამშრომლოს კერძო სექტორმა და სახელმწიფომ. ამ პროექტის განხორციელებას ლეიტმოტივად უნდა მისდევდეს ის მოსაზრება, რომ საქართველო ბრუნდება თავის ისტორიულ ევროპულ ოჯახში, – გა-

გაგრძელება მე-11 გვერდზე

## მზია ორველაშვილი გათხოვდა



მოცეკვავე მზია ორველაშვილი, რომელიც ფართო საზოგადოებამ პროექტიდან „ცეკვავენ ვარსკვლავები“ გაიცნო, გათხოვდა. მისი რჩეული უკრაინელი ქორეოგრაფი საშა ოხრიმენკოა. წყვილმა ერთმანეთი ამ პროექტზე მუშაობის დროს გაიცნო, მეგობრობით დაწყებული ურთიერთობა სიყვარულში გადაიზარდა და დაქორწინებით დასრულდა. ერთობლივი გადაწყვეტილებით, წყვილმა კიევში იქორწინა. ქორწილს სიძისა და პატარძლის მხოლოდ ახლო ნათესავები და მეგობრები ესწრებოდნენ.

მზიასა და საშას მეჯვარეები მათი უკრაინელი მეგობრები იყვნენ. უკრაინაში განვითარებული მოვლენების გამო, ქორწილში ჩასვლა წყვილის ქართველმა მეგობრებმა ვერ მოახერხეს, ამიტომ გადაწყდა, რომ მეორე ქორწილს მზია და საშა საქართველოში ოქტომბერში გადაიხდიან.

წყვილი ორ წელზე მეტია ერთად ცხოვრობს, ქორწილის გადახდა და დატვირთული რეჟიმის გამო ვერ მოახერხეს. მზია ორველაშვილისთვის ეს მეორე ქორწინებაა. მას პირველი ქორწინებიდან ერთი ბიჭი, ლევანი ჰყავს.

„ცეკვავენ ვარსკვლავებმა“ მასში მონაწილე არაერთი ხელოვანის ბედი განსაზღვრა, ზოგს ოჯახი დაუნგრია, ზოგი კი საყვარელ ადამიანს შეახვედრა და დააქორწინა. ოთხი სეზონის განმავლობაში მაყურებელმა არა მარტო საინტერესოდ დადგმული საცეკვაო ნომრები იხილა, არამედ პროექტში მონაწილეთა პირადი ცხოვრება კიდევ უფრო ახლოს გაიცნო. ამ პროექტმა ერთმანეთს მარტო მზია და საშა არ შეახვედრა, ამ პროექტით ერთმანეთი შეუყვარდათ გიორგი ვარდოსანიძესა და სალომე ჭაჭუას, რომლებიც პროექტამდე სხვებზე იყვნენ შეყვარებულები და რამდენიმეწლიანი რომანებიც ჰქონდათ. პროექტმა ოჯახი დაუნგრია თაკო ჩორგოლაშვილს, ის მეუღლეს, კალათბურთელ რეზი დიდიას პროექტში მონაწილეობის შემდეგ დაშორდა. ცოლს დაშორდა გიორგი ყიფშიძეც. ანა ჩიკვილაძესთან რამდენიმეწლიან ცხოვრებას მან წერტილი დაუსვა, რადგან მის ცხოვრებაში ჯულიანა ბარგ ნარი გაჩნდა. წყვილი ამ ეტაპზე თავის გრძნობაზე საჯაროდ ლაპარაკისგან თავს იკავებს, თუმცა ის ცნობილია, რომ გიორგი და ანა ამ ეტაპზე ცალ-ცალკე ცხოვრობენ. ოჯახური პრობლემების გარეშე არ ჩაუვლია „ცეკვავენ ვარსკვლავებს“ თავად პროექტის პროდიუსერის-

გაგრძელება მე-11 გვერდზე

## იუმორი



ექიმი მამაკაცს ეკითხება:

– თქვენ ალკოჰოლთან როგორი დამოკიდებულება გაქვთ, ხომ არ მეგობრობთ?

– კი მაგრამ, რა მაქვს საჩხუბარი?

***

ბავშვი დედას ეკითხება:

– დედა, რას აკეთებს წერო მას შემდეგ, რაც ბავშვს მოიყვანს?

– დივანზე კოტრიალობს, ტელევიზორს უყურებს, ლუდს სვამს და კომპიუტერში თამაშობს.

●●●

შუა საუკუნეების რაინდი ომში წასვლის წინ ცოლს ერთგულების ქამარს უკეთებს. მეგობარი ეკითხება:

– რად უნდა შენ ცოლს ერთგულების ქამარი. ისეთი შეუხედავია, მაგასთან ვინ მივა.

რაინდი პასუხობს:

– ვიცი, უბრალოდ, როდესაც დავბრუნდები, ვეტყვი, რომ გასაღები დავკარგე.

●●●

სამსახურიდან სახლში დაბრუნებულმა კაცმა სასადილოს კარადიდან შოტლანდიური ვისკი გამოიღო. ცოლმა დაინახა და ეუბნება:

– თუ ერთ წვეთსაც დალევ, ამაღამ სიყვარულს ვერ ეღირსები!

კაცი მაგიდას მიუჯდა, ბოთლი წინ დაიდგა და ჩაფიქრდა.

ცოლი ეკითხება:

– რაზე ფიქრობ?

– ვფიქრობ, რომელი ჯობია, 12 წლის დაძველების ვისკი თუ 50 წლის ქალი...

●●●

სტუმარი მასპინძელს ეკითხება:

– შეიძლება თქვენი ტუალეტით ვისარგებლო?

– იცით რა, ჩვენთან წყლის მრიცხველები აყენია...

– ოჰ, მაგაზე ნუ იდარდებთ, არ ჩავრეცხავ!!!

●●●

ქმარი ცოლს ურეკავს:

– რომელი ყვავილები გიყვარს?

– ვარდები.

– წითელი თუ თეთრი?

– წითელი.

– გასაგებია, რას იტყვი შამპანურსა და სანთლებზე?

– რა თქმა უნდა, თანახმა ვარ... ძვირფასო, შენ რა, სიურპრიზს მიმზადებ, ჩვენი დაქორწინების იუბილესთვის?

– აბა რა, მოსალოც ბარათს ვარჩევ...

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## კროსვორდი




**შვეულად:** 1. ბერნარდ შოუს პიესა; 2. ხელოვნური მიკროკლიმატის მქონე აპარატი, რომელშიც ათავსებენ დღენაკლულ ჩვილ ბავშვს; 3. მჭედლის სამუშაო იარაღი; 4. ბანქოს თამაშის ერთ-ერთი სახეობა; 5. ფრანგული საავტომობილო კონცერნი; 6. მწერი განვითარების ერთ-ერთ სტადიაში; 7. ინდოეთის ოკეანეს აუზის მდინარე აფრიკის სამხრეთში; 9. ჰოლანდიის ფეხბურთელთა გუნდი; 13. გიორგი ერისთავის პიესა; 17. ხორბლის ქართული ჯიში; 18. კორეული მსუბუქი ავტომობილი.

**თარაზულად:** 1. მანძილის საზომი ერთეული ასტრონომიაში; 3. ფრანგების ძველი სახელწოდება; 8. ქართლში გავრცელებული თეთრყურძნოვანი ვაზის უძველესი ქართული ჯიში; 10. სან-რემოს კინოფესტივალის „გრან-პრის“ მფლობელი თენგიზ აბულაძის მხატვრული ფილმი; 11. ქალაქი ესტონეთში; 12. კავკასიის ალპურ ზონაში ბინადარი გარეული თხა; 14. სახალხო დღესასწაული ესპანეთსა და ლათინურ ამერიკაში; 15. კინოთეატრი თბილისში; 16. წარსულის აღმნიშვნელი ზმნის დრო გრამატიკაში; 19. უღელტეხილი კავკასიონზე; 20. ქერის პური; 21. კლიმატური კურორტი ხაშურის რაიონში.

**შეადგინა თ.კოპალეიშვილმა**

## ასტროპროგნოზი 16 სექტემბრისთვის

**ეს დღე მშვიდად გაატარეთ**

**ვერძი** – დაისვენეთ მყუდრო გარემოში, დღეს ნუ გადაიღლებით. **კურო** – ფული გაქვთ, პრობლემები არ გაწუხებთ. **ტყუპები** – არ აჩქარდეთ, მშვიდად იმოქმედეთ. **კირჩხიბი** – ის საქმე აკეთეთ, რაც მოგწონთ. **ლომი** – დიდი ხნის ოცნება აგისრულდებათ, ბედი გწყალობთ. **ქალწული** – რისკი არ არის გამართლებული, განაგრძეთ ჩვეული ცხოვრება. **სასწორი** – არ გაფლანგოთ ფული, ხვალისთვის შემოინახეთ. **მშვილდოსანი** – წარსულიდან ვიღაც ბრუნდება, მას თქვენთვის რაღაც აქვს სათქმელი. **თხის რქა** – მოაწყვეთ განტვირთვის დღე, მიიღეთ ხილი და ბოსტნეული. **მერწყული** – კრიტიკის ქარცეცხლში ხართ გახვეული, ფრთხილად იყავით. **თევზები** – სიყვარულში გიმართლებთ, გელით საჩუქარი.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

ლურჯი წითელი ყვითელი შავი